

## ფაშინის დამარცხებლმა საქართველოს პარლამენტის "აიღეს"



პარლამენტის თავმჯდომარე ვეტერანებთან ერთად გამარჯვების საღმრთო მსვლა.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ხელისუფლების სახელით, ბოდიშს უხდის მთელი მსოფლიო ომის ვეტერანებს იმ დამოკიდებულებისთვის, რომელიც მათ მიმართ ქვეყანაში არსებობს. "ჩვენ ვალში ვართ თითოეული თქვენგანის წინაშე. ადამიანებს, რომლებმაც იომეს, იმრომეს და ღირსეულად იცხოვრეს, არსებობისთვის აუცილებელ, ელემენტარულ პირობებსაც კი ვერ ვუქმნით. ნამდვილად არ ხართ გარემოსილი იმ ყურადღებით, რომელსაც იმსახურებთ. მეტიც, თქვენნიარ გვირეხს, ზოგჯერ, ტკბილ სიტყვასაც კი ამადლიან ხოლმე", - განაცხადა პარლამენტის სპიკერმა ომის ვეტერანთა მიღების ცერემონიის დროს. გუშინ ნინო ბურჯანაძემ გულთბილად მიულოცა ფაშინის შემუსვრელი "9 მაისის სეველიანი დღესასწაული, როგორც ცრემლთან და ამაყ მოგონებებთან არის დაკავშირებული".

### ბიოგრაფი ასანიშვილი

იმამი, რომელიც მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი მებრძოლები დღეს მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობენ, ბურჯანაძე, საკანონმდებლოზე მეტად, აღმასრულებელ ხელისუფლებას ადანაშაულებს. "ჩვენი მწირი ბიუჯეტის გათვალისწინებით, ომის ვეტერანთა მდგომარეობის გასაუმჯობესებ-

ლად საქართველოს პარლამენტმა კანონმდებლობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. ამ მიმართულებით ახალი ვარიანტების ძიებას მომავალშიც ვაპირებთ, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ხშირად გაისმის, რომ მათი რეალიზებისთვის საჭირო სახსრების გამოძებნა შეუძლებელია", - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

ბაზრძილაბა A2 ბავრძა

### „თბილგაზი“ - ქაოსი და განუკითხაობა

კონტროლის პალატა „თბილგაზის“ ხელმძღვანელობას ამხელს ცენტრალური ბიუჯეტიდან უმწეო ოჯახების მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების სუბსიდირებისთვის ვაკეში თანხებისა და ტრანსფერების არამიზნობრივ ხარჯვაში, უმწეო ოჯახების რაოდენობისა და ე.წ. კომერციული დანაკარგების ხელშეწყობის ხარჯვას და გაზის ტოტალურ დატაცებაში. მიზეზად კი ასახელებს „თბილგაზის“ ხელმძღვანელობის დანაშაულებრივ ქმედებებს, არაკომპეტენტურობას და საწარმოში არსებულ კორუფციულ გარემოს.

### სოფიკო მხანაშვილი

კონტროლის პალატის მესამე დეპარტამენტმა სააქციო საზოგადოება „თბილგაზი“ ბიუჯეტიდან სუბსიდიებით და მიმდინარე ტრანსფერებით შარშან გამოყოფილი თანხების ხარჯვის კანონიერებისა და მიზნობრიობის დასადგენად თემატური შემოწმება დაასრულა. მესამე დეპარ-

ტამენტის ხელმძღვანელის კახა კულუაშვილის შეფასებით, შემოსუბსიდიების შედეგები „აღმაშფოთებელი და სამწუხაროა“. არსებული მდგომარეობის მიუხედავად, „თბილგაზის“ ხელმძღვანელობა და მისი დამფუძნებელი თბილისის მუნიციპალიტეტი მდგომარეობის გამოსასწორებლად პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ.

ბაზრძილაბა A4 ბავრძა

### როგორ რუსტორანში აღნიშნა იბორა 9 მაისი?

#### ვასილ ბაქაური ბორიძე

იმ დროს, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სამამულო ომის ვეტერანები გორის საბრძოლო დიდების მუზეუმის წინ, ან უკვე სამარადისოდ ჩამქრალი მარადიული ცეცხლის გარშემო მისასალმებელ სიტყვებს და ბავშვების მიერ მომზადებულ ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას ისმენდნენ, კომუნისტები სტალინის სახლ-მუზეუმის წინ შეიკრიბნენ. ომის ვეტერანთა ნაწილი, მოგვიანებით, კომუნისტებს შეუერთდა, ნაწილი კი ხელისუფლებასთან შეხვედრაზე წავიდა, სადაც

მათ საჩუქრები გადასცეს. კომუნისტების მიტინგი, რომელსაც ვეტერანებთან ერთად პენსიონერებიც ესწრებოდნენ, მას შემდეგ დაიწყო, რაც ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე გამოჩნდა. „მთელ მსოფლიოში დღეს აღნიშნავენ გამარჯვებულ 58-ე წლისთავს, საქართველოში კი ხელისუფლებამ მოგვიანებით გაიხსენა, - განაცხადა პანტელეიმონ გიორგაძემ, - დღეს გადაკეტეს მთელი თბილისი, ბატონი პრეზიდენტი მივიდა ახლა უკვე დაკარგულ ჯარისკაცის საფლავზე. საფლავიც გაყიდულია, სამუდამო

ბაზრძილაბა A2 ბავრძა

## კალათხურთი საქართველოში ოთარ ქორქიასთან ერთად დაიბადა

ოთარ ქორქია - სპორტის დამსახურებული ოსტატი; დამსახურებული მწვრთნელი; 1943-1946 წლებში ქუთაისის „დინამოში“ თამაშობდა, ხოლო 1947-1958 წლებში თბილისის „დინამოში“; სსრკ-ს სამგზის ჩემპიონი; 1952 წლის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი; სამგზის ევროპის ჩემპიონი. აქტიური სპორტის შემდეგ იყო მწვრთნელი. წლების განმავლობაში კამპუჩიის ქალთა და ვაჟთა ეროვნულ ნაკრებებს ავარჯიშებდა.



ოთარ ქორქია.

ბაზრძილაბა B1 ბავრძა

### პოლიტიკა

#### შეპარდნაძის არჩევანი დამოკრძაბის საზიაროდ გააკეთა

„სამწუხაროდ, პრეზიდენტმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება დემოკრატიის საზიაროდ. მან არჩევანი გააკეთა იმ ძალოვან, მათიზურ და კრიმინალურ სტრუქტურებზე, რომლებიც შევარდნაძეზე ზემოქმედებენ და რომელსაც პრეზიდენტი ეყრდნობა, - აცხადებს მესამე სექტორი.

A2

### დისკუსია

#### „შრავლს გაცვილებით მეტი უფლება აქვს აქლასიანი, ვიდრე დღეს აქლასიანი“

არის თუ არა ეკლესიაში კორუფცია? რა შეიძლება ეკლესიის კორუმპირებულობამ მოუტანოს საზოგადოებას? უნდა მიიღოს თუ არა ეკლესიამ მონაწილეობა კორუფციის წინააღმდეგ საზოგადოების მობილიზებაში?.. ეს ის კითხვებია, რომელზე პასუხის გაცემას „24 საათში“ შეკრებილი ინტერვიუები, ანტიკრიმინალური და ანტიკორუფციული საბჭოს წევრები შეეცადნენ.

A3

### ეკონომიკა

#### საქართველოში თაბაქოს 70 პროცენტის კონტრაბანდულია

თაბაქოსთან მებრძოლი არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფი სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორჯენაძეს ულტიმატუმს უყენებს. თუ 31 მაისამდე ჯორჯენაძე თაბაქოს კონტრაბანდის წინააღმდეგ ქმედით ღონისძიებებს არ მიიღებს, არასამთავრობოები ქუჩაში მასობრივი გამოსვლებითა და სასამართლოში წივილით იმუქრებიან.

A4

### უცხოეთი

#### ბროზნოვი 9 მაისი აღნიშნავს

9 მაისს გროზოში აღეთქება მოხდა „დინამოს“ სტადიონის მახლობლად, სადაც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია უნდა გამართულიყო.

A5

### სამართალი

#### საქართველოს ნავრის იარაღის ტარებისთვის დააკავეს

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების“ წევრმა შალვა ოგაიძემ გუშინდელი დღე-ღამე ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში გაატარა.

A7

### ანიონი

თბილისი	25	☀
ქუთაისი	26	☀
ბათუმი	21	☀
სოხუმი	22	☀
ფოთი	23	☀
თელავი	21	☀
ზუგდიდი	26	☀
გორი	21	☀
ახმეტა	22	☀
ჭიათურა	24	☀
ბაზრა	21	☀
სამცხე-ჯავახეთი	25	☀

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიხედვით**

აშშ დოლარი	2.1550
ევრო	2.4390
გირვანაქა სტერლინგი	3.4353
რუბლი	0.0693









# 30 ლარი გმირობისათვის



30-ლარიანი კონვერტი "ლეიბორისტებისგან".

## ეთერ ბაგვალიაშვილი

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ოთხმოცი წლის ალექსანდრე კავთიაშვილს გუშინ ვილიდოდ მიღებული 30 ლარი ბავშვით უხაროდა. ამ ფულით შვილიშვილებისთვის ტბილეთით გამაპანძლებს საშუალებამ და იმის შეგრძობებამ, რომ ამ ქვეყანაში კიდევ ვილაცას ახსოვს, ვეტერანი მოხუცი უბედნიერეს კაცად აქცია. ასევე გრძნობდა თავს ის თითხმეტი ვეტერანიც, რომლებმაც საკრებულოს დარბაზში ლეიბორისტებისგან ქათქათა კონვერტში ჩადებული სამი ათლარიანი მიიღო.

ვეტერანებისთვის გადასაცემი ეს თანხა, როგორც ლეიბორისტებმა ომის მონაწილეებთან ნაიტრიახებს, ქალაქის ბიუჯეტისთვის წინა კვირას "აუღლიტათ". 7230 ლარი იმ 241 თბილისელ ვეტერანზე განაწილდება, ვისაც ჩვენმა კანონმდებლებმა მარტოხელის სტატუსი მიაკუთვნა.

ლეიბორისტებმა დარბაზში შესულ თხუთმეტამდე ვეტერანს თავი ფეხის ტერფამდე დაუხარეს (ერთი-ორმა მუხლის მოდრეკის სურვილიც კი გამოთქვა), 58 წლის წინათ ჩადენილი გმირობისთვის სამადლობლო სიტყვებიც უხვად ადრეკვიეს და თანხის სიმცირისთვის ერთხელ ბოდიშიც კი მოუხადეს.

## „არ მინდა, სხვახისნაირი ვიყო...“

### ლელა მარგინანი

გუშინ, როცა ვაკის პარკში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებას ზეიმობდნენ, ვერაზე, პედიატრიის ინსტიტუტში დამარცხებული გერმანელების შთამომავლებმა ქართულ უნარშეზღუდულ ბავშვებს ერთი ლამაზი დღე აჩუქეს.

სამი გერმანელი ქალბატონი თბილისში ჰუმანური მისიით ჩამოფრინდა. ორი კვირის მუშაობის შემდეგ მათ საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უნარშეზღუდულ ბავშვებს. 15 ასეთ ოჯახს ყურადღებას აქცევს ქალთა ასოციაცია "რეა". სწორედ ამ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის და გამოცდილების გაზიარების მიზნით, მოინდოვა გერმანელი ქალბატონები ასოციაციამ. ერთი მათგანი უნარშეზღუდულ ბავშვთა თავმჯდომარეში ოცი წელი მუშაობდა, ქალბატონ გუდრუნ ჰესეს კი ასეთ ბავშვებთან პირადი ტრავატი და კავშირებს - მას ცოტა ხნის წინ 24 წლის ვაჟი გარდაცვლია და ამ პროგრამაში ჩართვით, სურს ქართველი უნარშეზღუდული ბავშვების მოზობ-

## ინფორმაცია

### 100-100 ლარი მესაზღვრეებს

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი ვეტერან მესაზღვრეებს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს, რომელსაც სასაზღვრო უწყების პირველი პირები ესწრებოდნენ. ფაშისზე გამარჯვების 58-ე წლისთავთან დაკავშირებით 50 ვეტერან მესაზღვრეს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 100-100 ლარი გადასცეს. ინტერ-პრესი

### კობეშვიძის კიდევ ერთი მუქარა

თუ 31 მაისამდე სივარტის კონტრაბანდის აღკვეთის მიზნით ქმედითი ღონისძიებები არ გატარდება, თამბაქოს სანაწარმდგომი ეროვნული ცენტრისა და თამბაქოს კონტროლის ალ-იანის წარმომადგენლები ფინანსთა მინისტრის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების თავმჯდომარეებისა და სხვა პირთა პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებენ. ამის შესახებ გუშინ თამბაქოს სანაწარმდგომი ეროვნულ ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე ცენტრის ხელმძღვანელმა გელა კობეშვიძემ განაცხადა. ინტერ-პრესი

### ბაზრობები, ბაზრობები

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, წლეულს პირველ კვარტალში სასურსათო, სამრეწველო და შერეული საქონლის 85,8 პროცენტით რეალიზებული იყო თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, თელავისა და გორის ტერიტორიაზე მოქმედ 122 ბაზრობაზე. ბაზრობებზე რეალიზებული საქონლის სამი მეოთხედი არასასურსათო საქონელია. სასურსათო საქონლის ნახევარს კი შეადგენს პური, პურპროდუქტები, ხორცი, ხორცპროდუქტები, თევზი, რძე, ყველი, კვერცხი, ხეივა, ცხიმი და საკონდიტრო ნაწარმი. მედია-ნიუსი

# 9 მაისი შავარდნაძის ბარეზე



სურენ ხაჩატუროვი.

## პირველი გვარდიანი

- ძია სურენ, ნახეთ, პრეზიდენტმა რა თქვა, - ყველა თქვენგანს ვიცნობო... მართლა იცნობთ? - მე არა, კაცო, ალბათ, თავის ხალხი იცნობს, ვინც მავას ხზარს უჭერს.

- სად იბრძოდით? - "პერვი ბელარუსკი ფრონტ", უუკოვთან ვიყავი, ბერლინამდე ჩავედი და რეისსტაგის კარების ჩარჩოზე დავაწერე: "სურენ ხაჩატუროვი"... წელი, თვე, რიცხვი, როგორც საჭირო იყო. იცი, რამდენი გვარი ეწერა? - ათასი.

- მაშინ რამდენი წლის ბრძანდებოდით? - 42-ში წამიყვანეს, 18 წლის ვიყავი. სამი წელი მიუმბატე, რა.

- რომელ "ვაისკაში" იყავით? - "ჰესოტა, ტანკაი პულემიოტიკი". ორჯერ დავიჭერი "ასკოლკებით". 45-ში "აკოფში" ვზივარ, ორივე ხელით "პულემიოტი" მიჭირამს; ნემეცების "არტაბადატოვაკა" მიდის, მაგარი. ერთი თავი წამოვნიე, რო ვნახო, ხო არ მოდიან და... მომხვდა კიდევ "ასკოლკა". ხელები, სახე სულ დაჭრილი მქონდა. გადავრჩი, რა. ორი მენდალი მაქვს "ზა ატავაუ".

ამასობაში ზეიმიც გაჩაღდა, რომელშიც თავისი ინტორიული



გააცოცხლეს ძველი კინოკადრები.

წვლილი ჟურნალისტებმაც შეიტანეს. ვიდუკამერებისა და ფოტოპარატების სამიზნე, თითქმის, ყველა ვეტერანი გახდა, მაგრამ არა მასმედიის სიმრავლის გამო. სამწუხაროდ, ძალიან ცოტანი დარჩნენ ისეთები, რომლებიც ამ ქვეყანაზეც არიან და სიარულიც შეუძლიათ. ამიტომ ჟურნალისტებს ვეტერანები არ ჰყოფნიდათ. თუმცა, აქვე სიხარული უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩვენი 80 წლის გმირები შესაშური ძალისხმევით ინარჩუნებდნენ ჯარისკაცულ მხნეობას და ისე ზეიმობდნენ, როგორც ხანმოკლე ფრონტული შესვენებების დროს 60 წლის წინათ.

უცნობი ჯარისკაცის საფლავზე "კატუმა" და სხვა ფრონტული სიმღერები შეასრულა ფორმიანი და ჯოლიდოიანი მედლების გუნდმა, რომლის ნევრებმა მოგვიანებით სასულიერო ორკესტრთან გადაინაცვლეს და ვაკის პარკში მისილიროინდელი ფილმების კადრები გააცოცხლეს. სხვაობა ნაოჭებში იყო.

- საბჭოთა კავშირის გმირს ვეძებთ. ხომ არ არის თქვენს შორის საბჭოთა კავშირის გმირი? - ვეკითხებოდით ვეტერანებს და ბოლოს მივადექით კაცს, რომელმაც გვიოხნა:

"საბჭოთა კავშირის გმირი ერთადერთი დაგვრჩა. ესაა მფრინავი შურალია, რომელმაც 176 საბრძოლო გაფენა შეასრულა. იყო აქ, მაგრამ წავიდა. ისე, თუ გინდათ დღეს მისი ნახვა, დუტას უყურეთ. "ვის უნდა 20 ათასში" 800 ლარი მოიგო. მეც ვიყავი მაგასთან ერთად."

მთელი ამ ხნის განმავლობაში, დაახლოებით, 2-3 საათის მანძილზე მეგაფონით, თითქმის, "პერეკურის" გარეშე ამბობდა ლექსებს საბურთალოელი ანზორ ბაიაძე, რომელსაც ყელზე სტალინისა და მათ ძე დუნის დიდი ჩარჩოიანი ტილო ეკიდა. ბატონი ანზორი ომის ვეტერანი არ არის. იგი ვეტერანების შვილების თაობას მიეკუთვნება, მაგრამ სტალინზე დაწერილი და ნათქვამი ყველა ლექსი ზეპირად იცის.

- ბიჭო, აქ სტალინის ძეგლი არ უნდა იდგეს, შენ რომ გვიღია გულზე? - მიმართა მას ფრონტელი ძმებით გარემორტყმულმა ერთმა ვეტერანმა პრეზიდენტის ნახვის შემდეგ.

- ეგ იმას ჰკითხვ, საათნახევარი ვისაც უსმენდი.

- მე რას ვუსმენდი, რო დაამთავრა, მერე მოვედი.


- აბა, მე სულ არ მომიშვებს ახლოს, მეგაფონით არ შეიძლებაო, -

თქვა დიდი ბელადის მადიდებელმა და, გორბაჩოვიდან მოყოლებული, ყველა "პერესტროიკელის" მაგინებელმა და ლექსების კითხვა განაგრძო. მან გამოსვლა მაშინ შეწყვიტა, როცა ვაკის პარკის ტერიტორიაზე ერთიანი კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის წითელდროშებიანი კოლონა გამოჩნდა. ანზორ ბაიაძე პრეველ რიგში ჩადგა და თავისიანებს საფლავისკენ წაუძღვა.

- ხალხო, გთხოვთ, გაგვატაროთ სახალხო პატრიოტები და ქართველი კომუნისტები. ბიჭებო, ამხანაგებო, მწყობრად, - ისმოდა კოლონიდან. უცნობი ჯარისკაცის საფლავს ერთი გვირგვინიც მიემატა და მიტინგიც დაიწყო.

სასულე ორკესტრი დადუმდა, ინსტრუმენტები აკრიფა და იქაობას მებდრული სიმღერით გაეცალა.

წელ-წელა ვეტერანებმაც დაიწყეს დალა. ჭაჭაჭაძის გამზირზე მათ ერთი მოულოდნელი სიურპრიზი დახვდათ - მე-15-ე სამარშრუტო ხაზის მანქანებს დიდი ასოებით ეწერა: "ომის ვეტერანებს უფასოდ ვემსახურებით." ასეთი ინიციატივა თავად მძღოლებს გამოუჩენიათ, რისთვისაც მათ ხალხი (არა ვეტერანები) მადლობას უხდოდა.



## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

### სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 5-8 მაისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან განუღებმა ხარჯმა შეადგინა: 4 768.3 ათასი ლარი**

<p>1) ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 385.0 ათასი ლარი;</p> <p>დისკონტი - 381.4 ათასი ლარი;</p> <p>სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები - 3.6 ათასი ლარი;</p> <p>2) ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 3 882.1 ათასი ლარი;</p> <p>მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის რეაბილიტაციის პროექტების თანადაფინანსება - 97.0 ათასი ლარი;</p> <p>საბიუჯეტო ორგანიზაციების აპრილის თვის შრომის ანაზღაურება - 850.0 ათასი ლარი;</p> <p>საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი (შრომის ანაზღაურება - წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა) - 50.0 ათასი ლარი;</p> <p>განათლების სამინისტროს პროგრამული ხარჯები (შრომის ანაზღაურება) - 5.2 ათასი ლარი;</p> <p>საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუხწყებლობის სუბსიდია - 1 050.0 ათასი ლარი;</p> <p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამული ხარჯები - 50.0 ათასი ლარი;</p> <p>სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი (სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა) - 1 779.9 ათასი ლარი;</p> <p>3) 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 886.2 ათასი ლარი;</p> <p>სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით - 291.0 ათასი ლარი;</p> <p>უშიშროების სამინისტრო - 110.0 ათასი ლარი;</p> <p>საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 50.0 ათასი ლარი;</p>	<p>ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი - 34.9 ათასი ლარი;</p> <p>თავდაცვის სამინისტრო - 29.0 ათასი ლარი;</p> <p>საქართველოს პროკურატურა - 30.3 ათასი ლარი;</p> <p>კულტურის სამინისტრო - 11.0 ათასი ლარი;</p> <p>შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია - 8.8 ათასი ლარი;</p> <p>საქართველოს პარლამენტი - 7.4 ათასი ლარი;</p> <p>ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი - 5.0 ათასი ლარი;</p> <p>სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური - 4.2 ათასი ლარი;</p> <p>განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტრო - 0.4 ათასი ლარი;</p> <p>საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივილინო ხარჯები - 42.2 ათასი ლარი;</p> <p>საქართველოს პარლამენტი - 25.0 ათასი ლარი;</p> <p>საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 14.2 ათასი ლარი;</p> <p>საქართველოს პროკურატურა - 3.0 ათასი ლარი;</p> <p>სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ღონისძიებები - 53.0 ათასი ლარი;</p> <p>საბიუჯეტო-ენერგეტიკის სამინისტრო (ენერგეტიკის სექტორის სუბსიდირება) - 500.0 ათასი ლარი;</p> <p>სულ ხარჯი: 4 768.3 ათასი ლარი;</p> <p>1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 385.0 ათასი ლარი;</p> <p>დისკონტი - 381.4 ათასი ლარი;</p> <p>სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები - 3.6 ათასი ლარი;</p> <p>2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 3 882.1 ათასი ლარი;</p> <p>3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 886.2 ათასი ლარი;</p> <p>სხვა საქონელი და მომსახურება - 344.0 ათასი ლარი;</p> <p>მივილინება - 42.2 ათასი ლარი;</p> <p>სუბსიდია - 500.0 ათასი ლარი;</p>
---	---

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**

**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**








ნომრის სტუმარი

კალათბურთი საქართველოში ოთარ ქორქიასთან ერთად დაიბადა

მანა ჭალაბანიძე



80 წლის

1922 წელს მოსკოვის სპარტაკიადის მონაწილე ქართველმა მძლეოსნებმა სოკოლნიკის სტადიონზე ბოძებზე დამაგრებული კალათბურთის ფარები და უცხო თამაში ნახეს. თბილისში დაბრუნებულმა მუშფაჟის სასწავლებლის ეზოში (უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე) პირველი კალათბურთის მოედანი მოაწყვეს. 1923 წლის მარტში სწორედ ამ მოედანზე შედგა კალათბურთში პირველი ოფიციალური შეხვედრა მუშფაჟის ორ გუნდს შორის... ამავდროულად 10 მაისს კი ოთარ ქორქია მოევიწიეს ქვეყანას. დღეს ის 80 წლის გახდა. ამდენსავე წელს ითვლის ხელში შეკერილი ნაჭრის ბურთით, ქუჩაში თამაშობდა კალათბურთს. დარბაზში მაშინ მხოლოდ „ნამდვილი“ კალათბურთელებს უშვებდნენ. ის კი დარბაზის ფანჯრიდან უყურებდა მათ ვარჯიშს. ერთხელ სახეში ვილაცის ნატყორცი ბურთი მოხვდა და დასისხლანებული დაბრუნდა სახლში... ერთ მშვენიერ დღეს კი „ნამდვილმა“ მწვრთნელმა გივი კილაძემ იმ თავისი ნაჭრის ბურთით ქუჩაში შენიშნა და უთხრა - მოიტანე „ტაპოჩკები“ და მოდიო...

ერთი რამაა: ქართველები ვართ, რაც ვართო - ამის ლაპარაკი არ ვარგა... კალათბურთელს მაგარი ფეხები უნდა ჰქონდეს. კალათბურთი გუნდური თამაშია. შეიძლება ბურთი შენ ჰქონდეს, კარგ პოზიციაში იყო, მაგრამ დაინახო, რომ შენს თანაგუნდელს ბურთის ჩაგდებას უკეთესი შანსი აქვს. უნდა გადააწოდო... კალათბურთი გუნდური თამაშია და უნდა ითამაშო მოგებაზე და არა საკუთარ თავზე. შრომაა საჭირო, უზარმაზარი შრომა.

საყვარელი მონაფეხები თუ გყავდა?

ყველა მიყვარდა. არავითარ შემთხვევაში არ გამოვარჩევდი. ისე, ყველა კარგი იყო. ერთს შევხედავდი და თვითონვე აკეთებდნენ, რაც საჭირო იყო. თუ ვერ გააკეთებდა, ცალკე დავეძახებდი და ყურს ავუწევდი.

სამწუხაროა - თითქმის უმეტესობა დაიღუპა...

კალათბურთისადმი პირველი სიყვარული ქუთაისს უკავშირდება, არა?

პატარა ბავშვი ვიყავი და სხვების თამაშს შორიდან ვუყურებდი... დარბაზში არ გვიშვებდნენ. ნაჭრის ბურთით ვთამაშობდი. სხვათა შორის, წინათ, სანამ NBI-ს ვარსკვლავები გახდებოდნენ, ზანგ კალათბურთელებს ნაჭრის ბურთით არ ჰქონდათ, კონსერვის ქილით თამაშობდნენ.

ქუთაისში თითქმის ყველაზე დიდი ვიყავი... ვჩხუბობდი, ხიდიდან ვხტებოდი - მაშინ ეს ბევრს არ შეეძლო... მამაჩემი დაიჭირეს. დედა ძალიან ლამაზი ქალი იყო და როდესაც ბიჭები თვალს გააყოლებდნენ, მაგრამ გავლახავდი ხოლმე... კი, ხდებოდა ასეთი რამე... უსამართლოდ თითქაც არ დავადებდი. თუკი ცუდს გააკეთებდა, ცალკე დავეძახებდი და... კარგად ვჩხუბობდი...

ჩემი პირველი მწვრთნელი, გივი კილაძე, მოკლეს და ქუთაისის სტადიონისთვის გივი კილაძის სახელი

მივანიჭებინე... მაგარი კაცი იყო. ქუთაისში ბავშვები არ დაკარგულან. ახალ თაობას ფორმებს, ინტენსივარს ვუგზავნიდი. დიდი ქვეყნებიდან და ქალაქებიდან დაბრუნებული აუცილებლად ჩავდიოდი ქუთაისში... პაგონები არ მიყვარდა... 1950 თუ 1951 წელი იყო, სტალინიმ დამიბარა და არმიის გუნდში თამაში და თავის დაცვაში მუშაობა შემომთავაზა, ჩინსაც დამპირდა. უარი ვთქვი...

თბილისში როდის გადმოხვედი?

1946 წელს კაუნასში რვა ქალაქის ჩემპიონატი იყო და ქუთაისლებმა

გავიმარჯვეთ. ამის შემდეგ თბილისის „დინამოში“ დამიბარეს. მერე კი ქუთაისიდან ბიჭები ჩამოვიყვანე: ჯუმბერ ლეჟავა, ალექო და კირი მესხები, სულიკო თორთლაძე... 1947 წელს უკვე საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი ვიყავი. ქართველებიდან ნაკრებში ნოდარ ჯორჯიკია და მე ვთამაშობდით. 11 წლის განმავლობაში ვიყავი ნაკრების კაპიტანი.

ხელის შემშლელად ვის მოგიჩენდნენ მონინალმდევე გუნდში?

კი, იყვნენ ასეთები, მაგრამ ხელს ვერ მიშლიდნენ.

თქვენი ვაჟი, ნოდარც თამაშობდა. როგორი იყო?

არა უშავდა...  
ახლანდელ კალათბურთში რა ხდება, თუ იცით?  
ყველაფერი უკეთესადაა...

უფროსი ვაჟი, ვიტალი ქორქია, ექიმი. (18. 82სმ.) თავის დროზე „ნორჩ დინამოში“ ვთამაშობდი.

იმის მიუხედავად, რომ სიმალე არ მიწყობდა ხელს, სერიოზულად ვაპირებდი კალათბურთელობას. 1962 წელს დიდებში, დუბლებშიც შემეყვანეს, მაგრამ ბაკურიანში, შეკრებაზე სამ ადგილზე მოვიტყევე ფეხი და ჩემი კალათბურთელობა აქ დამთავრდა. ისე, სიმალეზე თუ ვისაუბრებო, ერთი ამერიკელი კალათბურთელი იყო - ზოფე. 18.75სმ. მაგრამ, ტკანქომაზე კი ვერაფერი მოუხერხა... ნელი არ მახსოვს, თბილისში იყო თამაში. ამერიკელებმა საბჭოთა კავშირის ნაკრებს 30 ქულით მოუგეს. ქართველებმა კი გასრისეს ამერიკელები - გივი ინსტირელი თამაშობდა, ლარი ხაზარაძე, „პტიცა“ - უგრეხელიძე... ანზორ ლეჟავა დაფრინავდა... ახლაც თვალწინ მიდგას, ისეთი ლამაზი თამაში იყო. ფინელი მსაჯი იყო და ძალით წავგავებინა... როცა ვკითხვო, ასეთი ლამაზი თამაში რატომ გააფუჭეთო, გვითხრა - ფინეთი პატარა ქვეყანაა, ავირიკა - დიდი და ასეთი ბრძანება იყო...  
მამას თამაში ხომ გახსოვთ?  
ძლიერი იყო. ორი კალათბურთელი ერთ ხელზე ეკიდა და ორი მეორეზე და ბურთი მაინც ჩაავლო - ეს კადრები არსებობს.

სსრკ-ში პირველი სპორტსმენი, ვინც ლენინის ორდენით დააჯილდოეს, ბოტინიკი იყო (1935 წელი). მერე კი, 1957 წელს ოთარ ქორქია...  
როგორ ვარჯიშობდა ოთარ ქორქია?  
ვარჯიშის დროს 100-დან 100 საჯარიმოს ავდებდა კალათში. ერთხელ ერთი ჟურნალისტი ჩაუსაფრდა - აბა, რამდენს ააცილებსო... ელოდა, ელოდა. 300 ბურთს გადაცდა და არც ერთი არ აუცილებია. ბევრს შრომობდა.

მახსოვს, პატარა რომ ვიყავი - 4-5 წლის - დილით კისერზე შემისვამდა და ჩავდომებო აკეთებდა. მარცხენა და მარჯვენა ხელს ერთნაირად ხმარობდა - ერთ საათზე მეტ ხანს ავარჯიშებდა მაჯებს. ფიზიკურ გამძლეობაზე ბევრს ვარჯიშობდა. ამისთვის სხვადასხვა სახეობებზე დადიოდა. ახალგაზრდობაში მამამ ბადროს ტყორცნაში საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა, საქართველოს რეკორდი დაამყარა ბირთვის კვრაში და ეს რეკორდი 9 წლის განმავლობაში ვერავინ მოხსნა... კრივეზეც დადიოდა, ცურვაზეც, მძლეოსნობაზე და ამიტომაც იყო ასეთი გამძლე...  
როდის დაანება თავი კალათბურთს?  
ეს 1953 წელს, 33 წლის ასაკში მოხდა. სვერდლოვსკში გამართულ სსრკ-ს პირველობიდან ყავარჯნებით ჩამოვიდა...  
რა თქვა?  
რა უნდა ეთქვა - მხეცები არიანო, თქვა... მაშინ, თითქმის ყველა გუნდში ჰყავდათ „კასტალიონები“. თვითონ ვერ თამაშობდნენ და ერთადერთი დანიშნულება ჰქონდათ - კარგი მოთამაშე გამოეყვანათ მწყობრიდან. იმათ მოამტერიეს ფეხი. მერე

მამას აღარ უთამაშია.

მაგრამ ისევ კალათბურთში იყო...

დაიხ. პატარა ბავშვებისთვის საკალათბურთო სკოლა დააარსა. ასეთი სკოლა მსოფლიოში მხოლოდ ამერიკელებს ჰქონდათ. ძალზე ბევრი რამ გააკეთა ბავშვთა კალათბურთისთვის. მას გამოგონებებიც ჰქონდა - არდადეგების დროს რომ არ მოცდენილიყვნენ, ნორჩ კალათბურთელებს კომპაქტური გადასატანი მოედანი გაუკეთა თავისი გასახდელითა და რვა ფარით... დატვირთვებზე ხოლმე სატვირთო მანქანაზე და სადაც უნდოდათ, იქ წაიღებდნენ.

გარდა ამისა, პატარა ტანის კალათბურთელებისთვის სპეციალური ვარჯიშები გამოიგონა: 5-7 კოლოგ-რამიან საფანტით სავსე ქამარს, ხელეხსა და ფეხებზე კი - 100-500 გრამიან საშავურებს ვიკეთებდით და ასე ვვარჯიშობდით. როდესაც ამ ტვირთს ვიხსნიდით - დაფრინავდით ხოლმე ეს დაბალტანიანი კალათბურთელები... მამამ მოიგონა სკამი, რომელსაც ამაღლებდა და ამ სკამზე, რაც შეიძლება მეტჯერ უნდა ავმხტაროყავით ადგილიდან.

გარდა ამისა, მუსიკის თანხლებითაც გვავარჯიშებდა. მაშინ მოდაში როკ-ენ-როლი იყო...  
რა შედეგი მოიტანა?  
არ ვიღებოდი, ამტანები ვხდებოდი...

გუშინ ქორქიების ოჯახში კიდევ ერთი თარიღი იყო. პატონი ოთარისა და ქალბატონი ანტონინას ქორწინების 60 წელი...

ქალაქ არმავირის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. 1942 წელს, ომის პერიოდში, პრაქტიკებზე ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში გამომიშვეს. იმ ქარხანაში ფრონტზე გასაგზავნ კონსერვებს ამზადებდნენ... ორი თვის ნაცვლად ორი წელი დავრჩი. ოთარც იმავე ქარხანაში მუშაობდა... ჰოდა, ერთ ქარხანაში ორი ახალგაზრდა ერთმანეთს გაიცნობდა, აბა რა იქნებოდა...  
სიმალემ არ შეგაშინათ?  
ოთარ ქორქია: მაღალი ქალები არ მომწონდა...  
18. 65 სმ. ვიყავი... ახლა ვხუმრობ - ვიზრდები ქვემოთ... 6 საცემეტრი დავიკელი.

ბატონმა ოთარმაც დაიკლო?

სხვათა შორის, ამ ორი წლის წინ დაკლებული არ ჰქონდა. მერე გრობი გაურთულდა, ფილტვების ანთება დაემართა და დადგანა ინვა. ძლივს გადავარჩინეთ... ავადმყოფობის შემდეგ აღარ გამიშობია.

ოთხი შვილიშვილი გყავს. აქედან ერთი, მიშეკო თამაშობს კალათბურთს, მაგრამ სწავლას უფრო აქცევს ყურადღებას...  
ბატონო ოთარ, ახლა როგორ ხართ, როგორ ცხოვრობთ?  
როგორ გითხრა. სამი წელია, გარეთ არ გავსულვარ და აი, ჩემი აივნიდან ვუყურებ ცხოვრებას. საჭესთან დაჯდომისასც მიმლიან... ჩემი სახლის წინ ხშირად დგას ინსპექცია და უსინდისოდ ართმებენ ფულს გამვლელ-გამომგვლელ მანქანას... მრცხვენია, ამას რომ ვუყურებ. მინდა, ჩავიდე და ყური ავუწერო იმ ინსპექტორებს... ჩემები არ მიშვებენ და მეც ფეხი მტკივა...



შეტევაზე



ვიტალი ქორქია



80 წელი ერთად.



სსრკ-ს ნაკრების კაპიტანი. 1947 წელი.



# შეავსეთ ანკედა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. გლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, განემარტოს თუ არა მონაწილეობას შიშის "ხალხის პირისპირ". თქვენი შეჩვენის შედეგად, დამსახურებულად გადავადგინო კორექტიონი ან ანკედის შედეგით თქვენ მონაწილეობით შიშის "ხალხის პირისპირ" ნაშრომს და აქტივობას.

ანკედა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:  
  
სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",  
ტელევიზორი "ხალხის პირისპირ",  
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიზორი "ხალხის პირისპირ" შიშისპირის ანკედის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკედა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:  
დაქორწინებული, დაუქორწინებული, გაყრილი, ძვირივი

მისამართი:

შვილები: (თუ გააქვთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:  
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

სამონტაჟო ტელეფონის ნომერი:

პროფესია:

ასაკი:

საშუალო ადგილი

დასმარა კატეგორია: (მუთუთი კატეგორია, რომელიც კარად გრევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნა-პირისპირი, ვადალით, სანახარში კლასი "არსებულ" ან ვერცხის შედეგად, ან ნა-ინი ფუნქციონირებს, და ა.შ.)

შინური ცხოველები: (თუ გააქვთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისათ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გინახავთ საერთაშორისო ბარათი და სად?)

არჩევანი რომ გქონდით, რომელ ცნობილ ადამიანთან ისუბრებდით შეხვედრას, სად ნახვილოდით მასთან ერთად და რატომ?

როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდით, სად ნახვილოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგიძლოდ მხოლოდ ერთი რაგის შეცვლა საუთარ გარემოებას ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორი თქვენი საყვარელი მხარაი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიწანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგიძლოდ მხოლოდ ერთი ნატვისი ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევით ან გავიკეთებთ თუ არა ისეთი რამ, რითაც აგაყოფთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს უგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და როგორი თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონათ თუ არა რაიმე მეტასახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადავლოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ადგილებზე?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტენოტი პოეზიის "მიწარის სწავლა" შესრულება, ან აპირებთ მართლმადიდებლურ ღონისძიებაში გაწევა?)


ყველაზე უხარბული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თავაში?

ურვეულო ან სინტეზის რამ თუ გადაგდინათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი საშუალო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.









# პირველი სპორტოდეალი



სუზი პარკერი

როცა სუზი პარკერი ფოტოკამერის წინ პირველად აღმოჩნდა, ცნება „სუპერ-მოდელი“ ჯერ საერთოდ არ არსებობდა. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ფოტომოდელები ჯერ კიდევ ცოცხალ მა-

ნეკენებად ითვლებოდნენ. მათ მხოლოდ ის ევალებოდათ, რომ მდიდარ მყიდველებს მათზე „ჩამოცმული“ ტანსაცმელი შეეჩინათ, სახეებსა და სახელებს კი არავინ იმახსოვრებდა. ისინი მდიდრული მა-

ლაზის დამამშვენებელ დამატებად ითვლებოდნენ, და ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ლამაზი, მაგრამ მანც „ტანსაცმლის საკიდები“ 90-იან წლებში ვარსკვლავებად იქცეოდნენ.

მიუხედავად ამისა, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ: სუზი პარკერი თავისი თაობის სუპერმოდელი და მთელი ათწლეულის სახე იყო. გრძელი კიდურებით, მწვანე თვალებით და უღალი თმით ის სავსებით შეესაბამებოდა ქალის იმ სახეს, რომლის შექმნასაც კოკო შანელის მსგავსი დიზაინერები ცდილობდნენ: ელვანტური, მაგრამ ემანსიპირებული, ქალური, მაგრამ ექსცენტრიული. სუზი პარკერი სუნამო „მანელ N5“-ს და კოკო შანელის მთელ კოლექციებს წარმოადგენდა. ის და კოკო შანელი დამეგობრდნენ, იმდენად, რომ კოკო შემდგომში მისი ქალიშვილის ნათლიაც კი გახდა.

მშვენიერი ამერიკელის კარიერა მდორედ დაიწყო. არავის ეგონა, რომ გოგონას, რომელიც 14 წლის ასაკიდან ცდილობდა, მოდელი გამხდარიყო, წარმატება ეღირსებოდა: ამ ხელისშეწყობის შედეგად ანონილი ბრძანდებოდა, 1,70 მეტრის სიმაღლისა. მოვიანებით ის მანც შეამჩნიეს, როცა თავის დას გაჰყავა გადაღებებზე.

მისი მფარველი ამერიკული „ვოგის“ მთავარი რედაქტორი, ფრიად ძლიერმო-


სილი ქალბატონი, დიანა ვრინდენი გახდა. სუზი პარკერი პირველი მოდელი იყო, რომელმაც სურათები საცვლებისამარამ გადაიღო - სამაგიეროდ, საათში 200 დოლარს უხდინდნენ. თუმცა, ეს მას მაინც არ აკმაყოფილებდა - ქემარტი ვარსკვლავები იმხანად მხოლოდ პოლიფედის მსახიობები იყვნენ, სუზის კი ვარსკვლავობა უნდოდა. მან ოთხჯერ შეასრულა მეორეხარისხოვანი როლები, მათ შორის „კობტა სახეში“, სადაც ოდრი ჰემპტონის მიერ ნათამაშევი მოდელის პროტოტიპი თავად სუზი იყო. მაგრამ ისევე, როგორც მის შემდეგ მრავალ ფოტომოდელს, სუზის მსახიობობა არ გამოუვიდა.

სამოციანი წლების დასაწყისში სუზი პარკერმა გადაწყვიტა, დემონსტრაციულად დაეტოვებინა მოდის სამყარო და დასახლდებოდა ჰავაიში. მან თავი მეორე ქმარსა და ოთხ შვილს მიუძღვნა, ამბობენ, პურსაც კი თვითონ აცხობდა.

იმასაც ამბობენ, 1969 წელს „ბითლზმა“ სიმღერა მიუძღვნაო, „სუზი პარკერი“, მაგრამ სინამდვილეში რა მოხდა, უცნობია - ეს სიმღერა არცერთ ალბომში არ შეუტანიათ.

გასულ კვირას, კალიფორნიაში, სუზი პარკერი გარდაიცვალა. ამბობენ, კმაყოფილ დასახლდა ცეცხლი მოდელი 69 წლის ასაკშიც მშვენიერი სანახაი იყო. ილი დასაჯერებელია...

## რატომ უნდა ვბავდეთ „მატრიცას“?



საკულტო ფილმის, „მატრიცას“ ფანებს წელს ბევრი სიხარული ელით. პირველი ის გახლავთ, რომ კურანებზე მისი ორი გაგრძელება გამოვა. გარდა ამისა, მათ ამერიკიდან შეუძლიათ სწორედ ისე ჩაიციან, როგორც მათი სათაყვანებელი გმირები არიან გამოწყობილი. ამისთვის მოდის დიზაინერებმა იზრუნეს. ვინაობა, შავი სამოსის შემოქმედებად ჰელმუტ

ლანგი, დიორი, დოლგე და გაბანა და სხვანი გვევლინებიან. ასე რომ, თუ ძალიან არ დავცხათ, შეგვიძლია თამამად ატაროთ ტყავის შარვლები და მაისურები, მოკლე ქურთუკები და ტყავის აქსესუარები, რომლებიც „მატრიცას“ გმირების ადტურვილობას მოგვაგონებს. მთავარია, ფერი არ აგერიოთ: ყველაფერი შავი უნდა იყოს.

## იყიდა „ახალი ბოია“



ესპანეთში ამ ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი მხატვრის ორი ნამუშევარი - „წმინდა ოჯახი“ და „ტობიასი და ანგელოზი“ გასაყიდად გამოფინა. ნამუშევრების საწყისი ფასი 3,5 მილიონი ევროა. როგორც მადრიდში სააუქციონო სახლის „ალკალა სუბასტას“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, მათი ყიდვის თავდაპირველი უფლება სახელმწიფოს რჩება. ორივე ნამუშევარი მრავალი წლის განმავლობაში „დაკარგული“ იყო და მხოლოდ ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა. ეს ფერწერული მოტივებია ასახული, დაახლოებით 1787 წელს შეიქმნა და დიდი მხატვრის შემოქმედების ნეოკლასიცისტურ ხანას მიეკუთვნება.

ტილოები სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ. ისინი ერთი კერძი სახლის შესასვლელსა და საწოლი ოთახის კედელს ამშვენებდა. ოჯახის წევრებს ისინი ძალიან უყვარდათ და გულმოდინედ უვლიდნენ, თუმცა ვერც წარმოედგინათ, რასთან ჰქონდათ საქმე - ტილოებს მხატვრის ხელმოწერა არ ჰქონია. მაგრამ ექსპერტების დასკვნის საფუძველზე დღეს მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სწორედ გიორგი მხატვრობაა, მისთვის დამახასიათებელი ტექნიკითა და ფერებით შესრულებული. არსებული ვერსიის თანახმად, ეს ტილოები ოდესღაც ტრიბიტის ნაწილი იყო, საკურთხევლის ამშვენებდა და დედათა მონასტრის შეკვეთით იყო დახატული.

## კროსვორდი

	ქრისტე მისი დაბადების წელი	მოდის სუპერმოდელი	მხატვარი, რომელიც 1787 წელს შეიქმნა	საქართველოს პირველი პრეზიდენტი	საქართველოს პირველი პრეზიდენტი	საქართველოს პირველი პრეზიდენტი	საქართველოს პირველი პრეზიდენტი
	მოდის სუპერმოდელი	მხატვარი, რომელიც 1787 წელს შეიქმნა	საქართველოს პირველი პრეზიდენტი	საქართველოს პირველი პრეზიდენტი	საქართველოს პირველი პრეზიდენტი	საქართველოს პირველი პრეზიდენტი	საქართველოს პირველი პრეზიდენტი
	მოდის სუპერმოდელი	მხატვარი, რომელიც 1787 წელს შეიქმნა	საქართველოს პირველი პრეზიდენტი	საქართველოს პირველი პრეზიდენტი	საქართველოს პირველი პრეზიდენტი	საქართველოს პირველი პრეზიდენტი	საქართველოს პირველი პრეზიდენტი

### სწავლა ლონდონში

ბელგისიანად სწავლა

ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) ვარჯიშის ხარისხის მოსაპოვებლად შედეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონში. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად, ბორცვებზეა სწავლავდები (კარიბიანული სამეცნიერო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ბორცვებზეა ისტ ლონდონის (კარიბიანული სამეცნიერო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წლიდან სამჯერ (ფურცელი / აპრილი / აგვისტო). მთლიანი კურსის დასრულების თარიღი 2003 წლის 7 აგვისტო.

**MBA** **MSC**

გარკვეული / ფინანსური / IT  
 პრეპარატიული კონფერენსი / HRM  
 კარიერის განვითარება

საინფორმაციო ტექნოლოგიები  
 კომპიუტერული სისტემის ინჟინერია  
 ინტერნეტის ინჟინერია

**\$5950**  
 სანარკომოა წ.

ზონების ამ ბონუს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაწესებულ კურსს - BA (Hons) მთლიანი ღირებულება £ 9605 (£ 6750 კვირული).  
 მთლიანი კურსის ინტენსიური ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულება £ 10 950

**ზამთრის აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია იტალიის დეპარტამენტში**  
 იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოთხსენებულ პროგრამებით სწავლობენ, რომლის ინტენსიური ინტენსიური კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £605-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.  
 იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მთლიანი აკადემიური მოწინააღმდეგე არა აქვთ, ხელმძღვანელი მოსაზრებული პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიკოლა მუსტაქოვსკი, ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლის მომსახურების განყოფილებაში  
 მისამართი: 2 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),  
 Tel/Fax: +994 12-987906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69  
 E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az  
 ან ადგილობრივ წარმომადგენლებს: ნინა მუსხიშვილს  
 ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

**თქვენი რეკლამა**  
**ჩვენს გაზეთში**

20-24-24  
 20-00-24

### საქართველო

29 მარტიდან, შეიძინეთ გავრთული მოიგეთ!

ყოველ შაბათს, რუსთაველი-2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოკალინატორი "საოჯახო ტოტოს" გალამაშება.

ფორმა "ფენიქსი" ვაჭარები წარმოებენ.

დაწვრილხაზითი ინფორმაცია და კოფინიციტების სხვაილი იხილეთ გაზეთში "24 საათში"

### წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტაიტი, ქალური და მარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გაზშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხერხელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეობ; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშრდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესხება.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქობანი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლესისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, პრინციტის, და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლის დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ შობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გააუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწინააღმდეგეა საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.


იკითხეთ და შეიძინეთ ავთიაქტობი. წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.











...არასდროს შემპარვია ეჭვი იმაში, რომ არსებობს განგება, რომელიც სამყაროს შემოქმედია და რომელიც მას საკუთარი განჭვრეტით მართავს; და რომ უფლისათვის ყველაზე სასურველი ძღვენი ჩვენგან კაცთათვის სიკეთის კეთებაა; და რომ ჩვენი სულები უკვდავი არიან; და რომ ყოველი დანაშაული დაისჯება და ყოველი სიქველე დაჯილდოვდება ან ამ ნუთისოფელში, ან მის შემდგომ. ამ თითოეულ შეხედულებას ნებისმიერი რწმენის უმთავრეს ნაწილად მივიჩნევდი, და იმ მრავალი რელიგიის გარემოცვაში, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყანაში, მე პატივს მივაგებდი ყოველ მათგანს, თუმცაღა, განსხვავებული ხარისხით, იმდენად, რამდენადაც, ჩემი დაკვირვებით, ზოგიერთი მათგანი გაუღენთილია იმ ნიშან-თვისებებით, რომელნიც არანაირად არ უწყობენ ხელს მორალურობის შთაგონებას, განვრცობასა და განმტკიცებას, არამედ მსახურებენ ადამიანთა დაყოფასა და მათ შორის შუღლის თესვას. ყველა მათგანისადმი ჩემმა პატივისცემამ, განპირობებულმა იმ რწმენით, რომ მათში ყველაზე უარესსაც კი ჰქონდა გარკვეული კარგი ზეგავლენა, მაიძულა, მთლიანად მოვრიდებოდი იმგვარ მსჯელობას, რომელსაც შეეძლო სხვათა თვალში მათი საკუთარი რწმენის დამცირება და შეურაცხყოფა.

ბენჯამინ ფრანკლინი.  
 აშშ-ს ერთ-ერთი "დამფუძნებელი მამა", ამერიკის კონსტიტუციისა და დამოუკიდებლობის დეკლარაციის თანაავტორი, სათვალის, მეხამრიდის და ე.წ. "ფრანკლინის ღუმელის" გამომგონებელი.  
 "ღირსების ხელოვნება". 1757












# ვიტრასები



E7

# როგორ შევადგინოთ ბიბლიოთეკა



მიხაელ დე უნაჰუნო

სენიორ, თქვენ ბიბლიოთეკის შედგენა გინდათ და რჩევას მეკითხებით. ასეთი რჩევის მიცემა ბევრად რთულია, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ რას გულისხმობთ სიტყვებში – “ბიბლიოთეკის შედგენა”, უფრო სწორედ, რა მიზნით ადგენთ ბიბლიოთეკას და როგორი ნიშნით უნდა მოძებნოთ წიგნები.

- ეჭვს ხომ ვერ შეგატანინებთ ვულგარულ ცდომილებებში, თითქოს წიგნი, პირველ ყოვლისა, იმისთვის არსებობს, რომ მხოლოდ წაიკითხოთ, ხოლო მისი მოვლა და სათუთად შენახვა მეორე რიგის საქმეა.

ერთხელ, ერთ ნაცნობ მხატვართან ვაქებდი მეორე მხატვრის ნამუშევრებს. ის კი მომიბრუნდა და ზიზღნარევი ხმით მეუბნება: “მაგ ნახატების ადგილი მხოლოდ მუზეუმის კედლებზეაო”. ეს იგივეა, რომელიმე წიგნის აბუჩად აგდება მოგვინდეს და ვთქვათ – “ამ წიგნის ადგილი მხოლოდ ბიბლიოთეკის თაროზეაო!” ხომ ფაქტია, არსებობენ ადამიანები, რომელთაც სჯერათ, თითქოს საუკეთესო წიგნი ხშირი კითხვისაგან აუცილებლად ყდაშემოცრეცილი და ფურცლებგაცვეთილი უნდა იყოს.

კიდევ ის ვიცი, რომ ერთხელ, ერთმა უჭკვიანესმა და უნიჭიერესმა, მაგრამ ბიბლიოფილოზის ნიადაგზე ცოტა შექანებულმა მწერალმა, უამრავ საშინელ სისულელეს რომ ჰყვებოდა, ძალი-

ან ძველ და იშვიათ წიგნში ამოკითხულ რაღაც ციტატის მოყვანისას დააყოლა: “აბა, კმარა ამ სისულელების მოყოლა, ისინი ყოველთვის სისულელებად დარჩება, იმის მიუხედავად, რომ ასეთი იშვიათი წიგნში აღმოვაჩინეთ”.

მოკვდავთა უმრავლესობას, მაგრამ არა ამ ბიბლიოფილითი ჭკვიანებს, მიაჩნიათ, რომ სწორედ ერთად თავმოყრილი ამდენი სისულელე აქცევს წიგნს იშვიათობად. და ბუნებრივიცაა, რომ ასეთი ადამიანები არასოდეს დაკარგავენ, გვერდზე არ მიაგდებენ მსგავს წიგნს, რადგან ისინი იქ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რაღაცას პოულობენ, რომელიც მათთვის განსაკუთრებულად ღირებულია. თუმცა, საჭიროა პატივი მიეგოს წიგნისმცემი მანიისაკენ ხალხის სულიერ ღტოლვას, ოღონდ ეს მანია არ უნდა იყოს საზოგადოებისთვის საშიში; მანიათა შორის განსაკუთრებული პატივისცემის ღირსია ბიბლიომანი, რომელიც არა მხოლოდ ყველაზე უდანაშაულო, არამედ ყველაზე კეთილშობილურიცაა. აი, უკვე ნათლად დაინახეთ განსხვავება მათ შორის, ვისაც სძულს ის წიგნი, რომელიც თავის ცხოვრებას ბიბლიოთეკის თაროზე ატარებს და ვინც აფასებს მას სწორედ იმისათვის, რომ იშვიათობაა, ძვირფასია და მისი ადგილი – ბიბლიოთეკის თაროზეა.

მამასადამე, თუ თქვენ მართლა გადანყვიტეთ სოლიდური ბიბლიოთეკის შედგენა, გირჩევთ შეიძინოთ თხზულებათა მხოლოდ სრული კრებულები,

შექლებისდაგვარად – ორიგინალის ენაზე – განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ფილოსოფიურ თხზულებებს ეხება; შეიძინეთ თავად ავტორთა მიერ მომზადებული ცალკეული გამოცემებიც. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არ გირჩევთ სერიული გამოცემების შეძენას, თქვენთვის საინტერესო წიგნების, ამ ე.წ. კოლექციებში, ბიბლიოთეკებში, ციკლებში ძებნას... ნებისმიერი წიგნი უფასურდება, როცა ამ სერიათაგან ნებისმიერის რიგითი ნევრი ხდება. მხოლოდ არასერიოზულ მკითხველს შეუძლია ასეთი სახით გამოცემული წიგნის ნაკითხვა.

ვიმედოვნებ, აუცილებლობას არ წარმოადგენს “არასერიოზული მკითხველის” რაობის განმარტება, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის – კეთილს ვინებებს და ვიტყვი: არასერიოზულია მკითხველი, ვინც იმ წიგნებს არ კითხულობს, რომლებსაც მე; მაგრამ თუ კითხულობს და მეც ვვარაუდობ, რომ კითხულობს, მაშინ ჩემნაირად კი არა, სხვანაირად კითხულობს, და რასაკვირველია, მათ ისე ვერ გაიგებს, როგორც მე ვიგებ; ვერც წიგნები დაარწმუნებენ იმგვარად, როგორც მე მარწმუნებენ. გარდა ამისა, თუ წიგნი მკითხველს იმას არ ახსენებს, რასაც მე, ან მკითხველი თავად არ აგდებს სათვალავში ამას, მაშინ, მარტივი ლოგიკის თანახმად, უნდა ჩავთვალო, რომ ასეთმა მკითხველმა არ იცის ეს ყველაფერი. ხომ შეუძლებელია, ვინმე კითხულობდეს იმას, რასაც მე ვკითხულობ და არ ფიქრობდეს ისე, როგორც მე ვფიქრობ.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ნიაღვრების დასრულებისთანავე, ვუბრუნდები თქვენთვის დაპირებულ ბიბლიოთეკის შედგენას. თუ მართლა სერიოზულად ფიქრობთ ამ საქმისათვის ხელის მოკიდებას, მაშინ კატალოგიით უნდა დაიწყოთ. ჩვეულებრივ, უკატალოგოდ შედგენილი ბიბლიოთეკები, რამდენადმე არეულ-დარეულია ხოლმე. ასე შედგენილი რომელიმე კერძო ბიბლიოთეკის გადათვალთვალებისას, რაღაცას ფილოსოფიიდან აღმოაჩენთ, რაღაცას ღვთისმეტყველებიდან, ნააწყდებით ლიტერატურულ თხზულებებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს და სხვა ამისთანა რამეებს, არათანმიმდევრულად და დაულაგებლად. და თუ იქვე, თაროებზე, კლასიკოსთა შემოქმედების გვერდით აწყვია იაფფასიანი სახელმძღვანელოებიც სხვადასხვა მეცნიერებათა მოკლე შინაარსების სახით, რომელსაც ერთმა უსუსურმა მასწავლებელმა ოდესღაც სარწყულბელი გეჯა უწოდა, მაშინ თამამად შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ეს ბიბლიოთეკა ეკუთვნის diletante-ს. და შეუძლებელია არ იცოდეთ, რომ diletante ჰუმანიტარული კულტურის უწმინდესი და უმაღლესი საქმისთვის განსაკუთრებულად საშიში და მავნე ურჩხულია.

ვხედავ, ვხედავ როგორ შემოთდით და გინდათ მკითხოთ: ვინ არის ეს diletante და რა არის დილეტანტიზმი. მაგრამ მე, ვინც

ასე მშვენივრად გავართვი თავი არასერიოზული მკითხველის ცნების განსაზღვრას, diletante-ს ცნებას ველარ განვსაზღვრავ ისეთივე გულისხმიერებით, როგორც განვსაზღვრე “არასერიოზულობა” – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არც მე შემიძლია ამეების მცოდნეთა რიცხვში. ვიცი მხოლოდ, რომ რაღაც საძაგლობა და საზიზღრობაა, მოკლედ რომ ვთქვა, ის ჰუმანიტარული კულტურის უწმინდესი და უმაღლესი საქმის მტერია; იმ კულტურის მტერი, რომელსაც ახლა არ შემოძლია მივცე განსაზღვრება და, ისიც საეჭვოა, ოდესმე შევძლო ამის გაკეთება.

მაშ, შეეცადეთ გაექცეთ ასეთი დილეტანტური ბიბლიოთეკის შედგენის ცდუნებას და მთელი ძალისხმევა კატალოგზე გადაიტანეთ, რათა, შესაძლებლობის ფარგლებში, თქვენი ბიბლიოთეკა იყოს მონოლითური, ერთიანი, საფუძვლიანი, ჭეშმარიტად კლასიკური – შედგენილი ახალი წიგნებითა და იმ ავტორებით, რომელთა ციტირებითაც სირცხვილს არასოდეს ჭამთ.

გვონებ, მშვენივრად უწყით, რომ წიგნები იმიტომაც იწერება, მკითხველებმა ამონარიდები აკეთონ და ციტატებით თავი მოიწონონ; რომ ისინი, ვინც მათ წერდა და წერს, დაიბადნენ, რათა მათი სახელები მოხსენიებული იყოს მათივე დაწერილი წიგნებიდან ციტირებული პასაჟების გვერდით. თუ ჩვენ თითქმის არავის ციტირებას ვახდენთ, ე.ი. გვინდა, გარშემომყოფნი ფიქრობდნენ, თითქოსდა ყველაფერი, ჩვენგან თქმული, ჩვენვე მოგვივიდა თავში, ეს კი უხსოვარი დროიდან დაგმობილი შედიდურობის ნიშანია. ამას ჯობია, საერთოდ არავინ იცოდეს, რომ კითხვა შეგვიძლია.

ასე რომ, უპირველეს ყოვლისა, კატალოგი შეადგინეთ. ბიბლიოთეკა წარმოუდგენელია კატალოგის გარეშე. სწორედ იმ

დროიდან, როდესაც დიდმა სწავლულმა დონ ფულენსიომ გამოიკვლია ეს საკითხი და თავისი კვლევა-ძიების შედეგები გამოაქვეყნა (ამის შესახებ ვრცლად გაიმბეთ წიგნში – “სიყვარული და პედაგოგია”, მაგრამ ამ წიგნს ნუ მიათვლით თქვენს ბიბლიოთეკას), სწორედ იმ დროიდან უკვე იცით, რომ მეცნიერების მიზანი სულ სხვა რამეა, რაღაცა ისეთი, როგორც სამყაროს კატალოგიზაცია; ეს არის აუცილებლობა და საშუალება იმისა, რომ ღმერთს სამყარო სრულ წესრიგში დაუბრუნდეს.

სვედიანი სანახავია ადგილობრივი ბიბლიოთეკები ჩვენს ესპანურ ქალაქებში, ოლქებსა და სოფლებში. რომ შეგვეძლოს ამ სხვადასხვა ჯურის ბიბლიოთეკების გამოკვლევა, ამა თუ იმ წიგნის ეგზემპლართა რაოდენობის მითითებით გენერალური კატალოგის შექმნა (რალა თქმა უნდა, a posteriori(1)) და შემდეგ მისი საშუალო არითმეტიკულ რაოდენობად წარმოდგენა (ეს კი მკაფიოდ წარმოჩინდება ამა თუ იმ წიგნის არსებობის ან არარსებობის შეპირისპირებით) შევიქმნიდით სრულ ადეკვატურ წარმოდგენას ჩვენი ინტელექტუალური უკუსვლის შესახებ და თავზარიც დაგვეცემოდა. იმასაც კარგად დავინახავდით, რომ ბიბლიოთეკების უმრავლესობათა შედგენას განაპირობებს ან შემთხვევითობა ან ახირება. შემთხვევითობა – ობიექტური ელემენტია, ახირება – სუბიექტური; ანუ, ერთ ასპექტსაც და მეორესაც აქვს ირაციონალური საწყისი.

მგონი, ყველაფერი ნათლად ვთქვი.

ასე ხდება ხოლმე და ეჭვს ნუ შეიტანთ ჩემს სიტყვებში! ხდება იმიტომ, რომ არ იწყებენ კატალოგიით, რომელიც კარგი სუფრის მენიუს ჰგავს; რაციონალური მენიუს შედგენას ყოველთვის ექიმ-დიეტოლოგის განსაკუთრებული რეკომენდაცია სჭირ-





დება. არასისტემური კვების დროს დისპეფსიის თითქმის ყველა სახეობა ვითარდება და ორგანიზმის გაცილებით მეტი სერიოზული დარღვევა მიმდინარეობს. თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ არსებობს კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებები, რომელთა დიაგნოზირება ძნელია და მკურნალობასაც

სრულიად ექვემდებარება. ამ ყველაფრისგან კი უმალ დავალწვეთ თავს, თუ დაცვენილი საკუთარი კბილების ნაცვლად, ჩავისვამთ ხელოვნურს. და აი, ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ ეს, კბილების ჩასმასთან დაკავშირებული მომენტი.

მინდა ამის შესახებ უფრო დანერვილებით გესაუბროთ, მაგ-

რამ სხვა დროს იყოს; ამჯერად კი სავსებით საკმარისია იმის ცოდნა, რომ ჩასმული კბილები – უმნიშვნელოვანესი, ზოგ შემთხვევაში კი შეუცვლელი ორგანო ან ინსტრუმენტი ლეჭვა-მონელებისათვის. ზოგიერთ ადამიანს ენანება ფული კბილების ჩასამელად და ყველაფერს, რასაც პირში იდებს, დალეჭვის გარეშე ყლაპავს; შემდეგ – ან საერთოდ ვეღარ გადაამუშავებს საჭმელს, ან ინელებს ცუდად და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ორგანიზმს.

ასე რომ, დაიწყეთ შესადგენი ბიბლიოთეკის კატალოგის გულმოდგინე შესწავლით. შეისწავლეთ აუჩქარებლად და, მხოლოდ ამის შემდეგ კატალოგი მიუტანეთ ჩვენს საერთო მეგობარს – დონ ფულხენსისოს, რომელიც, ვიმედოვნებ, ჩემი მონაცემების შემდეგ თქვენი მეგობარიც გახდება. ეს სწორედ ის ადამიანი გახლავთ, პირველ კატალოგს რომ გაგიკრიტიკებთ და აუცილებლად დაგინუნებთ.

არ არის გამორიცხული, კატალოგის შედგენას გაცილებით დიდი დრო დასჭირდეს, ვიდრე დასაწყისში წარმოგედგინათ; შესაძლოა – ღვთის გულისათვის, ნუ შეგეშინდებათ! – მთელი სიცოცხლეც. სამაგიეროდ, თუ თქვენ სიკვდილის წინ დატოვებთ რიგიან კატალოგს, მერწმუნეთ, ტყუილად არ გიცხოვრიათ. შთამომავლები დაასრულებენ თქვენს შრომას იმიტომ, რომ არც შემიძლია, არც მსურს და არც მინდა დავუშვა, თითქოს ბიბლიოთეკის შედგენა იმ სულმდაბლური და უმაქნისი ეგოისტური მიზნისთვის გინდოდეთ, რომ საკუთარი ბიბლიოთეკის წიგნები გასართობად იკითხოთ. თქვენ ეს არ შეგფერით და, მოდით, ნუ გავახარებთ მაცდუნებელ ეშმაკს.

ამას წინათ, ერთი ინგლისელის, სახელად Shadworth H.Hodgson-ის წიგნში, რომელიც

მეტაფიზიკის პრობლემებს ეძღვნება – ეს წიგნი სულაც არ მიდევს ბიბლიოთეკის თაროზე – ნავიკითხე, რომ მეტაფიზიკა, საკუთრივ ამ სიტყვის მნიშვნელობით, არის არა მეცნიერება, არამედ ფილოსოფია; უფრო სწორედ, ეს არის მეცნიერება, რომლის მიზანიც თავად მასშია ჩაკეტილი, მაგრამ ამავდროულად ხელს უწყობს გონების აღზრდა-განვითარებას, რომელიც მას შეისწავლის და მაშინ დაფიქრდები, რომ თუ მისი მიზანი იმ “გონების აღზრდა და წვრთნაა”, რომელიც მას სწავლობს, მაშინ აღარ ყოფილა თავის თავში ჩაკეტილი და ყველაზე მაცდური ეშმაკიც დედამიწაზე – მეტაფიზიკური ეშმაკი ყოფილა.

იცით, რომ ჩვენი საერთო სწრაფვის საგანი გიგანტური ბიბლიოთეკების, გასაოცარი მუზეუმების, მშენებელი ალტურვილი ლაბორატორიების მშენებლობაა. სწორედ იქ უნდა შევინახოთ ჩვენი თეორიები, ჰიპოთეზები და აქსიომები; უნდა გავდოთ მდინარეებზე ხიდები, ამოვაშროთ ჭაობები, განვაკითხოთ მეცნიერება, მორალი – თუმცა, ხეირიანად არც ვიცი, რა არის ხელოვნება... და შემდგომ, როცა დედამიწა ათასობით ნამსხვრევად გაიფანტება, გაიყინება ან ერთგვარ ნისლად გარდაიქმნება, ამ ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, ლაბორატორიებს, თეორიებს, ჰიპოთეზებს, ჩვენს მორალსა და ხელოვნებას ჯილდოდ მივართმევთ უმალეს შემოქმედს! მაგრამ – კატალოგი უპირველეს ყოვლისა! პროგრამების გარეშე არ არსებობს მეცნიერების კურსი...

P.S. ბრწყინვალე ტალანტის, მაგრამ ბიბლიოფილოზის ნიადაგზე ცოტა შერყეული ადამიანი, რომლის შესახებაც თავში, ჩემს ძალიან მოკლე ესეში გაიამბეთ, დონ მარსელინო მენენდეს-და-პელაიოა,(2) ჩემი მასწავლებელი

და მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, კათედრაზე ჩემდამი ნდობით ალტურვილი პირი; ჩემ მიერ ციტირებული ფრაზის ნახვა (რომელიც სინამდვილეში უფრო სხვაგვარად უღერს და მე ციტირებას ვახდენ დაახლოებით ასე: “აბა, კმარა ამ სისულელების მოყოლა, ის ყოველთვის სისულელედ დარჩება იმის მიუხედავად, რომ ასეთ იშვიათ წიგნში აღმოვაჩინეთ”) შეიძლება თხზულებაში “სიყვარულის ბედნიერება” ათ ნაწილად, შედგენილი ანტონიო დე ლოფრასიო ets-ის მიერ”. CDXCV გვერდზე (უფრო სწორად, 495-ე-ზე – რომაული ციფრებით გვერდების დანომვრა უფრო ეშმაკისეულია, ვიდრე თავად ლოფრასიოს თხზულება), “რომანის წარმოშობის” პირველ ტომში.

ჩემ მიერ ციტირებული არასწორად მოტანა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, როგორ მცირედ მწყალობს ნიჭიერების ღმერთი, რათა ერუდიტის გზით წავიდეთ. ხოლო P.S.-ით იმიტომ მოგმართეთ, რომ ეს ესე ორი წლის წინ დავწერე, როდესაც ესპანეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული დონ მარსელინოს სიკვდილით გამოწვეული უბედურება და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ძველი ჩვეულების მიხედვით, მაგიდის უჯრაში ვინახავდი, რათა სიბნელეში ღვინოსავით დამდგარიყო.

(1) გამოცდილების საფუძველზე (ლათ.).

(2) მარსელინო მენენდეს-და-პელაიო (1856-1912). ესპანელი მეცნიერი, კულტურისა და ლიტერატურის ისტორიკოსი, ავტორი მონუმენტური ნაშრომებისა “ესთეტიკური იდეების ისტორია ესპანეთში”, “რომანის წარმოშობა” (4 ტ.), “შუა საუკუნეების ესპანური პოეზიის ისტორია”.

თარგმნა ირმა არჩუაშვილმა

მხატვრული ლიტერატურა

ძიებათა ნიშნით აღბეჭდილი



თორნიკა მოღვაძე

იმირ მამედლი. ფიქრთაღრიცხვა (ლექსები), რედაქტორი ბესიკ ხარანაული, თბ. „ინტელექტი“ 2003.

მოულოდნელობა, მახვილგონიერება, აზრის დინამიკური მოძრაობა – აი, ის ნიშნები, რომელიც მძაფრად აღიბეჭდა იმირ მამედლის ლექსების კრებულში

“ფიქრთაღრიცხვა”. ამ კრებულს სახელწოდებაც შესაფერისი აქვს. აქ, მართლაც, ფიქრებია შეგროვილი. მხოლოდ, ეს ფიქრები ავტორის გულსა და გონებაშია გამოტარებული.

იმირ მამედლი ეძებს და პოულობს კიდევ იმ ერთადერთ, განუმეორებელ სიტყვებს, რომლითაც წამიერად გაღვიძებული განცდა უნდა გადმოსცეს. და აი, აქ იბადება სწორედ სიტყვისადმი პროფესიული დამოკიდებულების აუცილებლობა. უნდა იპოვო ზუსტად ის სიტყვა, შენს განცდას რომ გაამჟღავნებს და სხვებისთვისაც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს. იმირ მამედლი ამას შეიძლება ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად კი ახერხებს. როცა ლექსი “ზუსტი სიტყვებისგან” შედგება, უკვე სხვისთვისაც მისაწვდომი ხდება თავდაპირველი იმპულსი. აი, ვთქვათ, ასეთი სტრიქონები: “როცა ცასგაკრულ ძერას ჩრდილივით / მხრებზე გვეცემა სიძულვილის და გაუტანლობის ამხელა ღამე; / როცა მძორის და ხაშლამის სუნი / უდის ქვეყანას, / გულწრფელად მიკვირს, / რატომ აღარ ჭამს / კაცის ხორცს კაცი?” იმირ მამედლის თამამად შე-

აქვს პოეზიაში თანამედროვე ყოფით-ცხოვრებისეული რეალობები. თავისუფალი ლექსი თითქოს უფრო კარგად იტანს ამგვარ ფერისცვალებას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მამედლის კონვენციური ლექსიც თავისუფალია გაქვევებული სტერეოტიპებისაგან. დროთა მანძილზე, მართლაც, გაჩნდა ერთგვარი სტერეოტიპი, რომელმაც ფეხი მოიკიდა სწორედ კონვენციურ ლექსში. თითქოს სისხლის გადასხმა და განახლება იყო საჭირო. და აი, სწორედ აქ ითამამა გადამწყვეტი როლი თავისუფალმა ლექსმა, ე.წ. ვერლიბრმა. მისი მემკვიდრეობით ისეთი რეალობები, საგნები და საერთოდ ყოველდღიურობის ანტიურაჟი შემოიჭრა ქართულ პოეზიაში, რომელიც ადრე მხოლოდ პროზაულ ნაწარმოებებში ჰპოვებდა ადგილს. ასე და ამგვარად გაფართოვდა დღევანდელი ქართული პოეზიის ლირიკული თვალსაჩინო, დაიბადა ახალი რიტმიკა, ინტონაციური მიმოხრა, ახალი პოეტური აზრი. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ იმირ მამედლიც ამ გზას მიჰყვება და საკმაოდ წარმატებულადაც: “მთავარი არის, /

ზურგიდანაც იმას თუ ვგეგარ, / ვინც ვარ წინიდან. / მთავარი არის, / წინიდანაც იგივე თუ ვარ, / ვინც ვარ ზურგიდან. / სხვა დანარჩენი, / სააქაო-საიქიოს მსგავსებაც კი / მეორადია”.

მართლაც, ეს არის მთავარი. იმირ მამედლის პოეზია, რაკურსთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთიანი სტიქიური ნიშნით არის აღბეჭდილი. მისი ენა სადაა და უბრალო, ფრაზა ექსპრესიულია და მოკვეთილი, ცალკეული სიტყვები ყოველთვის მკაცრად განსაზღვრული, ნათლად წარმოჩენილი მიზნისკენა მიმართული. მოკლედ რომ ვთქვათ, პოეტს თავისი გამოკვეთილი ხელწერა აქვს.

იმირ მამედლი პეიზაჟებსაც ხატავს, მხოლოდ აქაც პარადოქსი და მოულოდნელი აზრის ექსპრესიულობა იჩენს თავს: “სულგანაბული დგანან ზღვები, ოკეანენი / და ბოლო წარღვნას ელოდებიან. / მდინარეებს კი ჩააქვთ ამბები / და სისხლისფერი ინფორმაციით / მუხტავენ ღრუბლებს”. ანდა ვთქვათ, ასეთი ლექსი: “იმდენი ღორღი ჩამოიტანა ღვარცოფმა გუმნ / რომ კიდევ ერთი ნაბიჯითაც მიუახლოვდა / მინდორი ზე-

ცას / ოლონდ მთის ხარჯზე”.

იმირ მამედლი ხშირად ცდილობს, ლირიკა და ფსიქოლოგიზმი შეუთანადოს ერთმანეთს: “რამხელა ბედნიერებაა, / ავს იზრახოდე, / მიდიოდე სისრულეში მოსაყვანად და / შუა გზაში გადავიფიქრო. / ვინც კეთილია, / ვინც სიკეთეზე ფიქრობს და ზრუნავს, / ვერასდროს იგრძნობს ასეთ უეცარ ბედნიერებას”.

იმირ მამედლის წიგნს ბესიკ ხარანაულის წინასიტყვაობა უძღვის. ესეც ნიშანდობლივია. ბესიკ ხარანაულის თავისუფალმა ლექსმა გასაქანი მისცა ახალი თაობის პოეტებს უაღრესად საინტერესო ძიებებისთვის. ერთი მათგანი სწორედ იმირ მამედლია. პროზაული ნაკადის შეჭრა პოეზიაში იმ საკითხთაგანია, რომელიც ზოგადად არ განიხილება. აქ უპირველესი მნიშვნელობა კონკრეტულ მაგალითებს აქვს. ყოველი ამ გზაზე დამდგარი პოეტი, მეტად თუ ნაკლებად ექსპერიმენტს მიმართავს, ჯერ კიდევ გაუკვალავ სივრცეს კვალავს. მათ შორის არის იმირ მამედლიც და მისი კრებული “ფიქრთაღრიცხვა” სწორედ ამ ძიებათა ნიშნით არის საგულისხმო.



მალხაზ ხარბელია

**რეზო გაბრიადი. ჩიტო № 49-54, ანუ ექიმი და ავადმყოფი. საშობაო მოთხრობა. „სანი“, 2003.**

ამ მოთხრობის წერა თორმეტი წლის წინ დაუწყია ავტორს და ხუთ ქალაქს შორის „გამოკიდულს“ დაუსრულებია მასზე მუშაობა. თან წერდა, თან კი რენს, ნამურს, ლონდონს, პარიზსა და ლოზანას შორის მიმოდიოდა. ამის მიუხედავად, მწერალს არაფერი მიუთვისებია ამ ხუთი ქალაქისა და მოთხრობასაც მხოლოდ ერთი ქალაქის, ქუთაისის ხევირეილი და სველი თოვლი ავსებს. ეს თოვლია ყველა ამ ევროპულ ქალაქს რომ ფარავს, ათანაბრებს და აქრობს. რჩება ერთი, ამ თოვლის ფიფქვით ნაზი მოგონება - ბავშვობიდან გამოყოფილი, ზღაპრული მოგონება შორეული, ტკბილი ქრისტეშობისა.

წიგნს სამი მთავარი გმირი ჰყავს, შესანიშნავი სამეული.

პირველი ჩიტოა - ადამიანი მანქანა, ოდესღაც ჩრდილოეთის ფლოტში რომ მსახურობდა, სუბმარინაზე და კვირაში ერთხელ „გულით დანერვილ წერილს“ რომ უგზავნიდა საყვარელ ცისანას. ქუთაისში დაბრუნებულმა ჩიტომ თავის საუკეთესო მეგობართან, როლანდისთან ერთად ნახა ცისანა - ზიმ-მასკვიჩით გამოსრილდნენ პედინსტიტუტიდან. ჩიტოს ფეხები მოეკვეთა, ჩაჯდა, რამდენიმე საათის შემდეგ კი ამოქოქა თავისი წარმოსახვითი მანქანა და ბალახებისკენ ჩაუხვია.

ამ ამბის მერე ჩიტო სულ აღმა-დაღმა დაადრიგინებდა თავის ჩიტო-პაბედას, „მძლოლები პატ-იეს ცემდნენ, გზას უთმობდნენ, 1 მაისს აბგონზედაც უშვებდნენ... თბილისის მატარებლის მოსვლისას ჩადგებოდა ზადნით ტაქსებში ვაგზლის მოედანზე და ისე იმნაირად გააღებდა კარს და ისე იმნაირად გადმოვიდოდა მანქანიდან, რომ იფიქრებდი, ეგებ ის მართლა დგას აქ მანქანა და მე ვერ ვხედავო“. ჩიტოს ვერც დედისა და მეზობლების ცრემლის ღვრამ უშველა, ვერც მკითხავებმა და ვერც ჩვენი სამეულის მეორე წევრმა, ექიმმა იაკობმა, ანუ ბატონმა იაშამ, ვისაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ცხოვრება გამოძახებდა ექცა - ხან არაუშავს ადგილებში და ხანაც გადასაკარგავემი; და ვინაც პაციენტების „წყალობით“ „ხახვის სუნსაც ვერ აყენებს ოჯახში შობაზე“. მესამე გმირი კი ერმონია, ბევრისთვის უკვე კარგად ნაცნობი „ქუთაისელი“ ანგელოზი

რეზო გაბრიადის წინა წიგნიდან. ამბავს კი ავტორი ასე იწყებს: ბატონ იაშასთან ჩიტო-პაბედამიდი და თორმეტი გამოძახებით გათანგულ ექიმს კიდევ ერთგან ექაჩება. ჩასვამს თავის პაბედაში - სჩასტლივი ნომრით № 49-54 - დაქოქავს და „წეიყვანს“ ექიმს „საცხა“, გადაკარგულში. აქედან მოყოლებული ყველაზე ფხიზელს და რაციონალურს რომ ეძახიან, ისეთი მკითხველიც კი ამ ფანტასტიკურ მცირე თავგადასავალში ერთვება, ყველაფერს ვიჯერებთ, ყველაფერს ვენდობით და ავტორიც ისე იმნაირად გვაჩვენებს და გვასმენინებს ჩიტო-პაბედას წარმოსახვით „დრმ-დრმ“-ს, რომ თავად რეზო გაბრიადიც ამ სიზმარეული სამების მეოთხე წევრად შეგვიძლია აღვიქვათ.

წინარმოებს მთლიანად ჩიტოს წარმოსახვა განსახვრავს - მის სტრუქტურასაც და ესთეტიკასაც - იმდენად, რომ შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ავტორის ხმაც ამ „გლახაობას“ უერთდება. ყოველ შემთხვევაში, წერის რეზო გაბრიადისეული, განუმეორებელი მანერა არც დროს გვიტოვებს და არც სივრცეს, იმისთვის, რათა სერიოზულად ჩავუფიქრდეთ ამ კაცის ბედს, რეალობად აღვიქვათ მისი ავადმყოფობა, რადგანაც სწორედ ამაში, სვედის ასეთ გაელვებებშია (რომელიც მთლიანად გამსჭვალავს წიგნს) ჩვენი ავტორისა და ზოგადად, პოეტური პროზის ეშხი და ლაზათი.

ჩიტო ხან დვორნიკებს ამუშავებს, ხანაც რადიოს უწევს და გული უკვდება მშრომელთა თხოვნით გადმოცემულ სიმღერებზე. ხან ბრჭყვიალა შარკით

რთავს სიჩქარეში და იქვე მოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიასაც (!!!) აყოლებს ხმას (მოსტაკოვიჩის „გულობიზა“ ერთხელ კინალამ მოუკლავთ კუპრავას ქელეხში) და ეს ყველაფერი თავისი გაუთავებელი დრმ-დრმ-ის ფონზე. ჩიტოს ამგვარი საქციელი ექიმს იმასაც ათქმევინებს, გიჟს როგორ ჩაუფუჯექი მანქანაში და იქვე დასძენს: „ხომ მათქმევია მაინც, რომ მანქანაში ვზივარ!“ -ო. ერთი სიტყვით, ყველა ჩიტო-ანურ, წარმოსახვით ფერხულში ებმება და ამ ყველას არც ავტორი ჩამორჩება. მართალია ექიმი, ბატონი იაშა ერთხელ აღიმაღლებს ხმას („მანქანა თუ ხარ, სადაა შენი ბორბალი! ეს დამკრავი არაა! ეს თავია! უტვინო თავი! არ ხარ შენ პაბედა! არც ერთი მანქანა არ ხარ შენ! გიჟი ხარ! გიჟი!“) და წამოარტყამს კიდევ ჩიტოს, მაგრამ სამაგიეროდ, ცოტა ხანში თავად დაემართება ისეთი რამ, რაც მეორე პლანზე გადაიტანს ჩიტოს „სუნელურ“ საქციელს. ეს მერე მოხდება, როცა დასველებული, დაგლახავებული და დამონავებული, ნაცემი ჩიტო ბებერს დაემსგავსება, „ფართოდ დამდგარი თვალებიდან“ ორ ნაკადად წამოიწვავს ცრემლი და სადარბაზოდან გავარდნილს ქარი წაიღებს წულით.

აქ უკვე მეორე თავი იწყება, წიგნის ყველაზე ლირიული და სვედიანი ნაწილი სახელად „დაუვიწყარი ტანგო“.

წარმოიდგინეთ, ჩიტოს „დატუქსვის“ შემდეგ ექიმი დაეცემა და სადღაც ჩასრიალდება. როცა დარწმუნდება რომ ცოცხალია, წამოდგება („ხელებით აჰყვება იქვე მდგარ ტანად ხეს“), თეთრად განათებულ „მოლუნულ ბილ-

იკს“ გაუყვება და სასაფლაოზე აღმოჩნდება. მის თვალწინ „პატარა, გულისმომკვლელად ნაცნობი, ღარიბი საფლავი დაიდგა ჩუმადა და ნაზად“. ეს მისი ცოლის საფლავია, საბრალო ნუნუსი, ვინაც ყველაფერი კარგი, რაც იყო, თან წაიღო რკინიგზის საავადმყოფოდან, მეშვიდე პალატიდან. სწორედ აქ იწყება ყველაზე დიდი გაელვება, უფრო სწორად კი ქროლვა სევდისა, რომელშიც ექიმის გარდა მისი გარდაცვლილი მეუღლეც მონაწილეობს. ნუნუს იაშას „ყიცილიყო“ შეძახილები გამოიხმობს, მის მონოდებას გამოჰყვება („სადა ხარ, სად?! მომენატრე!“), „ძვლებში შედის სევდა, ნუნუს! ჩემო ნუნუს!“... და „ნელ-ნელა, ძალიან ნელა, ძელქვის უკნიდან დამცინავი ღიმილით გამოვიდა ნუნუს. პატარა, ნაზი ქალი თლილი ფეხებით. მკრთალი ცისფერი კრებდემინის კაბა ეცვა ვიტორიკებით, ოდნავ ყვითელი ქამრით, ასეთივე ვიწრო ზოლით ქვეიდან. პატარა ატიმისფერი რომბიკებით“. ნახეთ, როგორი კონკრეტულია! (თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ლიტერატურაში, იდუმალისა და შორეულის სწორედ ამგვარი დაკონკრეტება მიზიდავს ხოლმე ყველაზე მეტად) და ამ გამოსვლას კიდევ უფრო დეტალიზებული ტანგო მოჰყვება, ცეცხლოვანი, „ელვასავით ტეხილი, სიკვდილივით ულმობელი ტანგო!“, სადაც ისე ერთვება კარგი მკითხველი, რომ ვერც კი ამჩნევს ავტორის „ულმობელ“ შენიშვნას: „ასეთი ტანგო იცეკვა ექიმმა იმ მცირე დროში, რომელსაც ვერც ძილს და ვერც ჩათვლემას ვერ დაარქმევდი.“

კარგი ლიტერატურა ყოველთვის ძილ-ღვიძილის ზღვარზე

გამყოფებს, ნისლოვანს ხდის სიტყვიერ გამოსახულებას და მას მხოლოდ ავტორის ფიქრთა ქროლვა თუ გააანკარებს ხოლმე. ასეთი ანკარა და საჩინოა რეზო გაბრიადის მიძღვნა, წიგნს რომ ასრულებს. მასში უკვე მკაფიოდ ისმის ავტორის ხმა, თავის მეზობლებს, ექიმებს, გიორგი ლორთქიფანიძესა და გიორგი გელოვანს რომ იხსენებს, იხსენებს თავის დას, „თითქმის ნახევარი საუკუნე რომ უძღვნა ამ საქმეს“, მშობლიურ ქალაქს, რომლის სიყვარულიც მუდამ თან დაჰყვებოდა. ავტორი ჩვენს ულმობელ დროსაც შეეხება. უპატივცემულობით, უთანხმოებითა და „გაყრა-განშორებით“ აღვსილ ურწმუნო დროს და ჩვენი წინაპრების წესსაც გვახსენებს, შობას და აღდგომას პატიებას რომ თხოვდნენ ერთმანეთს.

ზემოთ სვედის გაელვებები ვახსენე. როგორც გითხარით, ეს მოთხრობა სავსეა ასეთი გაელვებებით და ამგვარი ქროლვა მანამ გრძელდება, სანამ წიგნის ბოლოს მოკრძალებული საშობაო სუფრა არ გაიშლება და სანამ **გამთენიისას**, ზარების ხმით განწმენდილი და განათლული ჰაერი არ წამოუბერავს **მკითხველისკენ**. განთიადი და მკითხველი, აქ, შემთხვევით როდი დავამეზობლე. ამ წიგნზე თავჩახრილ კარგ მკითხველს მართლა დაათენდება თავზე და თოვლიან ქარში „გადაგდებული“ გმირებით, იქნებ ჩვენც მივაგნოთ ჩვენს პატარ-პატარა ჭეშმარიტებებს. ასეთ ჭეშმარიტებაში კი იმ ციციქნა, ლამის უხილავ სიბრძნეს ვგულისხმობ, რომელიც რეზო გაბრიადის წერის ხელოვნებას უდევს საფუძვლად.



რეზო გაბრიადის ნახატი



რეზო გაბრიადის ფოტო

# თანახები



რუსუდან სანაძე

“ხდება ხანდახან ისეთი ნამდვილი ამბებიც, რომლებიც ტყუილია... ისიც შეიძლება, ტყუილი რომ მართალი იყოს”

## გურამ დოჩანაშვილი. სამოსელი პირველი. „სანი“, 2002

ხომ ცნობილი ჭეშმარიტებაა: არც ერთ ბრძენს არ უთქვამს ისეთი რამ, რაც ადრე არ თქმულა, არც ვინმეს გაუკეთებია რამე ისეთი, რაც ადრე არ ქმნილა. ჩვენ კი მაინც ვეღოთ და ვკითხულობთ ახალ წიგნებს. რატომ? მაინც რა შეგვავარძნობინებს კარგ ნაწარმოებს?! გურამ დოჩანაშვილის ერთი გმირი გვეუბნება, იდაყვამდე დაგვბურძღავსო. მაგრამ ახირებულ ადამიანს თავისი ემოციის სიტყვებში მოქცევა თუ მოუნდა, ხომ უნდა სცადოს ბედი?

“სამოსელი პირველის? სიუჟეტი თავგადასავლის მაძიებელი ჭაბუკის ტიპური ამბავია, პარალელური თხრობით, ასოციაციებით, გაუცხოებითა და ნიღბებით. ეს ყველაფერი ცალ-ცალკე და ერთიანობაში არ ახალია. დომენიკო მონომითის გმირია, რომელსაც “ესმის ხმა”, დაადგება გზას, მიდის, გადალახავს წინააღმდეგობებს, მოიპოვებს რაღაც ფასეულობას და ბრუნდება იქ, საიდანაც დაიწყო სვლა.

დავიწყოთ თავიდან. მთის პატრიარქალურ-პასტორალურ სოფელში დრო თითქმის გაჩერებულია. ზემო სოფლის მკვიდრნი ყოველწლიურად ერთ რიტუალს ასრულებენ, რომელსაც ავტორი რომანში რამდენჯერმე (4-ჯერ) ყვება სხვადასხვა ადგილას, რომც არ გაემეორებინა, მაინც ცხადზე ცხადია, რომ ეს არის ამბის ნამდვილი დასაწყისი და კაცმა რომ თქვას, მთელი ამბავიც ამ რიტუალშია “ჩატიული” (გადმოვცემ მცირე შემოკლებით):

“გაზაფხულობით, როცა ხეების ფერადი კვირტები პანია ნაყოფად გადაიქცეოდა, ხალხი ერთი ღამით ტოვებდა სოფელს... აიკრავდნენ გუდანაბადს, ჩვილებს თბილად გაახვედნენ, საქონელსაც მიერეკებოდნენ და ჯგუფ-ჯგუფად გადიოდნენ, სნეულნიც კი გაჰყავდათ... ხორციელის ჭაჭანებაც არ იყო, ერთადერთი, მამა რჩებოდა შინ... იგი გასცქეროდა სოფლებს,

რომლებიც მძიმედ აღიოდნენ აღმართში და მერე ბორცვს გაღმა უჩინარდებოდნენ. იქით, ბორცვს გადაღმა, უნდა გაეთიშათ დღესასწაულის წინა ღამე. კაცებს უნდა ეფხიზლათ და ვეება კოცონებთან უხმოდ მსხდარიყვნენ... შებინდებისას მამაკვარს აანთებდა და გზაზე გამოდიოდა ხოლმე... მამა ყველაფერს ათვალთვლებდა, ყველა მეზობლის სახლს შამოივლიდა... თითქოს ნივთების მდუმარებასაც კი უგდებდა ყურს.

დინჯად, მძიმედ გადიოდა დაგუდული ღამე, თითქოს ყოველივეს ეძინა, მაგრამ ღამესაც არ ჰქონდა თავისი ხმები... მერე კი, ოდნავ რომ გაიბზარებოდა სიმავე, მამა კვარს აქრობდა და დიდ ლოდზე დგებოდა... მამა მღელვარებით უყურებდა შორეულ ბორცვს, იქიდან კი უთენია ხალხი მოდიოდა!

მოდიოდნენ ფეხით, ჯერ კიდევ მოლურჯო ჰაერში აბრდელილებული ჩირაღდნებით, ჩვილებით ხელში, ჩარდახიანი ურმებით მოდიოდა ხალხი...

ისინი დაღმართში მოაბიჯებდნენ. ლოდზე შემდგარ მამას უკვე ესმოდა მათი ფეხის ხმა, მოდიოდნენ ჯგროდ, არეულნი, ნაჯახებითა და ნედლი რტოებით ხელში, ბლაოდა საქონელი... ისინი ხმაგაკმენდილნი ჩამოდიოდნენ ბორცვზე... უცნაური ტყე მოდიოდა მამისაკენ... ხალხი, ხალხი მოდიოდა”.

დაბრუნებული ადამიანები ხელეღმართულნი მიდიოდნენ მამასთან, რომელიც კითხულობდა: ვინმე ხომ არ დარჩაო. “წესი იყო ასეთი, ორჯერ მაინც უნდა ეკითხა ეს”. მაღალსოფლებს სჯეროდათ, რომ მათი წინაპრები “ციდან ჩამოვიდნენ, ნაწილი ჯერ კიდევ იქ დარჩაო... ცეცხლი მაღლა რომ იწვეს და ცისკენ ენას ათამაშებს, ასე ჰგონიათ, თითქოს ცეცხლი მათ ესაუბრებაო... ცაში დარჩენილებს”. სალამოს კოცონს აჩალებდნენ. “როცა ცეცხლი კარგად ატკაცუნდებოდა, რიგრიგობით უახლოვდებოდნენ, ტანსაცმლიდან მომცრო ნაჭერს ჩამოიგლეჯდნენ და ცეცხლში ყრიდნენ; ეგონათ, თითქოს ტანსაცმლის ნაგლეჯს ჩვენი ამბები სხეულიდან შეჰყვება და სხეულის თიბოშეპარული ნაგლეჯის კვამლიც ხომ მაღლა ადის და ვითომ ცად დარჩენილებს ჩვენი ამბავიც კვამლად აუვათ”.

ამ რიტუალს დომენიკო შემდგომში “სადღაცადან დაბრუნების” ბავშვობისდროინდელ თამაშს უწოდებს.

მაღალ სოფელში კოშკში ინახება საკრალური ნივთი, პირველნივითი – სამოსელი პირველი; კვართი, შემკული საოცარი ძვირფასი თვლებით, ოქრომკერდით მოსირმული. სოფელს განაგებს მამა; პერსონაჟი, რომელსაც არა აქვს სახელი. ის ზოგისთვის მამაა, უმეტესობისთვის – ბატონი; მინის მუშა, სამართლიანი და მიუკერძოებელი. ორი ვაჟიშვილის პატრონი.

ორი ძმის მოტივი ისევე ძველია, როგორც მითი. ერთი ძმა ადამიანის ქვენა გრძნობების, ქვემთრევი ბუნების ცოცხალი ხატი. მეორე – სუფთა და ალალი. გვეგვე და დომენიკო. გვეგვე

იმის გვეგვეა, რომ სოფელში დარჩეს, ჭამოს, სვას, გამრავლდეს, იყოს ისე, როგორც არის. დომენიკო კი შინ ვერ გაჩერდება, ის რაღაც ნიშანს ელის. ეს ნიშანი სხვა სამყაროდან მოსულმა ლტოლვილმა მისცა. ლტოლვილმა თავისი გზა უკვე გაიარა, მაგრამ სანამ თავისი სვლის ლოგიკურ ბოლოს მიუახლოვდება, მან მისია უნდა აღასრულოს. ეს მისია დომენიკოს “ანთებაა”, ნაჭუჭიდან გამოსხობა.

ლტოლვილი იმ ხალხის შვილია, სადაც ყველას ჰქონდა, ან უკეთ რომ ვთქვათ, “ჰყავდა” თავისი ხე. ეს ხე “ზოგისთვის მხოლოდ მფარველი იყო, ზოგიერთისათვის კი საქმრო და დანიშნული. ქალიშვილებს ღამაზე, ვერცხლისფერტანა ხეებს გაურიგებდნენ ხოლმე. როგორც კი თორმეტი წლისა შესრულდებოდა, თმაგაშლილი მიჰყავდათ ხესთან. იქ კი ჯერ თავკარა სიციხეში დიდხანს უნდა მდგარიყო პატარძალი, თმაგაშლილი იდგა და თუმცა დოლები გაბმულად გუგუნებდა, მაინც ესმოდა საკუთარი გულისძგერა. მერე კი, თეთრწვერა ბერიკაცის ნიშანზე, ფრთხილად შედიოდა მის ოდნავ მოცახცახე ჩრდილში და ვერცხლისფერ მერქანს სახელაწილი ჰკოცნიდა”. ლტოლვილსაც ეგულებოდა საკუთარი ხე – მას გრილი მოტკპო ნაყოფი ჰქონდა... ამ ხეს მამას ეძახდა ლტოლვილი.

განღმრთობილი ბუნება... რამდენი რამ დაწერილა ამაზე. პანთეიზმიო, ბუნების გასულიერებაო და ვინ იცის, კიდევ რა. მთელ მეცნიერულ თეორიებს ერთი უბრალო უნიგნური ინდიკალი გულბურჯილო სიტყვებს ემაჯობინებდა: “ყოველი სულიერი მოძრაობისას რაღაც მომენტში ისვენებს. ჩიტი, რომელიც მიფრინავს, ხეზე ჩამოჯდება ბუდის გასაკეთებლად ან დასასვენებლად. ადამიანიც ისვენებს, როცა მოისურვებს. ამგვარადვე ისვენებდა ღმერთი. მზე – ასეთი ბრწყინვალე და დიდებული – ის ადგილია, სადაც მან შეისვენა. მთვარე, ვარსკვლავები, ქარები – ის იქაც იყო. ხეები, ცხოველები – მისი შესვენების პუნქტებია. ინდიელი ფიქრობს ამ ადგილებზე და მათკენ მიმართავს თავის ლოცვებს, რათა ლოცვამ მაღლის ადგილს, სადაც ღმერთი გაჩერდა და მლოცველმა მიიღოს უფლისაგან დახმარება (კლევო-სტროსი, “პირველყოფილი აზროვნება”, თარგმ. რუსულიდან).

დიახ, ღმერთმა “შეისვენა” ხეების, მდინარეების, მზისა და მთვარის, ვარსკვლავიანი ცის შექმნისას და ყველაფერში თავისი სულის დიადი ნაწილი დაავალა. ბუნებას თავის ენაზე ესაუბრებიან მაღალსოფლები. თუ გვაღვიანი ამინდი დადგებოდა, ჯერ თიხის ჭურჭელს გამოალაგებდნენ ეზოებში, ცას აჩვენებდნენ – ცარიელია, შეგვენი, ავივისეო. თუ ეს არ გაჭრიდა, ყველაზე ღამაზე ქალს გააშიშვლებდნენ და ბორცვზე დასვამდნენ, “ასე ფიქრობდნენ, მზე რომ ასეთ ღამაზე ქალს შიშველს დაინახავს, შეჩერება მოუნდება, ეს კი არ შეიძლება და გზა მშვიდად რომ განაგრძოს, ღრუბლებით დაფარავს ამ ქალსო, ღრუბლე-

ბიდან კი ვინ არ იცის, წვიმა მოდის... ეგებ მონვიმოსო”.

ბუნების შვილებს ბუნების ენა ესმით. ბუნების შვილია დომენიკო – დიდი მეოცნებე თვალებით, ფერმკრთალი პირისახით, სევდით; ცნობისმოყვარე, კეთილი დომენიკო. ამასთან, იგი ყმანვილია, რომელსაც ჯერ 18 წელი არ შესრულებია. მან ინიციაცია უნდა გაიაროს, დაკაცდეს, ცხოვრება იცხოვროს; ნამდვილი ცხოვრება, განსხვავებით გვეგვესგან, რომელიც კმაყოფილია იმით, რაც აქვს; არასოდეს მონყდება თავის გარემოს, სადაც მაძღარია და უზრუნველყოფილი.

დომენიკოს სურს ნახოს ზღვა, ღამაზე-ქალაქი... მოუთმენელმა სურვილმა მაღალსოფელი დაატოვებინა. მამამ გზა დაულოცა. მამამ, რომელიც სოფელში დარჩა, მაგრამ მუდამ თან ახლავს დომენიკოს. მამას მუდმივად გრძნობს მგზავრი, მის სახებას ხედავს იმ ღამაშიც, რომელიც ჭერს ამჩნევია, როგორც კი ზეითი აიხვედავს, როდესაც შიში დაეფუფლება, მამას შეიგრძნობს დომენიკო.

ზღაპარშიც ასეა... პირველი გამოცდა უფრო ადვილია. პირველად დომენიკომ ქალი უნდა შეიცნოს. ეს აუცილებელია, რომ ჭაბუკი დომენიკო დავაჟკაცდეს. ღამაზე-ქალაქში მან ქალი უნდა შეიცნოს.

ის, რაც ღამაზე-ქალაქში ხდება, ძალიან ბანალურია, თან ძალიან ნამდვილი. სწორედ ამიტომ მათ მნიშვნელოვანი.

“ნამდვილი ქალი” – ტერეხა: რიტუალური მეძავი, ნაყოფიერების დიდი ღვთაება, მაღალი მკერდით, ფართო თეძოებით, დასკდომამდე სახვე დაბერილი ტუჩებით, გველივით მკლავებით, ხუთი მახრჩობელა თითით, ტკბილი არომატით, სასურველი, თამამი, გამომწვევი, საშიში, ვერაგი, როგორც მეცნიერები იტყვიან, ამბივალენტური. ისე ძალიან სურდა ტერეხა – ნამდვილი ქალი – დომენიკოს, რომ მინის ბელტისაგან ქალის ფიგურა გააკეთა (სოფელში რომ წვიმის ღვთაებას გამოჩორკინდნენ ხოლმე ხიდან, ისე), კოცნიდა და ევედრებოდა მონყალებას. ქალი სურდა დომენიკოს ძალიან, ნამდვილი ქალი, ტერეხა.

ამავე ქალაქში ცხოვრობენ სხვებიც: ნიღბიანი ქალი, ყალბი ქალი, სახემოპირკეთებული კახა – მამიდა არიანდა და მისი სენტომენტალური ძმისშვილი კონჩეტინა, რომელმაც თავად არ იცის, რა უნდა.

და ბოლოს, ქალი, რომელიც არ ცხოვრობს არც ვარდისფრად, არც ცისფრად შეღებილ სახელში. ქალი, რომელიც არავის ჰგავს – ანა-მარია. მაგრამ ანა-მარია “დამიზებუელია”, მას სხვა ბატონი დაჰპატრონებია. იგი ანტიკური დროის მისანს ჰგავს, პითას, კასანდრას, სიბილას, ის ამ ქვეყნისა არაა. გრძნობს ამას დომენიკო და იტანჯება, იმიტომ, რომ უყვარს ქალი, რომელიც მას არ ეკუთვნის, თუმცა მისი ცოლია.

კიდევ სხვა რამეებიც გაიგო სოფელმა დომენიკომ ღამაზე-ქალაქში. ქალაქის რიტმი შეიგრძნო და ქალაქის სიყალბე. დიახ,

რიტმი და სიყალბე. უცნაური ტრადიცია ჰქონდათ ღამაზე-ქალაქელებს: ღამის დარაჯი ღეპოლდინო ყოველ საათში ამცნობდა თანაქალაქელებს, რომ, სიტყვაზე, “დილის რვა საათზე მეტია, და ყველაფერი რიგზეა”. საქმე ისაა, რომ არც ამ ქალაქში იძვრის დრო. ანუ ყველაფერი ხდება. ეს უძრაობა და ერთფეროვნება აწყობს ყველას. ერთმანეთს ენაცვლება ზაფხულის, ზამთრის და გაზაფხულის თამაშები. ცხოვრება თამაშსა და დროსტარებაში გადის. იქ ყველაფერი ყალბია – სიყვარულიც, მეგობრობაც. ეს სიყალბე შეიცნო დომენიკომ.

ღამაზე-ქალაქში გაიცნო მგზავრმა ალექსანდრო; კაცი, რომელსაც ყველა გიჟად თვლის. გიჟად კი იმიტომ თვლიან, რომ ალექსანდრო ქადაგად დაეცემა ხოლმე და ყველას ურთიერთსიყვარულისაკენ, შენდობისა და მიტევებისაკენ მოუწოდებს. ერთხელაც თავისი ამბავი უამბო ალექსანდრომ მგზავრს. ერთ ამბად მარტო ეს ღირს: უამბო, როგორ გარდაისახა საშინელი სიძულვილი საოცარ სიყვარულად. ამ სიყვარულს, ტანჯვით შობილს, კაკტუსის ყვავილს უწოდებს ქადაგი. ალექსანდროს ეს ამბავი არ გამოუგონებია, იგი მას და მის ძმას გადახდა თავს. ერთი ძმა ღამაზე-ქალაქში ცხოვრობს, მშვიდობიან გიჟად მიიჩნევენ, რადროს ურთიერთსიყვარულიაო, - ამბობენ. მეორე ძმა კამორაშია – ავაზაკთა ქალაქში ის სიყვარულს არ ქადაგებს, ის ძალას იყენებს ბოროტებასთან საბრძოლველად.

ღამაზე-ქალაქში რაც უნდა გაეგო, გაიგო დომენიკომ. ახლა გზა უნდა განაგრძოს.

გზას იგი დიდ, ნაცრისფერ, გლუვ ქალაქში – კამორაში მიჰყავს. ეს ქალაქი ჩვენი არცთუ შორეული ყოფის ასოციაციას იწვევს. მაგრამ ამაზე საუბარს ახლა არ გავაგრძელებ. საქმე ისაა, რომ დესპოტური ძალაუფლების ზეობის ის მოდელი, რომელიც კამორაში დამკვიდრებულა, ისევე ძველია, როგორც კაცობრიობა. ვარდისფერი და ცისფერი ღამაზე-ქალაქისაგან განსხვავებით, მარმარილოს ქალაქ კამორაში ყველა კაერი ყრუდაა ჩაკეტილი, ხალხი სიმდიდრეს გადაურევია, პირველი ქალბატონი ძვირფას თვლებს ალუბლებივით მიირთმევს, ახრამუნებს. აქაც არის ღამის დარაჯი, ხმელი კაეტანო, რკინისნიღბოსანი, რომელიც ყოველ საათში ამცნობს კამორელებს, რომ “დილის რვა საათია და ყველაფერი გენიალურადაა”.

ამ ქალაქში დომენიკო წუმბეში ჩაეფლო. მონომითის რიტუალური მოდელის შესაბამის ეტაპს თუ მივუსადაგებთ, ეს შეიძლება გმირის ქვესკნელში ჩასვლად, გველუშაპის სტომაქში მოხვედრად მივიჩნიოთ. ინიციაციის რიტუალის მიხედვით კი ეს სიკვდილის ეკვივალენტურია. სიკვდილისა, რომელსაც უნდა მოჰყვეს ალდგომა. მონომითის მოდელში გმირს ამ ურთულეს გზაზე ჰყავს “დამხმარე”, სხვაგვარად გმირი გზას ვერ გაიკვლ-

# თანახები

ES გვერდი

ევს (ოდისევსსაც ეხმარება ათენა; აქილევსსაც), ენეასსაც ეხმარებოდა... დომენიკოს კამორაში მფარველობს ალექსანდროს უფროსი ძმა – მიჩინიო.

ერთი რამ აუკრძალა მფარველმა დომენიკოს. კამორის მკვიდრი ერთმანეთს “ჰალეთი” მიმართავდნენ. ჰალე, გრანდჰალე და გრანდისსიმოჰალე “ამხანაგოს” ტიპის მიმართვად უნდა მოიაზრებოდეს რომანში. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი განცდა დამეფულა. დომენიკო იძულებულია ამ ქალაქის უამრავი პირობითობა მიიღოს, რათა გადარჩეს. მაგრამ არ უნდა მიიღოს ის, რის მიღებასაც არ აიძულებენ. თუ ნებით მიიღებ, ე.ი. მზად ხარ, გახდე ერთ-ერთი იმათგანი. სწორედ ამიტომ ეუბნება მფარველი დომენიკოს მკაცრად: “ეს ჰალე არ გამაგონო”.

ცოდვის ბუნაგიდან მგზავრი დამხმარემ გამოიყვანა. მაგრამ დომენიკომ თავად მოახერხა ის, რომ არ გაიბზარა შინაგანად, სული არ დაუბინძურდა. ასე რომ, ინიციაციის ეს ურთულესი ეტაპიც გაიარა მგზავრმა დომენიკომ.

ჯოჯოხეთგამოვლილი მგზავრი კანუდოსში მოხვდა – თავისუფალ ქალაქში. კანუდოსი ტიპური პირველქალაქია, რომელიც მწყემსებმა და მინის მუშებმა დააარსეს. დააარსეს მდინარის პირას. ხუთმა დიდმა კანუდოსელმა ჩაუყარა საფუძველი ამ ქალაქს. დაბეჩავებული სერტანიდან წამოსულმა ხუთმა მეამბოხემ, რომელთაც არ ისურვეს მონობა.



“ეს ქალაქი მდინარის პირას ძევს.

იქ სახლები თეთრი თიხისაგანაა აგებული.

იქ ადამიანები ძმებივით არიან და თანაბრად იყოფენ ყველაფერს”.

კანუდოსს ერთი საკრალური რამ ჰქონდა – ცოცხალი მდინარე. “მდინარე უხვი, მდიდარი, ამოზნექილი, ფერად კენჭებზე გადადიოდა და ათასხმოვან მარტივ სიმღერას აჩხრიალებდა, აჩურჩულებდა... სულ, სულ ყოველ წამს ახალი იყო”. ამ მდინარეში განიბანა ყველა, “წყალში ხტოდნენ ტანსაცმლიანი სერტანელები” და იქიდან ამოდიოდნენ კანუდოსელებად. ეს ქეშმარიტად საკრალური რიტუალია. ამ მდინარეში “ერთმა კაცმა შვიდი თევზი გაუშვა ადრე”, გამრავლდა მდინარეში თევზი და დააპურა თავისუფალი კანუდოსელები”. ამ მდინარეში განიბანა კამორიდან მოსული დომენიკო, ტანსაცმლიანად განიწმინდა და ახალსულჩადგმული გამოვიდა ნაპირზე. ამ ქალაქში და ამ ქალაქელებისაგან თავისუფლების ფასი ისწავლა, ურთიერთსიყვარულის დიდი მაგალითი მიიღო. ხუთივე დიდი კანუდოსელი გმირულად და ღირსეულად აღესრულა დომენიკოს იქ ყოფნისას. გმირობა ხომ სხვათა სანაცვლოდ, სხვათა საკეთილდღეოდ სიკვდილს გულისხმობს. გმირი ზვარაკია.

კანუდოსის თეთრ სახლებს შორის მიაბიჯებდა დომენიკო. “გზად თანაქალაქელებს ესალმებოდა, ყოველივეთი იხიბლევ-



ბოდა – სხვა წყალი იყო აქ, კანუდოსში, სხვა გემო ჰქონდა, სულ სხვა ჰაერით სუნთქავდა მგზავრი, სხვანაირ სახლებს შვევით უმზერდა, სხვაგვარ მიწაზე ბედნიერი დაბიჯებდა და უცნაური რამ დაემართა, ადამიანი შეუყვარდა”.

მგზავრი ამ ქალაქში რომ დარჩენილიყო, საინტერესო დასასრული ექნებოდა რომანს, მაგრამ არა რიტუალური. მითორიტუალური გმირის მოძრაობის ტრაექტორია წრიულ-სპირალურია. გმირი შინ უნდა დაბრუნდეს და ჩაიტანოს მთავარი ფასეულობა თავის სოფელში, თავის ხალხში. მაინც რა გაიგო დომენიკომ ამდენი ხეტიალით, ხიფათიანი გზების გავლით, სიკვდილთან მრავალგზის მიტოვებით?

მთავარი ფასეულობა არამა-

ტერიალურია, და მას კაცთა შორის სიყვარული ჰქვია.

მერედა საჭიროა კი ამ მარადიული ქეშმარიტების ამდენჯერ გამეორება? საჭიროა, ბატონებო, საჭიროა! მით უმეტეს, თუ ამას ასეთი დიდი ოსტატი გვეუბნება, როგორც ბატონი გურამ დოჩანაშვილია.

დომენიკო ბრუნდება შინ, მამასთან, რათა დრო რომ მოვა, თავად გახდეს მამა და ბატონი, დომენიკო იქცეს დომინუსად (ლათ. ბატონი, უფალი) და მამინ, როდესაც საგაზაფხულო დღესასწაულის ყამი დადგება. დომენიკო დადგება ლოდზე, შეეგებება თავის ხალხს და დალოცავს. ეს კი საჭიროა იმისთვის, რომ მაღალ სოფელში არ დაირღვეს “ჩვეულებსიანებრ მამული-სა სლვა”. ტრადიცია და რიტუა-

ლი ხომ “რჯულზე უმტკიცესად” კრავს ხალხს. რჯული კი – ბუნებითი რჯული – კაცთმოყვარეობას რომ ქადაგებს – მამასა და ძეშია განფენილი.

კიდევ იმიტომ ბრუნდება დომენიკო, რომ თავისი ხელით მოიპოვოს არსობის პური თავისი მამის, მამა-პაპის მიწაზე. მაღალ სოფელს უბრუნდება ერთ-ერთი მუშაკი, რომელმაც ქვეყნიერება მოიარა და ვერა ჰპოვა რა უმჯობესი მთის წვერზე გაშენებული თავისი სოფლისა. მე არ ვიტყვი, რომ დომენიკო არის ძე შეცდომილი. იგი მამის კურთხევით მიდის, და როგორც ალვინში, არასოდეს განემორევა მამას. იგი მიდის, რათა შეიცნოს ის, რაც იცის მამამ. იმიტომ, რომ ლაპარაკსა და შეგონებას თავად განცდილი ჯობია. მიდის

ექვსი ათასი დრაჰკანით (თავისი წილით) და ბრუნდება მშვირ-ტიტველი, ღორის სალაფავს დანატრული. ახლა უკვე მადლიერებით შეუძლია მიიღოს პური, რომელსაც მამა უწილადებს, შეიცნოს მადლი ლუკმისა, რომელსაც უფალი გვიბოძებს.

თავიდან ვიკითხე, წიგნს რა გვაკითხებს-მეთქი. სწორედ ამ ემოციის ისევ და ისევ განცდის სურვილი. თანაგანცდა, თანასწავლა, თანახეტილი, თუ გნებავთ! ყველა გმირს ხომ არ ენდობა მკითხველი. ზოგი წიგნს დახურავს, მიხვდება, რომ გმირი ყალბია, სიტუაცია მოგონილი, ავტორი წვალობს. დომენიკო კი დიდხანს ივლის და ბევრსაც აიყოლიებს; მთავარია, გადამალეთ პირველი ფურცელი, მოხერხებულად მოიკალათეთ და წავიდა...

მარა ბალაბოშინი ფოტოგრაფი

# ფართო ღირიკული თვალსაზრისი



ანდრო ბუაჩიძე

**ვიტრაჟები. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების გერმანული პოეზიიდან. თარგმანი კონსტანტინე ზ. გამსახურდიასი. „საარი“. თბილისი, 2002.**

გერმანული ღირიკის ქართულ ენაზე თარგმნას თავისი ისტორია აქვს. წარმატებულად დაძლეული სირთულე, ყოველი ახალი თარგმანი სავსებით განსხვავებულ წახნაგს სძენს ამ ისტორიას. ხშირად კამათობენ პოეზიის თარგმნის საკითხებზე და სამართლიანად დასძენენ, რომ თვითნებური განკერძოებულობა მხოლოდ და მხოლოდ ზიანს აყენებს ამ საქმიანობას. ეს, რა თქმა უნდა, ფაქტია და ამ ფაქტთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოეზიის თარგმანი ამა თუ იმ რთული ტექსტის ინდივიდუალური ნაკითხვის და კვლავ აღდგენის მეშვეობით სრულდება.

კონსტანტინე ზ. გამსახურდიას თარგმანებში გერმანული ღირიკის ვრცელი გზა მონიშნული გოეთედან ენცესბერგე-

რამდე. ეს გზა რთულია და მრავალფეროვანი, როგორც ზოგადად მხატვრული აზროვნების, ისე უშუალოდ ლექსნერის თვალსაზრისით. რაც მთავარია, ამ წიგნში თავმოყრილი არიან ის პოეტები, რომლებიც ქართულად ან საერთოდ არ თარგმნილან ან ძალზე იშვიათად. აი, ისინიც: კლემენს ბრენტანო, იოზეფ ფონ აიხენდორფი, ფრიდრიხ რიუკერტი, ედუარდ მოერიკე, ფრიდრიხ ჰებელი, კონრად ფერდინანდ მაიერი, ფრიდრიხ ნიცშე, რიხარდ დამელი, ქრისტიან მორგენშტერნი, სტეფან გეორგე, ჰერმან ჰესე, მარია ლუიზე კაშნიცი და სხვები.

სიმბოლურია გოეთეს ლექსი, რომელშიც საუბარია ეკლესიის ვიტრაჟებზე. ადამიანი, რომელიც გარედან შეიხედავს ეკლესიაში, ვიტრაჟებს მიღმა შენიშნავს “მხოლოდ ბნელ-პირქუშ შიდა სივრცეს”, სადაც დაკვირვებული თვალიც კი ვერაფერს ვერ გაარჩევს. ეკლესიაში შესვლისთანავე კი სულ სხვა სურათი გადაეშლება მნახველს: “ოღონდ ინებეთ და ტაძარშიც შემოდგით ფეხი! / წმინდა კაპელას მიესალმეთ, თავყვანი ეციოთ; / ფერადოვანი აქ იღვრება ნათელი ზეცით, / ისტორია და ორნამენტი კრთება ელვარე / და კეთილშობილ სილამაზეს მოუცავს არე. / ეს ყოველივე თქვენთვისაა, ღვთისშვილნი, კარგი, / თვალს ახარებს და გაგანათლებს სულისთვის მარგი!

ასეა ეს წიგნიც. მისი წამკითხველი “შიგნიდან” დაინახავს სამყაროს, ათასგვარ ნიშნებს და სამშვენიესებს. ამ წიგნის წამკითხველს თვალწინ გადაეშლება უფართოესი ღირიკული თვალსაზრისი, რომელიც დროში და სივრცეშია გარშემოწერილი. ეს წრე უაღრესად ფართოა, ვინაიდან გერმანულ ღირიკაში აღმა-

რთულ უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტებს მოიცავს.

“ვიტრაჟები” ერთგვარი გზამკვლევაა გერმანულ პოეზიაში. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სამი ან ოთხი ლექსით ძნელია ისეთი რთული პოეტების გაცნობა, როგორებიც არიან გეორგ თრაკლი ან ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი. ამავე დროს, მთარგმნელი უაღრესად ძნელი ამოცანის წინაშე იდგა იმ მხრივაც, რომ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პოეტების სამყაროს უნდა მორგებოდა. მას ერთგვარი სტილური გარდასახვა უნდა მოეხდინა, ვინაიდან ამის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ურთიერთსაპირისპირო პოეტების გადმოღება. ვთქვათ, შილერის ბრწყინვალე ღირიკიდან აქ მხოლოდ ერთი ლექსია მოხმობილი. ბუნებრივია, ადგილის სიმჭიდროვის გამო მთარგმნელი ეცადა ერთი ლექსის მეშვეობით პოეტის მრავალგვარი თავისებურება გადმოეცა, რაც თითქოს შეუძლებელია. ლექსი კი, რასაკვირველია, შესანიშნავია. აქ საუბარია იმაზე, რომ სიკვდილს ყოვლისშემუსრავი ძალა აქვს, დაუნდობლად ანადგურებს ყველას და ყველაფერს. მაგონდება ინგლისელი კლასიკოსის ჯონ კიტსის ერთი უსათაურო ლექსის სტრიქონები: “მშვენიერება ძალმოსილია, მაგრამ სიკვდილი იმასაც სძალავს”. დაახლოებით, იგივეს ამბობს შილერიც, ოღონდ განსხვავებულ აქცენტს აკეთებს: “თვით მშვენიერსაც უწევს სიკვდილი! / ადამიანებს და ღმერთებსაც რომ ეუფლება, / სტიგიურ ზევსის ბრინჯაოს მკერდს კი ვერ შეატოკებს. / სულ ერთადერთხელ მოალბო ტრფობამ აჩრდილთ მეუფე. / და ზღურბლიდანვე მკაცრად გაიღო თავისი ძღვენი. / მშვენიერ ჭაბუკს ვერც აფროდიტე უამებს ნაჭრევს, / ნატიფ

სხეულზე მძვინვარე ტახის მიერ განახლებს. / უკვდავი დედაც ველარ დაიხსნის ღვთაებრივ ჰეროდეს, - / აღსრულდა სკეას კარიბჭესთან ძის ბედისწერა. / ამოდის ზღვიდან, თან ნერეოსის ახლავს ასულნი, / და აღმოხდება გლოვის ზარი დაღუპულ შვილზე. / შეხე! ღმერთებიც და ქალღმერთებიც გოდებენ ყველა: / მშვენიერიც უნდა გარდახდეს, მოკვდეს სრულქმნილიც. / დედებუღია, სიმღერა გლოვის – სატრფოს მიერ ამონაკვნისი, / უმსგავსს ორკუსში მიაცილებს რადგან დუმილი”.

კონსტანტინე ზ. გამსახურდიას ენა თავისებურია, არქაული ელფერი გადაჰკრავს. ამგვარი ენობრივი სტილი და მისი შემქმნელი ლექსიკა თავისებური ინტონაციის ბადებს. ეს ინტონაცია თითქოს გარდასული ხანის კლასიკურ პოეზიას უფრო ესადაგება, ვიდრე თანამედროვეს. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ მთარგმნელი დროის კვალდაკვალ ამარტივებს ენას. ამ გამარტივებას, ერთი მხრივ, სათარგმნი ტექსტის სიმარტივე განაპირობებს, მეორე მხრივ კი, თვითონ ავტორი ცდილობს თანამედროვე რეალობის შემოტანასთან ერთად გარკვეული სიმსუბუქე შესძინოს ლექსს.

ჰანს მაგნუს ენცესბერგერი ის პოეტია, რომელიც თანაბრად კარგად ფლობს ტრადიციულ და არატრადიციულ ფორმებს, თუმცა ამგვარი გამოწვევა მისი პოეტური აზროვნებისთვის მთლად შესაფერი არ არის. ენცესბერგერი სხვადასხვა ინტონაციურ ნყოფას, სტრუქტურას, ლექსის განსხვავებულ გრაფიკულ გამოსახულებას მიმართავს, მაგრამ მისი აზროვნება ყველგან რთულია, არაერთგვაროვანია, ღირიკულ-აზრობრივი აქცენტებითაა


დამუხტული. წმინდა ენობრივი სისადავე და სიმარტივე (რაც თანამედროვე და მით უმეტეს ექსპერიმენტული პოეზისთვისაა დამახასიათებელი) კარგად ეთავსება ენცესბერგერთან აზროვნების სირთულეს და ელასტიკურობას: “ვხატავ თოვლს / ვხატავ დაჟინებით / ვხატავ პირდაპირ / დიდი ფუნჯით / თეთრ გვერდზე / თოვლს. / ვხატავ დედამინას. / ვხატავ ჩრდილს / დედამინას, ღამეს. / არ მძინავს / ვხატავ მთელი ღამე. / ათოვს, პირდაპირ, დაჟინებით / რასაც მე ვხატავ. / დიდი ჩრდილი / ეხება ჩრდილნახატს. / ამ ჩრდილქვეშ / ვხატავ / ღამის დიდი ფუნჯით / ჩემს პანანინა / ჩრდილს დაჟინებით”.

გოტფრიდ ბენის და მარია ლუიზე კაშნიცის სახელები ქართველმა მკითხველმა ლიტერატურული ცნობარებიდან და მიმოხილვითი ხასიათის წერილებიდან იცის; ამჯერად კი მას მიეცა საშუალება ზიარებოდა ცნობილი პოეტების შემოქმედებას. იგივე ითქმის გიუნტერ აიხის და იოჰანეს ბობროვსკის ლექსებზეც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ინგებორგ ბახმანის ლექსების თარგმანები. ჩემი აზრით, მთარგმნელმა შეძლო გადმოეცა მისი პოეზიის ფერადოვანი მეტაფორულობა, უცნაური სინატიფე და სიფაქიზე, შეიძლება ითქვას, მისტიკური მრავალმნიშვნელოვნება და იდუმალბეადაც კი. ამ პოეტთან ყოველივე ეს შესანიშნავად ერწყმის თანამედროვე რეალობას, ცხოვრების დღევანდელ ატმოსფეროს, ადამიანის ამჟამინდელ სანუხარს და საფიქრალს: “ვინ იცის უკვე ცა მერამდენე / გამოგვივლია გაყინულ მზერით? / გამოძევებულ მინიერ დროში / და სივრციდან გამოგდებულებს”.



იოჰან ვოლფგანგ გოტე  
(1749-1832)



ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი  
(1874-1929)



გეორგ თრაკლი  
(1887-1914)



ჰანს მაგნუს ენცესბერგერი  
(დაიბადა 1929 წელს)



სოსო ტაბუცაძე

### გოეთე. მგზავრის ლამეული სიმღერა. რედაქტორი გურამ ჭოხონელიძე. თბილისი 2002.

ერთი საინტერესო წიგნი გამოვიდა "გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილისის გაერთიანების" გრიფით. "საინტერესო", ამ შემთხვევაში, პარაზიტი სიტყვა არ არის. იგი შეიძლება "ორიგინალურის" სინონიმად გამოდგეს.

ერთი სიტყვით, ეს წიგნი მშვენიერი ორიგინალური იდეის მშვენიერი რეალიზება გახლავთ და თუ მას კიდევ ერთ "მშვენიერს" მივუმატებთ, მივიღებთ შემდეგ აზრს (რომელიც ამ ოპუსის ნომერ პირველ წინადადებაში შეიძლება "ჩადებულიყო"): გოეთეს ერთი ლექსის ქართული თარგმანების ერთად თავმოყრის მშვენიერი იდეის და ლამაზი "ტაშენბუხის" ტიპის მშვენიერ წიგნად გამოცემის ავტორი და აღმასრულებელი გახლავთ მშვენიერი გერმანისტი გურამ ჭოხონელიძე. ამ ჩვეულებრივი აზრის გამოსახატავად "მშვენიერების" მთელი მარაგი იმიტომ კი არ გავზარდვე, რომ ჩემი ახლობელი კაცი მექო, არამედ იმისთვის, რომ თვითმხილველის პოზიციიდან აღმენიშნა, თუ როგორი რუდუნებით კრებდა გურამი "მგზავრის ლამეული სიმღერის" ქართულ თარგმანებს. უფრო ზუსტად, მან შეკრიბა ის, რაც უკვე ბეჭდურად არსებობდა; ყველაფერი მოიძია და შეკრებილს მიუმატა ის, რაც მხოლოდ ხელნაწერის სახით არსებობდა გერმანისტ თარგმნელთა თუ პოეტთა საწერი მაგიდის უჯრა-ლაბირინთებში და, რაც ყველაზე მთავარი თუ მნიშვნელოვანია, - ლექსის ხელახლა თარგმანების იდეა გადასდო რამდენიმე საინტერესო (ნაიკითხვე: კარგ!) თარგმნელს და "ჭოხოს" ენთუზიაზმის ლოგიკური დაგვირგვინებაც ხელთა გვაქვს წიგნის სახით.

თარგმნელთა სიას მხოლოდ იმიტომ შემოგთავაზებთ, რომ წარმოიდგინოთ გოეთეს ამ შედევრის ქართულ სივრცეში ცხოვრების დრო-სივრცული მასშტაბი. ჯერ ისა ვთქვათ, რომ თუ ამ ჩამონათვალს ერთ მთლიანობად წარმოვიდგენთ, იგი შეიძლება ასეც დავასათაუროთ: "გრიგოლ ორბელიანიდან ირმა შიოლაშვილამდე". აი, როგორ შეახვედრა წინაპრები და ჩვენი

ლამაზი და გულის წარმტაცი თანამედროვენი გოეთეს საკულტო ტექსტმა "Wanderers Nachtlied". ლექსი, საერთოდ, უსათაუროა და "მგზავრის მწუხრის სიმღერად" დასათაურება მისმა ერთგვარად იდუმალმა ბუნებამ განაპირობა. იდუმალეზა იდუმალეზად, მაგრამ რეალობასთან რომ ახლოს აღმოვჩნდეთ, ერთი ფაქტიც უნდა გავიხსენოთ: გოეთეს ამ სათაურით აქვს სხვა ლექსი და სწორედ მას ჰქვია "Wanderers Nachtlied". ამას მოჰყვება ტექსტი პირობითი სათაურით "Ein Gleiches". ანუ "ამისდაგვარი", "მსგავსი". ე.ი. "იმ" ტექსტის სათაურის ექსტრაპოლაცია მოხდა "ამ" ტექსტებზე და სწორედ ამიტომ, რომ ეს ორი ტექსტი გარკვეული ტრადიციის მიხედვით ერთმანეთის მიდევნებით იბეჭდება. "გარკვეულს" ვამბობ იმიტომ, რომ არ ვიცი ეს საყოველთაოდ ასეა თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ასეა ტრუნცის (Erich Trunz) აკადემიურ გამოცემებში და იმ ტექსტს, რომელსაც "Wanderers Nachtlied" ჰქვია, იწყება ასე: Der du von dem Himmel bist./ Alles Leid und Schmerzen stilles..."

ერთი სიტყვით, დაინტერესებული მკითხველი ამ საკითხს ჩემზე უკეთ გაარკვევს, მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენი თარგმნელებიც ამ გავრცელებული სათაურის ვარიანტებს გვთავაზობენ: "მთანი მაღალნი", "მგზავრის სიმღერა", "მოგზაურის ლამის სიმღერა", "სიმღერა მგზავრისა", "მგზავრის მწუხრული სიმღერა", "მოხეტიალის ლამის სიმღერა", "მოგზაურის ლამეული სიმღერა" და ა.შ.

გრიგოლ ორბელიანისეული თარგმანი დაბეჭდილია 1865 წელს "ცისკრის" პირველ ნომერში და იგი შესრულებულია "ლერმონტოვიდამ"; ე.ი. ამ შემთხვევაში მაშუალ ენად რუსული გვევლინება, რაც ჩვენი თარგმნელობითი პრაქტიკისათვის, როგორც ჩანს, არც იმ დროისათვის და არც მოგვიანებით უცხო არ ყოფილა. თვით ამ პრაქტიკის

ღირსებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ ტრადიციით შემოსული გოეთეს ლექსი ნამდვილად კარგად იკითხება ქართულად: მთანი მაღალნი, / მიმშვიდებულნი / ლამისა ბნელში მიეცნენ ძილსა; / მყუდრონი ველნი, / ტკბილსაყნოსელნი, / გულს უგრილებენ შრომით ძლეულსა. / და ა.შ.

კარგობისა კი ვთქვი, მაგრამ ეს რეასტრიქონიანი ლექსი გრიგოლ ორბელიანთან ნამეტანი დაგრძელებულია და ნათქვამი რომ საყვედური არ გამოვიდეს, რედაქტორის წინათქვამი მოტანილ მოპენჰაუერის სიტყვებს მოვიშველიებ: "ლექსის თარგმნა შეუძლებელია, იგი მხოლოდ შემოქმედებითად ხელახლა უნდა შეიქმნას, მაგრამ ყოველთვის კამათის საგნად დარჩება". ჭოხოს კამათის საგანი არასოდეს ელევა, მაგრამ ამჯერად შეკამათების საუკეთესო ფორმისთვის მიუგნია და ლექსის ხელახალი თარგმანებისთვის მიუყვია ხელი; თანაც ერთი კი არა, ექვსი თარგმანი თუ ექვსი ვარიანტი შემოთავაზებია. ძალა და გამოცდილება არც სხვა მთარგმნელებს დაუშურებია და ისინიც გოეთესთან მიახლებების რამდენიმე ნიმუშს გვაცნობენ. ასე რომ, ქართველი მკითხველი გოეთეს ამ ემბლემატური ტექსტის სრული ფუფუნების მფლობელია, მაგრამ არჩევანის სირთულეც მისივე დასაძლევია და აქ უკვე ყველა გზა გემოვნებასთან მიდის. გემოვნება კი ჩვენში გალაკტიონის მიერაა ნაწრთობი და მისი პოეტური უნარი 1915 წელს შესრულებულ "მგზავრის სიმღერის" თარგმანშიც ლაღად იშლება: სიმშვიდეში თვლემს / მწვერვალები მთის, / ქარი არა სცემს, / ფოთოლი არ თრთის; / მოსვენების ჟამს / მისცემია ტყეც, / მოითმინე წამს, / მოისვენებ შენც.

გოეთეს შედევრთან დაკავშირებით ეგონ ადერჰოლდი წერს, რომ მოგზაურის მზერა "ალენოს" სპირალს - მთის მწვერვლიდან ხის კენწეროებამდე და ფრინველებიდან საკუთარ

მე-მდე, ზუსტად ასევე მოდის ხმა: გარედან შიგნით. ეს არის რალაცნაირი დაშვება, წარწარი, ლბილი გადასვლა გარე ხედვიდან შინაგანზე. ლექსს არ "პოჭავს" ტროპული მეტყველება, მეტაფორათა კასკადი ან რაიმეგვარი სიმბოლიკა. ის კი არადა, იგი არცაა აღწერილი, ანუ მწუხრის სიმშვიდეს კი არ აჩვენებს, არამედ თვითონ იქცევა სიმშვიდედ. როგორც გურამ ჭოხონელიძე აღნიშნავს, - თვით ლექსის ენაა სიმშვიდე... მწუხრის პეიზაჟი, რომელსაც თვალს მოავლებს მოხეტიალე კაცი და მის სიმშვიდეში ჭვრეტს საკუთარ წარმავლობას, რომელიც, ერთხელაც იქნება და, ეწვევა ერთხელაჯულ სულს. ბუნება არა მხოლოდ გრძობათა ორგანოებით აღიქმება, არამედ ადამიანის სულიერ განზომილებასაც უკავშირდება; მთის მწვერვლიდან ხის კენწერომდე, ფრინველებამდე და ბოლოს - ადამიანამდე გაბმულ უხილავ ძაფებზეა ასახული გოეთეს ეს პოეტური ნიმუში. დაბოლოს, რედაქტორისავე შენიშვნით, - გოეთეს ამ ლექსს შელოცვის მაგიური ძალა აქვს, რომელიც გამშვიდებს, განწყნარებს, მაგრამ არ გადაუნებს და მელანქოლიაში არ გადაყავხარ.

აი, როგორი სამყაროს გადმოღების დილემის წინაშე იდგნენ ქართველი მთარგმნელები... და რახან "მთარგმნელი" ვახსენე, აუცილებლად მინდა ყურადღება მივაქციო ქალბატონ ნელი ამაშუკელის მიერ ზეპირად მონვდილ გაბრიელ ჯაბუშანურის მიერ შესრულებულ თარგმანს, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, მისი საკუთარი პოეზიის ათინათიც დასთამაშებს: ბინდი დაესევდა / მწვერვალებსა მთისასა / და არ ისმის სიმღერა / არც ერთ ფრინველისასა. / სიო ფრთას სცემს ტრამალებს, / სირი არ ძრავს ენასა / მოითმინე და მალე / მოისვენებ შენაცა.

რადგან მთისკენ გამექცა ყურადღება, ვიტყვი, რომ საგული-სხმო ლიტერატურულ ფაქტად მესახება ეთერ თათარაიდის თა-

რგმანი, რომელიც კიდევ ერთხელ მიდასტურებს ბანალურ აზრს, რომ თარგმნა და შემოქმედება ტყულები არიან. ოქტავიო პასი ამბობს, რომ "ისწავლო ლაპარაკი, ეს იგივეა, ისწავლო თარგმნა"-ო. რა ენაზეც და დიალექტზეც ისწავლა ეთერომ ლაპარაკი, იმავე ენაზე აამეტყველა გოეთეც: ნკვარამში დგენან მთა, მთის მწვერვალზე, / სიბუქა სიოი ხფიავ ველს ზენრად, / არც ფრინველთ ჩქამი, არც რაის ცხროი, / გვიანა მგზავრიი უჩუმრად, კენტად... / შედოდგოვდ, გაგუვდ ცოტაიც კიდენ, / შენაც გადიქცეე უენო ბელტად.

ეს რამდენიმე ნიმუში მხოლოდ გარკვეული ნიშნით გამოვარჩიე და არა წარმატება-წარუმატებლობის მიხედვით. ამგვარი ამოცანა, უბრალოდ, არც დამისახავს. აკი ვთქვი - მკითხველის გემოვნების მიხედვით-მეთქი. და მაინც, რეცენზიის თუ წარდგინების რიტუალი მოითხოვს (აკი ვაპირებდი კიდევ!) მთარგმნელთა ჩამოთვლას და გოეთესთან შეჭიდებულ ჩემთვის საპატივცემულო თანამედროვეებსა და ლიტერატურის კლასიკოსებს სარჩევის რიგის მიხედვით ჩამოვალავებ (თუკი, რა თქმა უნდა, ამ რიტუალს მახო ხარბედაც აკურთხებს და ტექსტის ხელოვნურად გაზრდას არ მისაყვედურებს): გრიგოლ ორბელიანი, დავით ნახუცრიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლომთათიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გივი გაჩეჩილაძე, გაბრიელ ჯაბუშანური, ვახტანგ ბენუკელი, იონა ვაკელი, ხანიტონ ვარდოშვილი, ნოდარ შამანაძე, კონსტანტინე გამსახურდია, შოთა ამირანაშვილი, აკაკი გელოვანი, ნინო ჟორჟოლაძე, გურამ კანკავა, გივი ძნელაძე, რუსუდან ღვინევაძე, დალი ფანჯიკიძე, გურამ ჭოხონელიძე, ზურაბ არჩვაძე, ნათია გოგოლაძე, ნათელა ხუციშვილი, ლულუ დადიანი, შარლოტა კვანტალიანი, გოჩა კუჭუხიძე, ნიკა არევაძე, დოდო ჭუმბურიძე, რატი ამალაბელი, დალილა ბედიანიძე, კონსტანტინე ბრეგვაძე, ბათუ დანელია, ნინო დარბაისელი, შოთა ზოიძე, ეთერ თათარაიძე, ქართლოს კასრადე, ემზარ კვიციანიშვილი, მაია ნათაძე, ნანა ყამბარაშვილი, შორენა შამანაძე, ირმა შიოლაშვილი.

ეს მშრალი ჩამონათვალი მაღლიერების გამოხატვის მხოლოდ ნაირსახეობად მიიჩნით, რადგან, როგორც მორის ბლანშო იტყვის, მთარგმნელებისათვის "ვერასდროს ვახერხებთ... ნამდვილი მაღლობის გადახდას".

ერთი სიტყვით და ამდენივე გაგებით, ჩვენს წინაშეა მშვენიერი ფაქტი და ლიტერატურულ საქმიანობის სივრცეს ამგვარი ფაქტებიც ამარფოებენ.

თვითონ სიტყვა "მშვენიერი" კი ლექსიკონში ასეა განმარტებული: "მშვენიერი - ძალიან კარგი, საუცხოო, წარმტაცი". მგონი მართლა ამოვწურე ამ სიტყვის არსენალი.

ძალიან კარგი! Auf wiedersehen!.. რადგან შემდგენელ-რედაქტორს განზრახული ჰქონია სამომავლოდ, ქართულთან ერთად, ამ ლექსის სხვადასხვა ენაზე არსებული ყველა თარგმანის თავმოყრა და ერთ წიგნად გამოცემა. თარგმანთქონა მაშინლა ნახეთ!





# ავსტრია, გლობალიზაცია და „მარილი ზღვაში“



ბაბა ლომიძე

**მესამე თაობა, თანამედროვე ავსტრიული ლიტერატურა. რედაქტორები დალი ფანჯიკიძე, ნანა გოგოლაშვილი, რედაქტორ-შემდგენელი მზია გალდავაძე, მხატვარი ლევან დადიანი, თბ. „ენა და კულტურა“, 2002.**

როგორც არ უნდა იყოს, ბერლინის კედლის ნგრევით ახალი ხანა დაიწყო ჩვენში (ისევე, როგორც დასავლეთში). თუ წინათ თითქმის წარმოუდგენელი იყო უშუალოდ დედნიდან ნათარგმნი თანამედროვე ევროპელი ავტორების ტექსტების გაცნობა, დღეს უკვე სხვა გარემოებაა და ეს, უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში უფრო ნათლად გამოჩნდა. რუსული ენა თანდათან კარგავს უცხოენოვან ტექსტებსა და ქართველ მკითხველს შორის შუამავლის ფუნქციას (რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ რუსული ენის პეგემონია და რუსული კულტურა ზოგადად, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში არაერთი გამორჩეული სახელით შევიდა). სხვისი დამორჩილების ერთ-ერთი საუკეთესო იარაღი ხომ კულტურული ექსპანსიაა. მეორე, პათეტიკური შესავალი გამოძივია, მაგრამ წინამდებარე კრებულის გამოცემის ფაქტმა სწორედ ასეთი დასაწყისისადმი განმანწყობს, - კრებულმა, სადაც მკითხველს შეუძლია გაეცნოს დღეს მოღვაწე ავსტრიელი ავტორების ნაწარმოებებს.

ძნელია თითოეულ ავტორზე შეჩერება და ამიტომაც შევეცდები გამოვყო თანამედროვე, ან

პრობლემატურ ნარმოშვს: ერის თვითდენტიფიკაციის საკითხი, რაც ავსტრიაში მეტ-ნაკლებად ყოველთვის მძაფრად იგრძნობოდა. გლორია კაიზერის რომანის, „ვიოლეტას“ ფრაგმენტში იქნება ოჯახური მყუდროების ნოსტალგიაც დაავინახოთ, როცა მწერალი ერთმანეთისგან გამოარჩევს ადამიანის სალამანდრისებურ ტიპს, რომლებმაც „არიციან, სად არიან მათი მშობლები, ბებიები თუ პაპები. თავიანთი შვილების დატოვება იქ უნევთ, სადაც გააჩენენ, იმ იმედით, რომ მალე გაძლიერდებიან და იპოვიან იმ კედელს, რომელზედაც აცოცებას შეძლებენ“ და მცენარეული ტიპის ადამიანებს, რომლებიც ზრდას განაგრძობენ ხის ტანში, პაპიდან პაპამდე, დედამდე, ვაჟიშვილამდე თუ ქალიშვილამდე. მათთვის ყველაფერი იოლია, რადგან მყარად არიან შეზრდილი დედამიწას.“

გარკვეულწილად, იქნებ ამ „ტექნიციისტური“, მამაკაცების მიერ შექმნილი კულტურისადმი დაპირისპირებაა ფემინისტური სულისკვეთების ნაწარმოებები, რომლებიც კრებულში ფართოდაა წარმოდგენილი (სხვათა შორის, მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდათ თანამედროვე ავსტრიულ მწერალ ქალებს გაცნობოდნენ ჟურნალ „არილის“ 2002 წლის მეექვსე ნომერში და „24 საათის“ ლიტერატურულ დამატებებში). პატრიარქალური სამყაროს საპირისპიროდ, მარიანე გრუბერი თავისი მოთხრობის გმირ ქალს მხოლოდ სახელით მოიხსენიებს, მამაკაცს კი - გვართ (სახელი - უფრო დემოკრატიული, გვარის ავტორიტარული საწინააღმდეგოდ). მეორე მხრივ, მარგრეტ კრაიდლთან ფემინიზმი ლესბოსური ესთეტიკის სახით იჩენს თავს, სადაც მამაკაცს, ქალის წარმოსახვის გარეშე თითქოს ფუნქცია ეკარგება.

ალბათ, ამ „დემოკრატიულობის“ უნებური გათვალისწინებით, ხედვის მრავალპლანოანობის პრინციპითაა დაწერილი ანტონიო ფიანის „ალბერტინაპლატცი. პანორამა“, რომელიც თავისი სტრუქტურით ლიტერატურულ სცენარს მოგვაგონებს. აქ ერთი და იგივე მოვლენის გამო სხვადასხვა მოსაზრება თითქმის მოუხელთებელს, ან უკეთეს შემთხვევაში ბუნდოვანს ხდის სინამდვილეს. რაულ შროტის რომანში „Fanniss terrae“, რომლის ფრაგ-

მენტია წარმოდგენილი კრებულში, მსოფლიოს რუკა განსხვავებული პერსპექტივიდანაა დანახული. ავტორი მკითხველს ეცნობა, როგორც გამომცემელი, რომელიც აქვეყნებს ერთი არქეოლოგის მამულში ნაპოვნი სხვადასხვა ეპოქის ოთხი მოგზაურის ჩანაწერს. ერთი მათგანია „ბერძენი მეზღვაურისა და ასტრონომის, პითიას მასალიელის შენიშვნების თარგმანი, რომელმაც ჩვენს ნელთარქეოლოგამდე 400 წელს აღმოაჩინა ჩრდილოეთ ევროპა“. ამ ლიტერატურული „თამაშის“ გზით, ავტორს ისეთ მოჯადოებულ სივრცეში შეჰყავს მკითხველი, რომ ძნელია გამონაგონის გარჩევა სინამდვილისგან.

რობერტ მენასეს ესსემ, რომელშიც მოთხრობილია ავსტრიის ისტორიაში ორი უხერხული მოვლენის შესახებ, ჩვენი სინამდვილე - სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან დაკავშირებული დებატები გამახსენა. ოლონდ, ჩვენგან განსხვავებით, ავსტრიელებს და კონკრეტულ შემთხვევაში რობერტ მენასეს, ჰყოფნის უნარი, რომ ამ ყველაფერს იუმორით თუ თვითირონით შეხედოს. მაგ., ავსტრიის სახელმწიფო გერბის სიმბოლოს - არნივის შექმნის ისტორიის თხრობისას, ავტორს ჰოისლერის დამცინავი სიტყვები მოჰყავს: „არნივი (მისი უკანასკნელი ესკიზი) მძიმე ავადმყოფ ქათამს ჰგავს, ნიშანწყალიც კი არ ატყვია ძალისა და მხნეობისა“; ხოლო მონეტაზე საუბრისას მოვითხრობს, რომ 1947 წელს რაიხის მარკის ავსტრიული შილინგით შეცვლისას, მონეტის მეორე მხარეს გადაწყვიტეს მხატვარ გეგერ-ლინცის ნამუშევრის -

„მთესველი და ეშმაკი“-ს ფრაგმენტი ამოეჭვიფრათ, მაგრამ დაუდევრობის გამო მთესველი გლეხის ნაცვლად, შეცდომით ეშმაკი გამოსახეს.

მკითხველი აქვე შეხვდება ფრანც კაფკას „შვილიშვილის“, ულრიკე ლენგლეს მოთხრობას „უფრთხილდით of the naked man“, სადაც კაფკას ცხოვრებიდან ერთი ინტიმური ეპიზოდი მოთხრობილი. კრებულში ასევე შესულია ფერდინანდ შმაცის შესანიშნავი ესსე კაფკაზე - პიროვნებაზე, რომელიც უცხოდ გრძნობდა თავს გერმანული ენის სამყაროში. ამ ესსეში მამასთან მწერლის ურთიერთობა ტექსტების თუ პირადი წერილების „გულმოდისეულ ანალიზის“ გზით ფროიდისეულ კონტექსტშია გააზრებული. იგივე ფერდინანდ შმაცი 1992 წელს წერდა, რომ ენა - ერთსა და იმავე დროს შეიძლება იყოს გზა ურთიერთგაგებისკენ და გაუგებრობისკენ.


ამ კრებულის გამოცემაც ხომ ერებს შორის ურთიერთგაგებისკენ გადადგმული ნაბიჯია. დაბოლოს დავამთავრებ იმით, რითაც დავიწყე: ყოველგვარ წერეთეს ახლის შენება მოჰყვება. ამ შემთხვევაში, ანტონიო ფიანის „ალბერტინაპლატცის“ მინიდილოგი შეიძლება ქარაგმის სახით გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ:

„პირველი: შეხედე, იქ რაღაცას ანგრევენ, ამისაგანაა ეს რია-რია.


მეორე: სწორია, გაზეთში რაღაც ამგვარი აკი წავიკითხე, ვენაში რაღაც უნდა მოანგრინონ, რომელიღაც ძეგლიო.

პირველი: ალბათ რუსებისა.

მეორე: კარგი კი იქნებოდა“.



რაულ შროტი



ქრისტოფ რანსმაიერი



მარლენ შტრაიფელიერი



რობერტ მენასი

# სულის ბედ-იღბალი



ინსა ესაძე

**ნინო ბაქანიძე. რაინერ მარია რილკეს პოეტური სამყარო. რედაქტორი ნოდარ კაკაბაძე. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2002**

რილკეს გარდაცვალების ერთი წლის თავზე – 1927 წელს რობერტ მუზილმა ბერლინში წარმოთქვა სიტყვა, სადაც იგი ამბობდა, რომ მისმა თანამედროვეობამ პოეზიის მწვერვალზე მოაქცია „ვარსკვლავი“, გამომცემლობათა საჯინბოების ფეხმარდი ულაცი, ლიტერატურის ჩემპიონი და რომ რაინერ მარია რილკე არ იყო ამ დროის კაცი. ამ დიდმა ლირიკოსმა პირველად მიანიჭა გერმანულ ლექსს სრულყოფილება. რილკე ამ დროს მწვერვალს კი არა, ერთ-ერთი იმ მალღობთაგანი, რომელზედაც ეპოქათა გულით მიაბიჯებს სულის ბედ-იღბალი... რილკეს შემოქმედება იზომება საუკუნეებით და არა დღეებით – ბრძანებს „უთვისებო კაცის“ ავტორი.

ლიტერატურული საქმიანობით დაკავებული ქართველის თავმოყვარეობას ფრიად ამომშინებს ის ფაქტი, რომ ჩვენში რილკეს შემოქმედებისადმი ინტერესმა ჯერ კიდევ იმ ეპოქაში იჩინა თავი, როცა შიშისა და დაურწმუნებლობის ყოველდღიური პორცია აბი-გლუკოზასავით უნდა მიელო მნიგნობარ კაცს: 1936 წელს გივი გაჩეჩილაძეს უთარგმნია რილკეს ორი ლექსი. კარგა ხნის შემდეგ, 1952 წელს ზურაბ კაკაბაძეს გადმოუქართულებია და „მნათობში“ დაუბეჭდავს რილკეს კიდევ რვა ლექსი. შემდგომაც იყო „დუინური ელეგიების“ ავტორთან მიახლებების წარმატებული ცდები, მაგრამ რილკეოლოგია, როგორც ჩანს, მაინც 80-იან წლებში „გაფორმდა“: ნაირა გელაშვილის ინიციატივითა და მაშინ „მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის“ თავმჯდომარის – ოთარ ნოდის მხურვალე მხარდაჭერით შეიქმნა მთარგმნელთა ჯგუფი ოცი კაცის შემადგენლობით, რომლებმაც პირდაპირ ფრონტი გახსნეს რილკეს შემოქმედების ქართულ კულტურულ სივრცეში შემოსატანად. ნაირა გელაშვილი იგონებს: მთარგმნელთა ნაწილს მოგვეცა საშუალება ბიჭვი-

ნთის შემოქმედებით სახლში გამგზავრების და იქ მთელი თვე მუშაობისა. ეს იყო ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობისთვის იდეალური პირობები, რაც, რა თქმა უნდა, აღარასოდეს განმეორდება. თავაულებელმა მუშაობამ თავისი გამოიღო და 1986-87 წლებისთვის უკვე მზად გვექონდა რილკეს შემოქმედება ქართულად: თხზულებათა ოთხტომეული, რისი გამოცემაც, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარიით.

დიახ! ტომეულებად არა, მაგრამ ეს თარგმანები შემდგომ და შემდგომ იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში და სწორედ ამ მოძრაობის შედეგი იყო, რომ ჩვენს ლიტერატურულ პრესაში რილკეს ტექსტებს მეტატექსტებიც მოჰყვა კრიტიკულ კვლევათა სახით და ან უკვე შეგვიძლია თავი დავიწმუნოთ, რომ ქართველი მკითხველი რ.მ. რილკეს შემოქმედებას იცნობს. ამ ნაცნობობას კიდევ უფრო აღრმავებს უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ნინო ბაქანიძის ნიგნი „რაინერ მარია რილკეს პოეტური სამყარო“, რომლის რედაქტორიც ბატონი ნოდარ კაკაბაძე გახლავთ.

საზოგადოდ, „პოეტურ სამყაროზე“ საუბარს სემიოტიკის ერთ-ერთ საყრდენ ტერმინთან – სემანტიკასთან მივყავართ. ლიტერატურის სივრცეში ორ სემანტიკას განასხვავებენ: საკუთრივ ენობრივს – სიტყვებით აღნიშნულ საგანთა სფეროს და სიღრმისეულს ანუ არსთა იმ სფეროს, რომელსაც ინტუიტურად თუ ცნობიერად ჩასწვდა ავტორი და მხატვრულად ასახა მათი საზრისი. მხატვრულ შინაარსს სწორედ ეს სიღრმისეული სემანტიკა შეადგენს. ლიტერატურული თხზულების ამ ორპლანიანობის გათვალისწინებით ნაწარმოების სამყარო განეკუთვნება არა შინაარსს – როგორც ასეთს, არამედ შინაარსობ-

რივად მნიშვნელადი ფორმის სფეროს...

თეორიულ რეფლექსიებს აღარ გავყვები, რადგან ეს რეცენზია ამას ვერ აიტანს, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, რომ ავტორი „პოეტური სამყაროს“ ცნებას მხატვრულად იყენებს... ნინო ბაქანიძე პირველ თავში იკვლევს რილკესეული სამყაროს მოდელის მითოლოგიურ-ასტრონომიულ ასპექტებს. „პოეტური სამყაროსა“ და „სამყაროს რილკესეულ მოდელს“ შორის სხვაობა ავტორსაც კარგად უნდა მოეხსენებოდეს. ეს შენიშვნა სრულიად სპონტანურად წამოიშალა და ქალაქსაც მხოლოდ იმიტომ გავანდე, რომ კეთილმოსურნეობის უპირობო ქებაზე აღმატებულობის მჯერა და მწამს. საქებარი კი ამ წიგნში ნამდვილად მოიძებნება და ამასი რილკეს მრავალფეროვანი შემოქმედების შემეცნების მონადინე მკითხველი თავადვე დარწმუნდება.

ნინო ბაქანიძის გამოკვლევა სამი ნაწილისგან შედგება. პირველის შესახებ უკვე ვთქვი. მეორე თავში ავტორი რილკესა და მის თანამედროვეებს მიაპყრობს ყურადღებას, ხოლო მესამე ნაწილში წარმოდგენილია რილკეს მიმართება გოეთესთან.

ჩემთვის პირადად ძალზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რილკეზე შექმნილ ზღვა ლიტერატურაში ქართველმა ავტორმა აღმოაჩინა ის მიუკვლეველი თუ ცალკე გამოუნახნაგებელი სფერო, როგორცაა გვიანდელი პოეტური ციკლების – „დუინური ელეგიებისა“ და „სონეტები ორფევსისადმი“-ს მითოლოგიური და ასტრონომიული ასპექტების ურთიერთმიმართება და მათი როლი საზოგადოდ რილკეს პოეტური კოსმოლოგიის ფორმირებაში. მკვლევარი ამ ორ ციკლს აერთიანებს ორფიკული პოეზიის ნიშნით, ხოლო ამ პოეზიის აზ-

რობრივ-ენობრივი სირთულის უმთავრეს გამოხატულებად მისი ჰერმეტიზმი ესახება. სწორედ ჰერმეტიზმი და ორფიზმი, როგორც ფილოსოფიურ-მისტიკური მსოფლალქმა, მიაჩნია ავტორს გვიანდელი რილკეს პოეზიის მასაზრდოებელ წყაროდ.

ნინო ბაქანიძე გამოწვლივით განიხილავს ავსტრიელი ფილოსოფოსისა და ფიზიოგნომისტის რუდოლფ კასნერის ნააზრევით ინსპირირებულ მერვე ელეგიის მხატვრულ ქსოვილს და გამოყოფს იმ პლასტებს, რომლებიც საკუთარ პოეტურ პრიზმაში მხატვრულად გარდასახა პოეტმა. ასევე კონკრეტულად აანალიზებს ალფრედ შულერის პოეტური კოსმოგონიის ზეგავლენას რილკეს გვიანდელ შემოქმედებაზე. „სონეტებზე“ მუშაობისას – ბრძანებს მკვლევარი, რილკეს უდავოდ თვალწინ ედგა შულერის მიერ აღწერილი რომაული თერმები და ... მდინარე ჰებროსის ტალღებს მინდობილი ორფევსის თავის სიმბოლური სურათი...

ავტორის დასკვნით, ამოუნურავია ის თემები, მოტივები და სიმბოლოები, რომელთაც რილკეს შემოქმედებაში ალფრედ შულერის გავლენის კვალი ემჩნევა. ეს მნიშვნელოვანი სამომავლო საკეთებელია არა მხოლოდ რილკეს შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით, არამედ იმ მიზნითაც, რომ შულერის მხატვრულმა მემკვიდრეობამაც დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი XIX და XX საუკუნეთა მიჯნის გერმანულ ლიტერატურაში. ეს დასკვნა იმის მშვენიერი დასტურიცაა, თუ როგორ „აკეთილშობილებს“ გავლენის ობიექტი თავის წინამორბედს.

დაბოლოს, რილკეს მიმართება გოეთესთან. ეს საკითხი საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი და იგი მკვლევართა თვალსაწიერში რილკეს გარდა-


ცვალებისთანავე მოექცა, მაგრამ ჩვენი ავტორი მახვილს რილკეს იმ ალფრედოვანებაზე სვამს, რომელიც გოეთეს ერთ ნაკლებად ცნობილ ლექსს – „ეფროსინეს“ გამოუნვევია. მაშ, რილკე ალტაცებული ყოფილა არა „ფაუსტით“, არამედ „ეფროსინეთი“ – და ამ ფაქტს ნინო ბაქანიძე პარადოქსს უწოდებს.

გოეთეს ლექსის მხატვრულ სივრცეს ქმნის ჩამავალი მზის სხივებში გახვეული ტყე, რომელშიც ადვილად ამოიცნობა შვეიცარიის ლანდშაფტი; მაგრამ ამავე დროს სურათი მკითხველს მწუხარებისა და სიკვდილის წინათგარძნობას უღვიძებს. სწორედ აქ ეცხადება მარტოსულ პოეტს ეფროსინეს აჩრდილი და გარემომცველი ბუნება იმნამსვე წარმოსახვით სამყაროდ გარდაისახება. რილკეს პოეტური კოსმოლოგიის მიხედვით ეს არის „Zwischenraum der Zeit“ („დროის შუალედური სივრცე“), სადაც ერთმანეთს თანხვდება სიცოცხლე და სიკვდილი. ლექსის ერთ-ერთ პასაჟში პოეტი მსჯელობს ადამიანური ყოფის წარმავლობის შესახებ, რასაც ტრაგიკულ ელფერს ანიჭებს ბუნებრივ კანონზომიერებათა დარღვევა: ხშირად მამა დასტირის შვილს და არა პირიქით. ადამიანის უსასოო ყოფას უპირისპირდება ბუნებაში არსებული ჰარმონია, წელიწადის დროთა ჰარმონიული მონაცვლეობა, კვდომა-განახლების უწყვეტი პროცესი, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს.

ეს პესიმისტური მოტივი არაერთგზის გაიჟღერებს რილკეს პოეზიაშიც, განსაკუთრებით კი „დუინურ ელეგიებში“. სამაგიეროდ „სონეტებში“ რილკე, ისევე როგორც გოეთე ლექსში „ეფროსინე“, ახერხებს ამ უძირო პესიმიზმიდან თავის დაღწევას. სიკვდილის ძლევა მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვნებას ძალუძს, რომელიც ადამიანს მინიერ ვნებათა დათრგუნვაში შემნედ მოველინება. მხოლოდ ხელოვნების ძალით მოხვდება იგი ჯერ „დროის შუალედურ სივრცეში“ და შემდგომ შეერწყმის სამყაროს კოსმიურ ერთობას – „ველტინენერ რაუმ“-ს. ამრიგად, გოეთესა და რილკეს ერთი საერთო მიზანიც აკავშირებთ: ესაა გახლეჩილი სამყაროს ერთ მთლიანობად წარმოსახვა, ხელოვნების მაგიური ძალის ხოტბა და ამით უკვდაყოფა არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნებებისა, არამედ საკუთარი შემოქმედებისაც.

ნინო ბაქანიძის ნაშრომი ქართული რილკეოლოგიის ერთი მშვენიერი შენაძენია და სამომავლოდ მისი დახვეწა, ორიგინალის ტექსტების ქართულად გადმოღება, ერთი სიტყვით, მისი „საკითხავ“ წიგნად გაკეთება ავტორსაც სახელს შესძენს და ქართველი მკითხველის ინტელექტუალურ თვალსაწიერსაც განავრცობს.

დაბოლოს, ისევ რაინერ მარია რილკეს მოვიშველიებ: „დიდება იმ სულს, რასაც ძალუძს, გაგვხადოს ერთი“. რილკე, მართლაც, ის პოეტი, რომლის შემოქმედების წიაღაც „მიაბიჯებს სულის ბედ-იღბალი“.



# გამოგვიდობა ყველაფერთან?

ერნესტ ჰემინგუეის "მშვიდობით, იარაღო" იმდენად უზადო ნაწარმოებია, რომ ისლა დაგვრჩენია, ვიკითხოთ, შეიქმნება თუ არა ამავე თემისადმი მიძღვნილი სხვა მსგავსი რომანი?


დასაწყისში ავტორი აღწერს იტალიური არმიის მოხალისის, ლეიტენანტ ჰენრის გატაცებას გორიციის ჰოსპიტლის ინგლისელი ექთნით, ქეთრინ ბერკლით. ეს გატაცება მალე ჭეშმარიტ სიყვარულად იქცევა.

ქალაქ პლავასთან ჰენრი მუხლში დაიჭრება. სავლელე ჰოსპიტლიდან მას მილანის ინგლისურ ჰოსპიტალში აგზავნიან. აქ ვითარდება ლეიტენანტისა და ქეთრინ ბერკლის სასიყვარულო ურთიერთობა.

ფრონტისა და საავადმყოფოების აღწერა, საუბრები ოფიცრებთან, რიგით ჯარისკაცებთან და ექიმებთან ბუნებრივი და დამაჯერებელია, თუმცა ახალგაზრდა გმირი, ალბათ, ზედმეტად შორსმჭვრეტელი და გამოცდილია. ქეთრინის (რომელიც, შეიძლება, "ფიესტას" გმირი ქალის და ყოფილიყო) სახე უფრო სრულყოფილია. მასში ხორცშესხმულია მარადიული ქალური სანყისი.

მილანის ჰოსპიტალში შეყვარებულთა გრძნობები ძალზე მძაფრდება. ნაწარმოები არნახულ სიღრმეს აღწევს, როდესაც მეტ-ნაკლებად განკურნებული ჰენრი ბრუნდება იზონცოს ფრონტზე. სწორედ ეს ფრონტი გაარღვია გერმანელთა არმიამ კაპორეტოსთან.

ნიგნის მესამე ნაწილის ბოლო ორმოცდაათ გვერდზე ასახულია იტალიის არმიის დახვევა. ძირითადი მაგისტრალეები გადაჭედებულია ტრანსპორტით. ჰენრის ავტომანქანები ტალახში ჩაეფლობა და ლეიტენანტი, სამ მძღოლთან ერთად, მათ გზის პირას ტოვებს. ჰემინგუეი ხაზგასმით აღნიშნავს, როგორ სძულთ იტალიელ ჯარისკაცებს ომი. შთამბეჭდავია სავლელე ჟანდარმერიის მიერ დეზერტირობაში ეჭვმიტანილი უფროსი



ოფიცრების დახვერვის სურათი – ესაა ოსტატურად დაწერილი გვერდები.

ლეიტენანტი მდინარეში გადახტება, რათა მასაც დეზერტირი ოფიცრების ბედი არ ენოს. შემდეგ ის სატვირთო ვაგონით ჩადის მილანში. ჰენრი აქ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოეწყობა და სტრეზაში ხვდება ქეთრინს. შეყვარებულები შვეიცარიაში მიემგზავრებიან. ამასთან, იტალიისადმი მიძღვნილი სცენები უფრო საინტერესოა, ვიდრე – ჰენრისა და ქეთრინის შვეიცარიაში ცხოვრების ეპიზოდები, მაგრამ მწერალს არასოდეს ლალატობს შეუცდომელი მხატვრული ალღო.

ჰემინგუეის ქმნილებაში ომის აღწერა ისევე გასაოცრად შთამბეჭდავია, როგორც – ქალ-ვაჟის სიყვარულის ისტორია. შემოქმედის უტყუარი ინსტინქტით მწერალი ურთიერთს უკავშირებს ომით გამოწვეულ საზარელ სისხლისღვრასა და, მეორე მხრივ, ქეთრინის აგონიასა და სიკვდილს.

აქ ის აღწევს ტრაგიკული განზოგადების უმაღლეს დონეს, რადგან ქეთრინის სიკვდილი ემატება მილიონობით ადამიანის სიკვდილს ფრონტზე. ბოლო გვერდებზე, შესაძლოა, ზედმეტად ხაზგასმულია ჰენრის მიერ გარემომცველი რეალობის დეტალური და, ერთი შეხედვით, გულცივი აღქმა, თუმცა მნიშვნელოვანი ემოციური დაძაბულობის დროს მატერიალური ფაქტები მართლაც განკერძოებული ფენომენების სახით წარმოგვიდგება. როგორც გვეჩვითრება გმირის სულიერი სიმტკიცეც, მაგრამ ავტორი, საბოლოო ანგარიშში, ძლევს ამ ხარვეზს და ბრწყინვალედ აღწევს თავის მიზანს.

1929, 13 დეკემბერი  
ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

# უხამსი თუ ზნეობრივი

სასამართლოს მიერ "ლედი ჩატერლის საყვარლის" მიმართ გამოტანილი ვერდიქტი

სასამართლოს ვერდიქტი დ.ჰ. ლორენსის გახმაურებული რომანის მიმართ სალი განსჯის გამოხატულებას წარმოადგენს. ეს სასამართლოცაა და მოულოდნელიც.

რა თქმა უნდა, ზუსტად ვერასოდეს დავადგენთ, რას ფიქრობდნენ მსაჯულები. ალბათ, მათ გაითვალისწინეს ორი მოტივი: ჯერ ერთი, ნიგნი სულაც არაა უხამსი, მაგრამ, ასეც რომ იყოს, მისი ლიტერატურული (და არა მარტო ლიტერატურული) ღირსებები სრულიად ამართლებდა "ლედი ჩატერლის საყვარლის" გამოქვეყნებას.

როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს, მსაჯულებს შეეძლოთ, ყურადღება არ მიექციათ სასამართლოს მიერ "ლიტერატურის, კულტურის, სოციოლოგიისა და ეთიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების" განხილვისთვის და უშუალოდ შეემონებინათ, უხამსია თუ არა ლორენსის ქმნილება. ისინი, ალბათ, გააკვირვა დაცვის ექსპერტთა წინააღმდეგობრივმა არგუმენტებმა (რომლებიც მოსამართლემ შემაჯამებელ სიტყვაში მოიხსენია). ამასთან, შესაძლოა, ისინი კიდევ უფრო გააოცა ბრალდების საფუძველმა, კერძოდ, იმან, რომ ნიგნი, ვითომდა, ხოტბას ასხამს უზნეობას, და რომ მასში სექსუალურ სცენებს ენაცვლება სრულიად უმნიშვნელო, მდარე ლიტერატურული მასალა.



ფიზიკურ სიყვარულს რომანში არსებითი როლი განეკუთვნება. ეს მისი მთავარი თემაა, თუმცა, ნაწარმოებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, აგრეთვე, მიდღენდის მოსახლეობა მერკანტილური ინტერესებით გამსჭვალული ცხოვრების სიცარიელისა და სიმახინჯის თემასაც. ფიზიკური სიყვარულის თემა გულისხმობს სექსუალური აქტების დე-

ტალურ აღწერას. სწორედ ამან გამოიწვია მითქმა-მოთქმა ნიგნის გარშემო. ამასთან, რომანის მიზანს წარმოადგენს სიყვარულის განმათავისუფლებელი უნარის გამოაშკარავება და მგრძობებლობის ღირებულების ხაზგასმა.

დ. ჰ. ლორენსის აზრით, სისასტიკე და უსულგულობა გამორიცხავს სრულფასოვანსა და ჰარმონიულ ურთიერთობას



ქალსა და მამაკაცს შორის. მელორსი გულთბილი და კეთილი ადამიანია, ხოლო მისი ძლიერი ვნებები მისივე "სიჯანსაღის" გამოვლინებას წარმოადგენს. სწორედ ამ თვისებების წყალობით იპყრობს ის ლედი ჩატერლის გულს.

მოსამართლის შეკითხვაზე, შეიმჩნევა თუ არა "სიკეთის ნაპერწკალი" ნიგნში, დადებითი პასუხი გაიცა. ქალ-ვაჟი თავ-

დაპირველად დაახლოვა მელორსის თანაგრძნობამ ლედი ჩატერლის უბედურებისადმი.

ითვლება, რომ მელორსისა და ლედი ჩატერლის ურთიერთობა ამორალური ხასიათისაა. ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი დამცველის (განსაკუთრებით, ანგლიკანური ეკლესიის ოთხი მღვდლის, რომლებიც გაბედულად მივიდნენ სასამართლოში ჩვენებათა მისაცემად) არგუმენტები დამაჯერებლობით არ გამოირჩეოდა. უნდა ითქვას, რომ, უპირველეს ყოვლისა, ჩატერლის ოჯახი უკვე ნგრევის პირას იყო მისული. ცოლი ამაოდ ცდილობდა, შეენარჩუნებინა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება პარალიზებულ და ნახევრად შეშლილ ქმართან; გარდა ამისა, სულიერად გატეხილი და ფიზიკურად დაუძლურებული ლედი ჩატერლი მელორსის სიყვარულმა ხალისიან, სიცოცხლით სავსე არსებად აქცია; მესამეც, ქალ-ვაჟის ერთგული სიყვარული ერთმანეთის მიმართ გულისხმობს (სასამართლო ბრალდების საპირისპიროდ), რომ მომავალში ისინი მტკიცე ოჯახს შექმნიან; და, ბოლოს, ერთ-ერთი მღვდლისა არ იყოს, ეს რომანია და არა – ტრაქტატი, რომანები კი ცხოვრების რეალურ ფაქტებს ასახვენ.

ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ მანიამ

# ეს ამერიკაა თუ იაკონია?

ჰარუკი მურაკამის „Dance, Dance, Dance“

ჰარუკი მურაკამი

ყველაზე პოპულარული იაპონელი რომანისტი, ჰარუკი მურაკამის შემოქმედება გამსჭვალულია აღმოსავლური მეტაფიზიკით. მეორე მხრივ, მასში დასავლური რიტმებიც ხმინობს. მწერლის ლაკონური, ამერიკული ლიტერატურის ზეგავლენით აღბეჭდილი სტილი თითქოს საგანგებოდ უპირისპირდება იაპონური ლიტერატურული ტრადიციების ერთგული რომანისტიკის, მაგალითად, კობო აბეს, იუკიო მიშიმას ან იასუნარი კავაბატას (ნობელის პრემიის ერთადერთი იაპონელი ლაურეატი) მხატვრულ მანერას. უფრო ზუსტად, ჰარუკი მურაკამის ნაწარმოებებში აირეკლა რეიმონდ ჩანდლერის, ჯონ ირვინგისა და რეიმონდ კარვერის ქმნილებათა ზოგიერთი სტილური ნიშანთვისება, მაგრამ იდუმალებით აღსავსე სიუჟეტები და ორიგინალური გმირები ამ თვითყოფადი მწერლის დამოუკიდებელი შემოქმედებითი ძალისხმევის ნაყოფს წარმოადგენს.

„Dance, Dance, Dance“ მურაკამის უკანასკნელი და ყველაზე შთამბეჭდავი რომანია. ჩვეულებრივ, მისი გმირები გამუდმებით სადღაც მიისწრაფიან. მკითხველი ავტორთან ერთად მოგზაურობს იაპონიიდან ჰავაის კუნძულებზე, შემდეგ კი კვლავ იაპონიაში ბრუნდება. ნაწარმოების მთავარი გმირია 34 წლის ჟურნალისტი, რომელსაც მუდმივი სამსახური არ გააჩნია. ის თავს არ იტკივებს მატერიალურ საჭიროებებზე ფიქრით და ყოველთვის მზადაა ახალი თავგადასავლებისთვის.

მოგზაურობისას ჟურნალისტი ხვდება სხვადასხვა ტიპის ქალებს: საოცნებო, მომხიბვლელ ქალიშვილებს, მეძავეებს და, ბოლოს, 13 წლის თავდაჯერებულ გოგონას, სახელად – იუკის. მარჯვე და ენაკვიმატი იუკი ხშირად ჩრდილავს კიდევ რომანის ცენტრალურ პერსონაჟს. ქცევით ის ელოიზას წააგავს, აზროვნებით კი – უტიფარ ლოლიტას. ჰარუკი მურაკამის, როგორც გამოცდილი მწერლის ოსტატობა იმაშიც გამოიხატება, რომ მისი რომანების („ნადირობა გარეულ ცხვრებზე“, „ნორვეგიული ტყე“, „საოცრებათა ულმობელი ქვეყანა და სამყაროს დასასრული“) პერსონაჟი ქალები მიმზიდველობითა და ინდივიდუალურობით გამოირჩევიან.

„Dance, Dance, Dance“-ს უსახლო გმირი, რომელმაც მძაფრი სულიერი კრიზისი განიცადა და განქორწინებასთან დაკავშირებით, ფსიქიკურად გაუნონასნორებელი, დეპრესიული და ნიჰილისტურად განწყობილი პიროვნებაა. შემთხვევითი გასამრჯელოს მოსაპოვებლად ის უმნიშვნელო თემებზე მდარე ლიტერატურის გამოქვეყნებასაც კი თავი კიბობს და თვითონვე დაცინის თავის ნაწერებს: „თელილი გზა. ხომ გაგიგონიათ? ფართო შარა“.

რომანის გმირი კიცხავს გიგანტურ იაპონურ ფირმებს, რომლებიც ნთქავენ პატარა კომპანიებს. ის აკრიტიკებს ქვეყანაში გამეფებულ კორუფციას. „განვითარებულმა კაპიტალიზმმა გადააბიჯა თავის საზღვრებს“, ამბობს ჟურნალისტი. „შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური საქმიანობა იქცა რელიგიურ ქმედებად. ახალი მისტიციზმი. ადამიანები ეთავყვანებიან კაპიტალს, მუხლს იყრიან სიმდიდრის წინაშე, აღმერთებენ ყველაფერს, რაც სიმბოლიზებულია სიმდიდრეში. ესაა ერთადერთი მითი, რომელიც შემორჩათ ადამიანებს“. საერთოდ, მურაკამის რომანები საკმაოდ აპოლიტიკურია, მაგრამ ამჯერად მისი გმირის შენიშვნები 1980-იანი წლების კაპიტალიზმის შესახებ საგვსებით დამაჯერებელია.



ჰარუკი მურაკამი

ჟურნალისტი ცდილობს, იპოვოს ახალგაზრდა ქალი, რომელთან ერთადაც ის ოდესღაც ცხოვრობდა საპროს ძველ, მაგრამ მყუდრო Hotel Dolphin-ში. ქალი გაქრა. ამასთან, იგივე დაემართა სასტუმროს. მის ადგილას ახლა წამოჭიმულია ვეება ცათამბჯენი, რომლის წინ ფრიალებენ სხვადასხვა სახელმწიფოთა დროშები. Hotel Dolphin-ის ნაცვლად ამ ახალ შენობას პრეტენზიული სახელწოდება – I Hotel Dolphin – დაერქვა.

ნაწარმოებში გვხვდება მეცხვარე, რომელიც მურაკამის სხვა რომანის („ნადირობა გარეულ ცხვრებზე“) პერსონაჟიცაა. ვინაა ის? რას აკეთებს მეცხვარე Dolphin-ის ბნელ დერეფნებში (რომლებსაც ადამიანი მიაგნებს, თუ თითო დააჭერს ლიფტის შესაბამის ლილასს)? რატომ ხდება, რომ ის დაუბრკოლებლად აღწევს Dolphin-ის კედლებში? მეცხვარე შეიძლება გავიზაროთ, როგორც, მაგალითად, აჩრდილი; სინდისი; ბრძენი ბერიკაცი; ფანტასტიკური გამოწვანა, სიკეთის სიმბოლო ჩვენს უხამს სამყაროში... ან, იქნებ, ყველა მათგანი ერთად. ვინც არ უნდა იყოს მეცხვარე, ის მხოლოდ ერთ ფილოსოფიურ რჩევას სთავაზობს ჟურნალისტს: „იცეკვე. იმდენ ხანს იცეკვე, სანამ მუსიკა გაისმის“.

გაოგნებული მკითხველი მოთმინებით უნდა აღიჭურვოს: „Dance, Dance, Dance“ იქცევა მკვლევარის მისტიკიად – ჟურნალისტის რამდენიმე ნაცნობი

უკვალოდ ქრება. ამავე დროს, რომანში ცენტრალური ადგილი განეკუთვნება სიყვარულის წარმავლობის თემას: ლამაზყურებიანი სატრფოს ადგილს იკავებს ლამაზსათვალიანი ქალი.

ყველაზე მიმზიდველ გმირად მიმაჩნია 13 წლის ბრძენი გოგონა იუკი. ჟურნალისტი მას მფარველობს, რადგან იუკის მშობლები საკუთარი სასიყვარულო თავგადასავლებით და სხვა საქმეებით არიან დაკავებული. იუკი სინაულოთ საუბრობს დედამისის გარდაცვლილი ამერიკელი საყვარლის შესახებ, რომელსაც მან ერთხელ „ყეყეჩი“ უწოდა, და შენიშნავს: „უგერგილო ადამიანი პერანგზე დაჩნეულ ლაქას წააგავს – მისი მოშორება ძნელი საქმეა“.

რომანი გაჯერებულია ამერიკანიზმებით. გარდა ამისა, წიგნი მოხსენიებული არიან ტრუმენ კაპოტი, ქაუნთ ბეისი, ქეით ჰარინგი, დართ ვეიდერი, კლინტ ისტუდი, უოლტ დისნეი, ჯერი მალიგენი და ჯოდი ფოსტერი.

ჟურნალისტი ძველ სუბარუში უსმენს ხოლმე როკს და თან ჯეკ ლონდონის ბოგრაფიას კითხულობს.


მურაკამის რომანების თაყვანისმცემელი და მთარგმნელი ალფრედ ბირნბაუმი ინარჩუნებს ავტორისეულ სტილს და გაბედულად გადმოაქვს ინგლისურ ტექსტში ავტორის მიერ მრავალჯერ მოხსენიებული ამერიკული მუსიკალური ნაწარმოებების, წიგნებისა და ფილმების სახელწოდებები. შესაძლოა, ის ზედმეტად ხშირად მიმართავს ჟარგონს. მაგალითად, ჟურნალისტი ამბობს: „დილას რაღაც-რაღაცები ვიყიდე კინოკუნიას ხოშიან სუპერმარკეტში“.

საინტერესოა, როგორ თარგმნიდით „ხოშიანს“ იაპონურ ენაზე?

The New York Times  
Book Review  
1994, 3 იანვარი

ინგლისურიდან თარგმნა  
თამარ ლომიძე

ტ.ს. ბოილი, „დაცემული ქალაქი“ Drop City By T. Coraghessan Boyle New York: Viking, 444 გვ.



ამ რომანს 70-იანი წლების კალიფორნიაში გადაყვანის, 60-კაციანი ჯგუფი ისე ცხოვრობს, როგორც მათ მოესურვებათ - მათ არ ჰყავთ მრჩეველები, ისინი თვითონვე ქმნიან და თვითონვე მისდევენ ცხოვრების კანონებს. ეს ადამიანები რეალობაზე გულაცრუებულნი არიან და ალტერნატიულ რეალობაში ეძიებენ ხსნას; უსმენენ ჰენდრიქსს, ქანთრი ჯოსა და "ფიშს", იკვებებიან ვეგეტარიანელებით, აღიარებენ თავისუფალ სიყვარულს, ჰყავთ ძაღლი, სახელად ფროდო და აქვთ უამრავი ჰალუცინოგენი. კიდევ რა უნდა უნდოდეს ახალგაზრდას? - პილიგრიმები ცდილობენ დაიჯერონ, რომ ეს არის ცხოვრება - სიყვარული, მედიტაცია, რწმენა უბრალოებისა, უპრეტენზიოება. ეს სხვა არაფერია, თუ არა ჰიპური ნივანა.

თუმცა სიმშვიდე აქაც არაა. არის ჩხუბი, მუშტი-კრივი. ქალაქის შერიფი უკმაყოფილოა, მას უნდა გააცამტვეროს თავშეყრის ეს ადგილი, რომელიც მავნე გავლენას ახდენს და განსაკუთრებით ვნებს ახალგაზრდების ჯანმრთელობას - ბავშვები LSD-გარეულ ფორთოხლის წვენს ენაფებიან... მაგრამ ძირითადი მიზეზი, რისთვისაც ეს "პილიგრიმები" ყველაზე მეტად იდევენებიან, თავისუფალი სიყვარულია. ერთი ქალი ამ ცნებას ასეთ პერიფრაზს უკეთებს: "თავისუფალი სიყვარული - ეს იგივეა, გამოიგონო ელამი, გაქუცული და მუნუკებიანი კატა."

მართალია, ბოილის ნაწერები ყოველთვის გამოირჩეოდა წერის დახვეწილი მანერითა და თავისუფალი მხატვრული თხრობით, ეს თხზულება მაინც განსაკუთრებულია, გაცოცხლებს ინვესს ის სული, რომელიც მწერალმა ნაწარმოებს შთაბერა. ეს მწერლის ყველაზე შთაბეჭედავი და ემოციურად დატვირთული რომანია "სამყაროს დასასრულის" (World's End) შემდეგ, რომელიც 1987

წელს გამოქვეყნდა. კალიფორნიის ნეტარი ცხოვრება ორი პერსონაჟის ისტორიის ფონზე ვითარდება. ეს გმირები სტარი და მარკოა. ორი ახალგაზრდა გოგონა - სტარი და პანი კალიფორნიაში ჩადის. პანის გადამკიდე გზაში სტარს უსიამოვნებაც შეემთხვევა... კალიფორნიაში ჩასულს ერთი სურვილია ამოდრავებს - ვინმე ბიჭი გამოიჭიროს, ნორმალური ბიჭი, კრეტინი რომ არ იქნება. ასე ხვდება მარკოს. და მათი ურთიერთობაც იწყება.


კალიფორნიული ცხოვრების პარალელურად დაახლოებით 70 გვერდზე მოქმედება ჩრდილოეთით - ალასკაზეც მიმდინარეობს. ალასკაზე მთავარი პერსონაჟები სესი და პამელა არიან. მოვა დრო და კალიფორნიისა და ალასკის სამყარო ერთიანდება, როცა დიდი ბულდოზერები ჰიპების ბანაკის ალებას მონდომებენ. მაშინ დაცემული ქალაქის გურუ ნორმი ცდილობს ჩრდილოეთისკენ აიღოს გეზი, იმ ადგილისკენ, რომელიც მისმა ბიძამ მიატოვა. "რევოლუციას დავიწყებთ, - ამბობს ერთი გმირი - ყვავილები იბატონებენ ტუნდრაზე..."

კალიფორნიის მცხოვრებლები ვერ ხვდებიან, რა საერთო უნდა ჰქონდეს ალასკის მკვიდრთა ცხოვრებას და LSD-ს ყლაპვას. "ეს ჰიპური ცხოვრებაა, სხვა არაფერი," - ასე აფასებს სტარი საკუთარ ყოფას და ამ სიტყვების თქმისთანავე ხვდება, რომ ეს პათეტიკაა. დაცემული ქალაქის ნამდვილი არსი კი ყველაზე კარგად სწორედ ალასკის მცხოვრებლებს - პამელასა და სესის ესმით. ალასკაზე ბევრად უფრო მეტი იდუმალეობაა.

"დაცემული ქალაქი" რომანია, რომელიც ამერიკულ ოცნებას გვიხატავს - როგორია ეს ამერიკული ოცნება, თავად მკითხველმა უნდა განსაჯოს.

და კიდევ ერთი, სესის პერსონაჟს ორი პროტოტიპი ჰყავს: სტივ მაკუინი და ჯეკ ლონდონი.

დონ დელილო, „კოსმოპოლისი“ Cosmopolis By Don DeLillo New York: Scribner, 209 გვ.



დონ დელილოს პირველი რომანი "ამერიკანა" თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. "კოსმოპოლისი" მისი მე-13 რომანია.

კრიტიკოსებმა კარგა ხანია შეამჩნიეს ერთი გარემოება: ამერიკელმა მწერალმა დონ დელილომ თავისი შემოქმედების ფოკუსი დააპატარავა და ფოკუსად პოსტმოდერნისტული ორნამენტი აირჩია. მის ახალ არჩევანს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ახალი რომანი "კოსმოპოლისი" პოლ ოსტერს ეძღვნება. დელილოს მიზანი კულტურული თეორიისა და თხრობის ოსტატური შერწყმაა.

მკითხველი ნიუ-იორკში მოხვდება, მულტიმილიარდერის, უძრავი ქონების მენეჯერის, ერიკ პაკერის კომპანიაში; ერიკი ქალაქის ქუჩებში დასეირნობს, თან ახლავს ახალმოყვანილი ცოლი - ევროპელი არისტოკრატი. პაკერის კომპანია სიმბოლურად გლობალურ ბაზარს ასახავს - ყველგან ტრიალებს ფული, ლაპარაკობენ ფულისადმი ლტოლვაზე, ფულის არითმეტიკის მუსიკაზე. ეს არის მონოლოგი დიალოგის ნიღბით: საკუთარ თავთან საუბარი, როდესაც ტკბები საკუთარი ბრძნული აფორიზმებით. "ცხოვრება ძალიან თანამედროვე გახდა", "გაფლანგული ნიჭი უფრო ვნებისაღმძვრელია" და სხვ.

პერსონაჟების აღწერისას ავტორი ზოგჯერ საკუთარი ფუნჯის მსხვერპლი ხდება და იმ სენით სნეულდება, რითიც მისი პერსონაჟები არიან დასნეულებულნი. მწერალი ისეთივე კმაყოფილია მათი შექმნით, როგორც ისინი საკუთარი თავით.

რა არის აღწერილი „კოსმოპოლისში“? - მანჰეტენის ცხოვრება, ცნობილი რეპერის დაკრძალვა, გამოსვლები ანტიგლობალიზაციური ლოზუნგებით...

ახალი რომანის თემა წმინდა წყლის ამერიკულია - ფული, რომანის მთავარი მოქმედი პირიც ფულია. მთელი სამყარო სავალუტო წრებზე უნდა იქცევა.

კაპიტალისტური ქამელეონისებრი უკომპრომისობა რომანში ასეთი ციტატითაა გადმოცემული - "მარკეტის კულტურა ტოტალურია." დელილოს მთელი მორალი კი ერთი პერსონაჟის სიტყვებით შეიძლება ჩამოყალიბდეს: "ფულმა გეზი შეიცვალა. სიმდიდრე გახდა სიმდიდრე სიმდიდრის გულისთვის... ფულმა დაკარგა თავისი შინაარსი, ისევე როგორც დაემართა ერთ დროს მხატვრობას. ფული თავის თავს ელაპარაკება." აი, ასეთია ზეკაპიტალიზმის ეპოქა.

ანტიგლობალიზების ლოზუნგი მარქსისა და ენგელსის ლოზუნგის პერიფრაზს იყენებს: "აჩრდილი დადის მსოფლი-

ოში. აჩრდილი კაპიტალიზმისა" - ანტიგლობალიზტები ვარაუდობენ, რომ გლობალური კაპიტალიზმი ახლა რევოლუციური მოძრაობაა; მისი მიზანია ისტორიის ნაშლა და ადამიანის შრომის იზოლირება. ამ აზრს თავად ავტორიც იზიარებს.

რაზეა ეს რომანი? - ეს არის სერიოზული და ამავდროულად აბსურდული რომანი კაპიტალიზმზე, სააგენტოების საქმიანობაზე, მომავალზე, სიმბოლურ და ნამდვილ ძალადობაზე, სექსზე, სიკვდილზე...

მკითხველი კვალზე მიჰყვება პაკერს, რომელიც მომავლით ტკბება და საერთოდ აღარ ახსოვს ანმყო.

მარგარეტ ეტვუდი, „ორიქსი და კრეიკი“ Oryx And Crake By Margaret Atwood Doubleday, 376 გვ.



მარგარეტ ეტვუდის ბოლო რომანი კომიკურიც არის და თავზარდამცემიც. „ორიქსი და კრეიკი“ სწორედ იმ თემატიკას ეხმიანება, დღესდღეობით რომ ძალიან აქტუალურია: თანამედროვე ყოფის, გლობალიზაციის ეპოქის კომმარი - ეკოლოგიური პრობლემები, დათბობა, მწერების მომრავლება, ქალაქების ჩაძირვა ოკეანეში, ეს არის მკაცრი პორტრეტი ჩვენს მიერ არჩეული ცხოვრებისეული გზისა.

ეტვუდის გმირები ჰაქსლის გმირებს გვანან, სამოთხიდან რომ არიან დევნილნი და საკუთარ ბოლოს და კაცობრიობის კვდომას რომ ელოდებიან.

რომანის განსაკუთრებული მომზიბლობა ისაა, თუ როგორ ოსტატურად ავსებს ავტორი დროის უზარმაზარ შუალედებს ჩვენს დღევანდელობასა და მომავალს შორის. „ორიქსი და კრეიკი“ ადამიანური დრამაა, ცოტა გროტესკულიც, ცოტა მისტერიულიც.


საუკეთესო ფანტასტიკა მომავლის შესახებ ანმყოში იღებს სათავეს, ის ნათელს ჰფენს ჩვენს შიშს და ამ შიშზე აგებს ახალ სამყაროს. ასე მაგალითად, ორუელის „1984“ 1948 წლის ე.წ. „მონსტრების“ ინკარნაციას ასახავს. ფაქტობრივად, მარგარეტ ეტვუდის

რომანი ორუელის მომავლის ფანტასტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს.

მოკლედ, ეტვუდი მომავალს მიუბრუნდა. ეს ის მომავალია, რომელიც ისე ძალიან შეიცვალა, როგორც ჩვენი ანმყო. ეს ფანტასტიკური მომავალი წინასწარმეტყველურია და, ამავდროს, შემზარავი.

მოქმედება თეთრი სანაპიროს ზოლზე იწყება, თოვლის კაცის საათი ნულს აჩვენებს. თოვლის კაცი ერთადერთი ადამიანია, რომელიც გადაურჩა უსახელო აპოკალიფსს. სამყაროში ყველაფერი კლონირებულია, ინჟინერიის მსხვერპლად ქცეული, ერთმანეთში შერწყმული ან სრულიად გამქრალი. ხმაურსა და არეულობაშიც კი გლობალიზაციის სუნი იგრძნობა. მათემატიკა, კომპიუტერი, ბიოტექნიკა ვითარდება და სულ უფრო და უფრო კომპლექსურ სახეს იღებს, მაგრამ ეს მეცნიერებები სულ უფრო და უფრო საშიში ხდება, ადამიანური ურთიერთობები კი უფრო დაუნდობელი გამხდარა და საერთოდ ქრება კიდევაც. ასეთია მომავლის ის მკაცრი პროგნოზი, რომელსაც მარგარეტ ეტვუდი გვთავაზობს.

ჯონ ლეგეტი, „გაბედული ახალგაზრდა კაცი“ (უილიამ საროიანის ბიოგრაფია) A Daring Young Man A Biography of William Saroyan By John Leggett. New York: Alfred A. Knopf., 462 გვ.



უილიამ საროიანს ჰემინგუეის "სიკვდილი შუადღისას" რომ წაუკითხავს, ირონიული რეპლიკა წამოუსვრია. ეს თურმე ძალიან სწყენია ჰემინგუეის და საროიანისთვის შეუთვლია, რომ ნათქვამი ოდესმე უკან დაუბრუნდებოდა. ჰემინგუეიმ საროიანს უწინასწარმეტყველა კიდევ: "შენნაირები ბევრი გვინახავს. მოდიან და მიდიან. კარგებიც. უფრო უკეთესებიც, ვიდრე თქვენ ბრძანდებით, მისტერ საროიან. ბევრი გვინახავს შორის წასული, მაგრამ უკან აღარავინ მობრუნებულა და არც

E13 ბავშვობა

არავის მოუკითხავს, სად წავიდნენო. მათ ადვილად ივინყებენ, მისტერ საროიანს.

საროიანის მსუბუქი დაცინვა მის ექსტრაორდინარულ დებიუტში გამოკრთა, მოთხრობების კრებულში - The Daring Young Man on the Flying Trapeze. 1934 წლის ტრიუმფს მოჰყვა წარმატებები: 1939-1943 წლებში საროიანმა დაიპყრო ბროდვეი, ჰოლივუდი და ნიგნის მალაზიები.

1939 წელს მისი „ჩემი გული მთებს ეკუთვნის“ (My Heart's in the Highlands) და „შენი ცხოვრების დრო“ (The Time of Your Life) გახდა პულიტიცერიისა და თეატრალური კრიტიკოსების წრის პრემიების ლაურეატი. 1943 წელს მისმა სცენარმა, რომელიც დაწერა ფილმისთვის „ადამიანური კომედია“, „ოსკარი“ მოიპოვა.

მაგრამ სულ ეს იყო. ამის შემდეგ საროიანი კიდევ 38 წელიწადი, მილიონობით გვერდი დაწერა, მაგრამ სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა ყურადღების ცენტრში მოხვედრა. თითქოს ახდა ჰემინგუეის წინასწარმეტყველება - საროიანი მივიწყდა. 1975 წელს მან თავის მეგობარს უთხრა: „დავმარცხდი. ჩემი შვილები წამოიზარდნენ და წავიდნენ, მათ მე არ ვუყვარვარ. არც სიმდიდრე მაქვს, არც სახელი. არანაირი მიზეზი არ მაქვს იმისათვის, რომ ბედნიერი ვიყო“.


რომანი, რომელიც საროიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოგვითხრობს, სწორედ ამ ხაზს ავითარებს. თვითკმაყოფილი საროიანი სიკვდილამდე ბევრად ადრე მივიწყდა. საქმე იმაშია, რომ მწერლური დრამა არცთუ ურიგო თემაა კარგი რომანის გამოსაცხობად, მაგრამ, როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, მწერალმა ჯონ ლეგეტმა საინტერესო ისტორიის შექმნა ვერ მოახერხა; აქვე ისიც ითქვას, რომ საროიანის ცხოვრება ნამდვილად არ შეეფერება იმ მელოდრამატულ ყალიბს, რომელიც ლეგეტმა თავის დროზე მწერლების - როს ლოკრიჯისა და ტომ ჰეგენის ცხოვრების აღწერის დროს გამოიყენა რომანში „როსი და ტომი: ორი ამერიკული ტრაგედია“, და დიდი წარმატებაც მოიპოვა. მართალია, საროიანს ის თავდაპირველი დიდება არ დაბრუნებია, მაგრამ მწერალი არ გამქრალა სამწერლობო ასპარეზიდან.

თუ საროიანის ადრეული ბიოგრაფები, მაგალითად: ლორენს ლი და ბერი გიფორდი, ცდილობენ გააღმერთონ მისი ნაწერები და საროიანის ცხოვრებას იდუმალებით მოსილად აქციონ, ლეგეტი საპირისპიროს ცდილობს, ისწრაფვის ჩასწვდეს მის პიროვნებას და წუთიერი ემოციები ასახოს. ხშირად ავტორი საროიანის პირითაც ლაპარაკობს. მტკიცებით კი ლეგეტს იმის დამტკიცება

უნდა, რომ საროიანი დიდი მწერლის ცხოვრებით ცხოვრობდა, არადა სინამდვილეში სულაც არ ყოფილა დიდი მწერალი. ის მუდამ ცნობილი ადამიანების წრეში ტრიალებდა, მაგრამ ამ წრეში ტრიალი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს. ლეგეტი ავტორს იმ ადამიანის ისტორიას, რომელიც მუდმივად საკუთარ თავზე და თვითდამკვიდრებაზე ფიქრობდა.

ისე მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ლეგეტი საროიანის მიმართ მაიცდამაინც სიმპათიით არაა განწყობილი.

**ჯორჯ მარტინი, „ფირის დატრიალება: ილუსტრირებული მემუარი“ Playback: An Illustrated Memoir by George Martin Genesis Publications, 327 გვ.**



ჯორჯ მარტინი - მათთვის, ვინც 60-იანი წლების თანამედროვე მუსიკის ისტორიას იცნობს, ეს სახელი კარგადაა ცნობილი. „ბითლზის“ ხმის პროდუსერის გენიის კვალი ეტყობა ლივერპულელი ჯგუფის 186-ვე სიმღერას, რომელიც „ბითლზმა“ ჯგუფმა Emi-სთვის ჩაწერა, მათ შორის ლეგენდარულ Love Me Do-ს. მარტინის ტალანტმა დიდწილად განსაზღვრა „ბითლზის“ ტალანტი; სხვათა შორის, დაუსვამთ კიდევ შეკითხვა, იქნებოდა თუ არა „ბითლზი“ ესოდენ პოპულარული მარტინის გარეშე, რომლის პიროვნებაც ერთგვარად ოთხეულის ჩრდილში მოექცა (თუმცა, შესაძლოა, თავად სულაც არ უნდოდა ვინმეს ჩრდილში მოქცეულიყო).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კითხვა - იარსებებდა თუ არა საერთოდ „ბითლზი“ ჯორჯ მარტინის გარეშე? - პირიქითაც შეიძლება დაისვას. იარსებებდა თუ არა სერ ჯორჯ მარტინის ფიგურა ლივერპულის ოთხეულის ტალანტის გარეშე? ასეა თუ ისე, დღეს უკვე ორივე ფენომენი არსებობს: მარტინის და „ბითლზის“, ორივე ფენომენი ძალიან საინტერესოა და მით უფრო საინტერესოა ახალი წიგნი, სადაც ჯორჯ მარტინი „ბითლზის“ შესახებ მოგვითხრობს.


არავის სჭირდება იმის მტკიცება, რომ „ბითლზი“ გენიალური მოვლენა იყო, იმაზე საუბარიც უკვე მოსაწყენი გა-

ხდა, თუ რა წვლილი შეიტანეს ლენონმა, მაკარტნიმ, ჰარისონმა და სტარმა 60-იანელთა მუსიკაში, და რა გავლენა მოახდინა მათმა შემოქმედებამ შემდგომ თაობებზე.

ჯორჯ მარტინის მიერ შემოთავაზებული ამბის დიდი ნაწილი უკვე მოთხრობილია სხვათა მიერ, საკმარისია ორი შრომის დასახელება: მარკ ლუისონის „ბითლზის სრული ქრონიკა“ და იან მაკდონალდის „რევილუცია გონებაში“. ასევე არსებობს ეპშტეინის, მაკარტნის, ჰარისონის ბიოგრაფები... და მიუხედავად ამისა, „ილუსტრირებული მემუარი“ სიურპრიზებითაა სავსე. მარტინის და „ბითლზის“ თავგადასავალი, დასასვენებლად წასვლა ლენონებთან ერთად (ჯონს იუმორის განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა), რომელიც ანეკდოტების ფორმით არის მოყოლილი და ა.შ.

ამჟამად, რომ ახალი წიგნი „ბითლზის“ ფანებისთვის არის გათვლილი. შესაძლოა ფანებმა ბევრ შეკითხვას ვერც კი იპოვონ პასუხი, მაგრამ მემუარი აუცილებლად მოეწონებათ. უნდა ითქვას ისიც, რომ მკითხველს, რომელიც პოპულარულ ადამიანთა ცხოვრებაში სიბინძურესა და ინტრიგანულ დეტალებს ეძიებს, ამ შემთხვევაში არ გაუმართლა. მოგონებები კორექტულად, სიყვარულითაა დაწერილი. აქ არ არის არც მტრობა, არც გულდაწყვეტა. ყველაზე მეტად ავტორს ლენონის „ლალატი“ აწუხებს, „ბითლზის“ დაშლის შემდეგ მან Let It Be სხვა პროდუსერს წაუღო. ეს კონკურენტი ფილ სპექტორი იყო.

**ფარიდ ზაქარია, „თავისუფლების მომავალი“ (შეზღუდული დემოკრატია შინ და გარეთ) The Future Of Freedom Illiberal Democracy at Home and Abroad By Fareed Zakaria New York: W. W. Norton & Company, 286 გვ.**



ფრანგმა მოაზროვნემ ალექსის დე ტოკვილმა 1835 წელს გამოქვეყნებულ თხზულებაში „დემოკრატია ამერიკაში“ განაცხადა: ჩვენში მიდის დიდი დემოკრატიული რევოლუცია,

გადაულახავი რევოლუცია, რომელიც, მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა, საუკუნეების მანძილზე წინა პლანზე იყო წამოწეული და კვლავ წინა პლანზეა... როცა ტოკვილი აშშ-ს ეწვია და ამ ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს უფრო დეტალურად გაეცნო, დაასკვნა, რომ დემოკრატია ნამდვილად იმუშავა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ტოკვილს ობიექტურობის გრძნობა არასოდეს ღალატობდა; მას არასოდეს მოუხუჭავს თვალი ამერიკული დემოკრატიის დეფექტებსა და პოტენციურ საფრთხეზე: დაუფარავად ამხელდა პოლიტიკური პარტიების ნაკლოვანებებს, არ იყო კმაყოფილი პრესის მუშაობით, რომელიც ხშირად ბინძურ საქმეებში იქექებოდა, არ მალავდა იმ ფაქტს, რომ არჩევნების დროს შეიმჩნეოდა ელექტორატის გადაბირების ცდები და ა.შ. ტოკვილის დაკვირვების თანახმად, „უმრავლესობის ტირანიის“ საფრთხის თავიდან ასარიდებლად თავდაუზოგავად მუშაობდნენ ის ინსტიტუტები, რომლებიც ინდივიდუალური თავისუფლების შენარჩუნებისკენ მიისწრაფოდნენ.

მერე ტოკვილს ასეთი შეკითხვა დაებადა - შეიძლებოდა თუ არა, თავდაცვის ასეთი მექანიზმები ევროპაშიც გაჩენილიყო. ფრანგი მოაზროვნის პენსიებში 1856 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აისახა - „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“. საფრანგეთში შეუძლებელია დემოკრატიის არსებობა თავისუფლებისადმი არატოლერანტული მიდგომის, თავისუფლების დათრგუნვის გარეშე. საფრანგეთის დემოკრატიის პირობებში ბიუროკრატია და თანასწორობამ, შეიძლება ითქვას, ფეხქვეშ გაიგდო თავისუფლება. შედეგი ახალი ბონაპარტული დესპოტიზმი იყო.

ახალ წიგნს, რომლის სახელია „თავისუფლების მომავალი“ და რომლის ავტორია ფარიდ ზაქარია, ტოკვილის ნააზრევის მოდერნიზაცია შეიძლება ვუნდოდოთ. პირველივე ეპითეტი, რომელიც ამ წიგნის დასახასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ, არის „გაბედული“: მართლაც, ძალიან დიდი გაბედულება და სითამამეა საჭირო დღევანდელ პირობებში იმის სათქმელად, რომ ზედმეტი დემოკრატია საფრთხეს უქმნის თავისუფლებას. სწორედ ეს განაცხადი, გნებავთ ავტორისეული დასკვნა, არის ის ცენტრალური ლერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს მთელი თხზულება.

ავტორის მიერ წარმოდგენილი თეზისი ძალიან არამოდურია და ბევრმა, შესაძლოა, არასწორადაც გაიგოს. ე.ი. მისტერ ზაქარია, თქვენ ამბობთ, რომ ამერიკა უფრო ნაკლები დოზით უნდა იყოს დემოკრატიული? ეს თქვენი მხრიდან

ერთგვარად ფაშისტური განაცხადი ხომ არაა? - მიაყარეს შეკითხვები...

„თავისუფლების მომავალი“, ამავდროულად, საკმაოდ პრეტენზიული თხზულებაა. ზაქარია ცდილობს ტოკვილის კრიტიკა არა მარტო თანამედროვე ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ მიმართოს.

წარმოშობით ინდოელი ფარიდ ზაქარია Newsweek International-ის რედაქტორია. წარმოდგენილი ნაშრომი იმ სტატიის გაგრძელება გახლავთ, ჟურნალისტმა 1997 წელს რომ დაწერა და რომელსაც „შეზღუდული დემოკრატიის აღზევება“ (The Rise of Illiberal Democracy) ერქვა. ძირითად არგუმენტად ავტორი იყენებდა დემოკრატიის 80-90-იანი წლების პერიოდის მიმოხილვას, როცა მსოფლიოს მოედო დემოკრატიის ახალი ტალღა, რომელსაც ჩრდილოვანი მხარეები ჰქონდა. ახალმა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა - ელცინისა და პუტინის რუსეთმა, ხავესის ვენესუელამ სწორხაზოვნად გაუკეთეს იგნორირება თავიანთი ძალაუფლების კონსტიტუციურ საზღვრებს, მოქალაქეებს კი ძირითადი უფლებები ჩამოართვეს; მარტო არჩევნების ჩატარება კი თავისუფლებას არ ნიშნავს.

იგივე ხაზია გატარებული ზაქარიას ახალ ნაშრომშიც. აქ ვხვდებით ისტორიულ ექსკურსებსაც და დისკუსიებსაც, მაგალითად, რატომ იყო ინგლისში უფრო მეტი კეთილდღეობა არისტოკრატიული ინსტიტუტების დროს და ა.შ.

საინტერესოა მწერლის მოსაზრება დემოკრატიისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებაც. დემოკრატიული ინსტიტუტები წარმატებით მხოლოდ იმ ქვეყნებში მუშაობს, რომელთა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 6000 \$-ზე მეტია. ღარიბმა ქვეყნებმა, რომლებიც დემოკრატიზაციის გზას დაადგნენ, ცხოვრება ან დიქტატურით დაასრულეს, ან უკიდურესი გაჭირვებით. შემთხვევითი არაა, რომ ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს - ჩილეს, სამხრეთ კორეასა და ტაივანს, რომლებიც კონსოლიდირებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებად ითვლებოდნენ, კარგა ხნის მანძილზე სამხედრო ხუნტა მართავდა.

მორალი მარტივია, - დაასკვნის ავტორი - ჯერ გამდიდრდი (შექმენი საშუალო ფენა), სამოქალაქო საზოგადოება და კანონმდებლობა, და მერე იზრუნე დემოკრატიზაციისათვის. და კიდევ, მემორანდუმი არაბულ სამყაროს: ბუნებრივი რესურსებიდან შემოსული გადასახადებით გამდიდრება არ ითვლება.

მოამზადა თამარ სუბიშვილი

# ვერნერ თილე ქართველ გამოცემლებს თავის წესივით ისაუბრა

მისი პროგნოზით, საქართველოში საგამომცემლო საქმიანობას კარგი პერსპექტივა აქვს

ნანა კობახიძე



ვერნერ თილე

აპრილის დასაწყისში გოეთეს ინსტიტუტში ქართველ გამომცემელთა წინაშე მათი გერმანელი კოლეგა წარდგა. ვერნერ თილე იქაურ წრეებში საკმაოდ ცნობილი და, როგორც ასეთ დროს ამბობენ, „წონიანი“ ფიგურაა. საქართველოში წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და გოეთეს ინსტიტუტის მოწვევით უკვე მესამედ ჩამოვიდა. ამჯერად მასპინძლებს ქართულად თარგმნილი „ნოუ-ჰაუ გამომცემლებისთვის“ წარუდგინა.

ეს არის არატრადიციული ფორმის სამაგიდო წიგნი, რომელიც შეზღუდული რაოდენობით გამოიცა და მხოლოდ გამომცემელთათვის არის გათვალისწინებული.

რამდენიმე სიტყვით თავად ვერნერ თილეს შესახებ. მისი CV (როგორც ამას დღეს უწოდებენ) საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება: დაიბადა 1945 წელს გერმანიაში. პროფესიული გამოცდილება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობაში მიიღო. მუშაობდა „კორნელსენის“ (გერმანიის სასწავლო და პედაგოგიური ლიტერატურის ერთ-ერთი მონიწივე გამომცემლობა) ხელმძღვანელად და დირექტორად. იყო გერმანიის საზოგადოებრივ-სამართლებრივი რადიომართვების ARD ბრანდებურგის განყოფილების ადმინისტრატორი და საწარმოო დირექტორი. 1998 წლიდან მის მიერვე შექმნილ ლიტერატურულ და ინტერნეტ სააგენტო Copyright International Agency – CorinA GmbH მფლობელი და ხელმძღვანელია. სააგენტო წარმოადგენდა რუსეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ავტორებსა და გამომცემლებს. 2000 წელს მინსკში დააარსა ორგანიზაცია „ვასსამედია“, რომლის მიზანია საქართველოსთანამშრომლობის განხორციელება და ნოუ-ჰაუს შეთავაზება წიგნის გამომცემლობისა და მასმედიის სფეროში. 90-იანი წლების დასაწყისიდან გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა საბირჟო კავშირის რეფერენტია ცენტრალურ, აღმოსავლეთ ევროპასა და ჩინეთში. ხელმძღვანელობდა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ მრავალ ლონისტიკებს გამომცემელთა და წიგნით მოვაჭრეთათვის. დამეთანხმებით, ქართველი გამომცემლები მათთვის ასე საჭირო გამოცდილების გასაზიარებლად უკეთესს ვერ ინატრებდნენ (თუმცა, მჯობნის მჯობნის რა გამოლევს) და აგერ უკვე მესამე წელია სწორედ მისგან იღებენ რჩევებს. სემინარის ერთ-ერთმა მონაწილემ, ლევან თითმერიამ აღნიშნა, თილე თითქოს ახალს არაფერს ამბობს, მოჰყავს სრულიად მარტივი მაგალიტები და ციფრები, რომლებიც იმიტომ გვეჩვენება მარტივად, რომ მათ დასადგენად ათწლეულების გამოცდილება დაიხარჯაო.

ბისთვის სამი წლის წინათ გამართა - მაშინ იგი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიწვევით ჩამოვიდა, წელს მესამედ გვესტუმრა და ისევე, როგორც ყველა უცხოელი (ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ამბობენ) საქართველოში მოვიხილავ. სიაშინებით ჩამოვიდოდი ყოველ წელს, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემს სურვილზე არ არის დამოკიდებული - უპირველეს ყოვლისა, ინტერესი უნდა არსებობდეს იმ თემასთან დაკავშირებით, რაზეც მე ვმუშაობო. ინტერესი კი უდავოდ არსებობს, რადგან საქართველოში საგამომცემლო საქმემ ნელ-ნელა დაიწყო ფეხის ადგმა. ვერნერ თილეს ამჟამინდელი ვიზიტის თემა ქართველი გამომცემლებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა - გამომცემელთა ასოციაციის ფუნქცია და ის წესები, რომელთაც გამომცემლები უნდა ემორჩილებოდნენ. ეს ყველაფერი გერმანელ გამომცემელთა ასოციაციის მაგალიტზე განხილვებოდა.

როგორც სემინარის შემდეგ ბატონმა მერაბ ქათამაძემ მითხრა, ვერნერ თილე მათ გამომცემელთა შორის თამაშის წესებზე ესაუბრა. გერმანიაში ეს წესები საყოველთაოა - ვინც მათ არ იცავს, განზე რჩება, უფრო სწორად, ასოციაციიდან რიცხავენ. ეს ძალზე მძიმე სასჯელია და, ფაქტობრივად, უსაქმოდ დარჩენას ნიშნავს, ამიტომ აქამდე მისვლას ორივე მხარე ერიდება - გამომ-

ცემელიც და ასოციაციაც. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია ამ სემინარის საფუძველზე პროფესიული ეთიკის კოდექსის მომზადებას აპირებს, რომელსაც ჯერ ასოციაციის წევრები, შემდეგ კი სხვა გამომცემლობებიც დაემორჩილებიან. „ეს საკმაოდ რთული პროცესი იქნება, თუმცა იოლად არსად განხორციელებულა. თავის დროზე გერმანული ასოციაციაც იმისთვის შეიქმნა, რომ გამომცემელთა და წიგნით მოვაჭრეთა შორის ურთიერთობა მოეწესრიგებინა,“ - თქვა ბატონმა მერაბმა.

ცოტა დაწვრილებით მინდა შევეხო იმ სახელმძღვანელოს, რომელიც ვერნერ თილემ ქართველ გამომცემლებს წარმოუდგინა. როგორც აღვნიშნე, ეს არ არის წიგნი მისი კლასიკური გაგებით. არატრადიციული ფორმა მას „მომხმარებლისთვის“ ძალზე პრაქტიკულს ხდის. როგორც ბატონმა ვერნერმა ბრძანა, გერმანიაში მას ფურცლების კრებულს ეძახიან და, მართლაც, ასეა - წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივ საქალაქში ჩადებული ფურცლები, რომლებიც დანომრილიც კი არ არის, ამიტომ, ძალიან მარტივია მასში ახალი ინფორმაციის ჩამატება. შესაძლებელია ცალკეულმა გამომცემელმა იგი ინდივიდუალურ წიგნადაც აქციოს - ანუ შეიტანოს საკუთარი მონაცემები. წიგნი 12 თავისგან შედგება და მასში თავმოყრილია გამომცემლისთვის საინტერესო

ყველანაირი ინფორმაცია - საკანონმდებლო ბაზიდან მასმედია-სთან ურთიერთობამდე (რომ აღარაფერი ვთქვათ მენეჯმენტსა და საავტორო უფლებებზე). წიგნი იმითაც არის საინტერესო, რომ მისი წაკითხვა თანამშრომლებთან ერთადაც შეიძლება - იგი მოიცავს საკმაოდ ბევრ ინფორმაციას განსჯისათვის, რაც მათ დისკუსიის შესაძლებლობას აძლევს. ვფიქრობ, ქართველი გამომცემლებისთვის ეს გამოცემა საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება, რადგან მასში წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება თავმოყრილი. იგი ბატონი ვერნერის 20-წლიან მოღვაწეობას აჯამებს. სხვათა შორის, მისი რუსული ვერსია რამდენიმე წლის წინათ გამოიცა, ქართულ ენაზე კი პირველად ვიხილეთ. არსებობს მისი ინტერნეტ-ვერსიებიც, სამწუხაროდ, მხოლოდ რუსულად. სემინარზე განიხილებოდა საიტზე ქართული ვერსიის განთავსების შესაძლებლობაც, რაზეც, ალბათ, მხარეები შეთანხმდებიან.

სემინარის შემდეგ შესაძლებლობა მომეცა ბატონ ვერნერს გავსაუბრებოდი და მისი აზრი შემეტყო დღესდღეობით საქართველოში მიმდინარე საგამომცემლო პროცესების შესახებ. შევეცდები პირდაპირ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე შემოგთავაზოთ მისი პოზიცია, დასკვნები კი თავად გამოიტანეთ: „გასული წლებისგან განსხვავებით იგრძნობა, რომ მეტი

ყურადღება ექცევა საბაზრო ეკონომიკას. ისიც შეიმჩნევა, იმის გამო, რომ წიგნის მაღაზიები მოწოდების სიმალეზე ვერ დგას, გამომცემლები იძულებულნი არიან, თავიანთი შესაძლებლობებით გაუკეთონ საკუთარ პროდუქციას რეკლამა. სასიხარულოა, რომ წიგნის ბაზრობები, რომლებიც გაცილებით პროფესიონალურად ტარდება, მომრავლდა და მისით უფრო მეტი ხალხი ინტერესდება. ჩემი აზრით, წიგნისადმი ინტერესიც შესამჩნევად გაიზარდა. კარგი იქნებოდა წიგნის მაღაზიების ახლებურად მოწყობა, რათა წიგნი დახლის უკან კი არ იდოს, მკითხველმა მისი ხელში ალბათ შეძლოს. ვისურვებდი მომრავლდეს ისეთი მაღაზიები, სადაც მკითხველი თავს სტუმრად ჩათვლის, სტუმრად, რომელსაც ელიან. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი გაიზარდა, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ რომ რუსულის მიმართ მოთხოვნილებამ იკლო. ეს, ალბათ, მკითხველის გაახალგაზრდავებით აიხსნება. დღეს ახალგაზრდებს გაცილებით ნაკლები საერთო აქვთ ყველაფერ რუსულთან, ვიდრე წინა თაობას. იმ ადამიანთა მოსაზრებებიდან გამომდინარე, რომელთაც ვესაუბრე, მივიჩნევ, რომ მათში გაიზარდა ინტერესი დასავლური ლიტერატურის მიმართ. ვისურვებდი, ეს შესაძლებ-

წიგნის მაღაზია "პარნასი" მონაცემებით 13 მარტი - 9 აპრილი

**მსატვრული ლიტერატურა**

1	1	გურამ დოჩინაშვილი	ლოდი ნასაყდრალი	"მარსი"	13.1
2	3	გაგა ნახუცრიშვილი	გამგზავრება და მოლოდინი	"საარი"	6.9
3	new	ჯემალ თოფურია	გამოუსწორებელი	"მერანი"	4.8
4	20	სოფიო კირვალიძე	ბერიკაობა	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	4.4
5	2	რატი ამალაშვილი	თუ	"საარი"	4.0
6	9	ვახუშტი კოტეტიშვილი	აღმოსავლურ-დასავლური დივანი	"დიოგენე"	4.3
7	new	აკა მორჩილაძე	შენი თავგადასავალი	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	3.8
8	5	გურამ დოჩინაშვილი	სამოსელი პირველი	"სანი"	3.8
9	8	დათო მალრადე	ნიკალა	"საარი"	3.6
10	12	გურამ დოჩინაშვილი	ხორუმი ქართული ცეკვაა	"მარსი"	3.5
11	new	დათო ტურაშვილი	კატმანდუ	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	3.4
12	16	ზაალ სამადაშვილი	ბოშები	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	3.3
13	new	ირაკლი ჯავახიძე	კავალრები	"საარი"	3.1
14	new	რეზო გაბრიაძე	ქუთაისი ქალაქია	"სანი"	3.0
15	6	აკა მორჩილაძე	ძირს სიმინდის რესპუბლიკა	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.5
16	15	გურამ დოჩინაშვილი	ძმისავ	"მარსი"	2.4
17	new	რეზო გაბრიაძე	სამოხაო მოთხრობა	"სანი"	2.4
18	10	გურამ დოჩინაშვილი	ძნელი	"მარსი"	2.3
19	new	ლაშა ბუღაძე	საუკუნის მკვლევლობა	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.2
20	new	არისტოფანე	კომედიები	"ლოგოს პრესი"	2.1

**მეცნიერება/კვლევითი**

1	new	ოთარ ჭილაძე	ბედნიერი ტანჯული	"ლოგოს პრესი"	9.6
2	3		საბავშვო ენციკლოპედია	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.5
3	3	ნ. ტონია, ზ. კიკნაძე	მითოლოგიური ენციკლოპედია ყმანვილ.	"ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა"	2.5
4	new		მსოფლიოს ატლასი	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	1.5
5	new	სალვადორ დალი	ერთი გენიოსის დღიური	"საარი"	0.8

**პერიოდიკა**

1	1	"არილი"	ლიტერატურული ჟურნალი		2.9
2	2	"24 საათი"	დამატება: წიგნები-ლიტერატურა		2.2
3	new	"აღმოსავლეთი"	პუბლიცისტურ შემეცნებითი ჟურნალი		1.2
4	new	"აფრა"	სალიტერატურო ჟურნალი		0.3
5	new	"არტანუჯი"	საისტორიო ჟურნალი		0.2

**ვერნარ თილა ქართულ  
ბამონცხვლავს თაგაშის  
წასაზა ესაუბრა**

**EIS გვარდინან**

ლობა ქართველებს არ მოკლევ-  
ბოდეთ. თუმცა, არც ის არის და-  
სამალი, რომ თარგმანი საკმაოდ  
ძვირი სიამოვნებაა - ანუ ძვირია  
ლიცენზია, რომელსაც უცხო-  
ური გამომცემლობა ყიდის. ვფი-  
ქრობ, ქართველი გამომცემლო-  
ბებისთვის ისინი შეღავათიან  
ფასებში უნდა გაიცეს, - ამბობს  
ბატონი თილე, თუმცა, ეს ჯერ  
კიდევ არ არის მასთან საუბრის  
დასასრული. ვფიქრობ, არც ის  
იქნება უინტერესო, როგორ შე-  
ფასებს იგი ახალ ქართულ გამო-  
ცემებს. „ამ ეტაპზე წიგნების  
დიზაინი საკმაოდ გაუმჯობესე-  
ბულია, რასაც ვერ ვიტყვი გამო-  
ცემათა ტექნიკურ მომზადება-  
ზე. ის ჯერ კიდევ ჩამოუვარდება  
თანამედროვე სტანდარტებს,  
მაგალითად იმას მოვიყვან, რომ  
წიგნს ფურცლები არ უნდა  
ძვრებოდეს. გარდა ამისა, დღეს-  
დღეობით აქტუალურია ციფრუ-  
ლი გამოცემები, კარგი იქნება,  
თუ სამომავლოდ ამ გამოცდი-  
ლებასაც გაიზიარებთ“ - თქვა  
ბატონმა თილემ. მისი მოსაზრე-  
ბიდან განსაკუთრებით საყურა-  
დებოა წიგნების აკინძვასთან  
დაკავშირებული შენიშვნა, რაც  
მეც და, ალბათ, სხვებსაც საკუ-  
თარ თავზე, უფრო სწორად, სა-  
კუთარ წიგნებზე გამოუცდიათ.  
ძალიან ხშირად - იყიდი საინტე-  
რესო გამოცემას, გადაფურცლ-  
ავ და ხელში ვერნარ თილეს  
„ნოუ-ჰაუს“ მსგავსი ფურცელ-  
თა კრებული შეგრჩება, რაც ამ  
შემთხვევაში, სასიამოვნო ნამდ-

ვილად არ არის.

გასაგებია, რომ ქართველე-  
ბისთვის ვერნარ თილესთან შეხ-  
ვედრა ინტერესს მოკლებული  
არ ყოფილა, რამდენად იყო საინ-  
ტერესო თავად ბატონი ვერნე-  
რისთვის მასპინძელ კოლეგებთ-  
ან ურთიერთობა? როგორც  
ბრძანა, აღფრთოვანებულია მა-  
თით, ადამიანებით, რომელნიც  
ასეთ მძიმე პირობებშიც კი ახე-  
რებენ საქმის კეთებას. უცხოე-  
თში კოლეგების ურთიერთობა  
მხოლოდ საქმიან ურთიერთობ-  
ებს ეფუძნება, ქართველ გამომ-  
ცემლებს კი, საქმის გარდა, პი-  
რისპირ, ადამიანურადაც შეიძ-  
ლება დაეღაპარაკოთ, - დასძინა  
მან. საუბრის ბოლოს ჩვენს სტუ-  
მარს ვთხოვე, გაეკეთებინა პრო-  
გნოზი - როგორ განვითარდება  
საქართველოში საგამომცემლო  
საქმიანობა და აი, რა მიპასუხა:  
„ცვლილებები, რაც ძველი სტრ-  
უქტურის ნგრევამ გამოიწვია,  
ბოლომდე არ დასრულებულა.  
ვფიქრობ, პერსპექტივა ცუდი  
არ იქნება, ოღონდ ამისათვის სა-  
ჭიროა გამომცემელთა ასოცია-  
ციამ უფრო აქტიური პოლიტიკა  
ანარმოს - ანუ გაიმართოს უფ-  
რო მეტი ღონისძიება საგამომ-  
ცემლო სფეროს უკეთ წარმოსა-  
ჩენად და გასაუმჯობესებლად.  
თუმცა, მხოლოდ ასოციაცია ვე-  
რაფერს გახდება, თუ სახელმწი-  
ფოც არ დაეხმარა. ეს დახმარება  
კი ამ ეტაპზე წიგნის დამატები-  
თი ღირებულების გადასახადიდ-  
ან გათავისუფლებაში გამოიხა-  
ტება.“

**წიგნის საერთაშორისო ბაზრობები**

<p>47th International Book Fair <b>15/05/2003 - 18/05/2003 Warsaw</b> Janusz Fogler President Ul. Krakowskie Przedmiescie 7 00 - 068 Warsaw POLAND Phone: +48 (0) 22 826-1201/-9712 Fax: +48 (0) 22 826-9256 E-mail: ktk@arspolona.com.pl &gt; www.bookfair.pl</p> <hr/> <p>Fiera del Libro Torino <b>15/05/2003 - 19/05/2003 Turin</b> On. Enzo Ghigo President Palazzo Bricherasio -Via Lagrange 20 10123 Torino ITALY Phone: +39 (0) 011 5184268 Fax: +39 (0) 011 5612109 E-mail: info@fieralibro.it &gt; www.fieralibro.it</p> <hr/> <p>World Education Market (WEM) <b>20/05/2003 - 23/05/2003 Lisbon</b> Elaine Legault WEM Director 11, rue du Colonel Pierre Avia - BP 572 75726 Paris Cedex 15 FRANKREICH Phone: +33 (0) 1 41904420 Fax: +33 (0) 1 41914960 E-mail: elaine.legault@reedmidem.com &gt; www.wemex.com</p>	<p>The Bucharest International Book Fair- The Bucharest International Book Fair <b>21/05/2003 - 25/05/2003 Bukarest</b> Mihai Oroveanu Managing Director 2-Bd. N.Balcescu No.2 Sector 1 Bucharest ROMANIA Phone: +40 (0) 1 3125147 or 3146401 Fax: +40 (0) 1 3121502 or 3136308 E-mail: artexpo@artexpo.ro &gt; www.artexpo.ro</p> <hr/> <p>22nd Kuala Lumpur International Book Fair <b>23/05/2003 - 01/06/2003 Kuala Lumpur</b> Sir Sha'ari Bin Abdullah Chairman Organising Committee 20 Jalan Gurney Dua 54000 Kuala Lumpur Malaysia Phone: 603-2583 115 or 2553 535 Fax: 603-255 3535 E-mail: mbkm@po.jaring.my &gt; www.KLBookFair.com.my</p> <hr/> <p>BookExpo America <b>30/05/2003 - 01/06/2003 Los Angeles</b> Greg Topalian Event Director 383 Main Avenue Norwalk, CT 06851 USA Phone: +1 (0) 203 8405485</p>	<p>Fax: +1 (0) 203 8409485 E-mail: gtopalian@reedexpo.com &gt; www.bookexpoamerica.com</p> <hr/> <p>Seoul International Book Fair <b>04/06/2003 - 09/06/2003 Seoul</b> Choon Ho Na Managing Director 105-2, Sagan-dong, Chongno-gu Seoul 110-190 KOREA Phone: +82 (0) 2 7352701-4 Fax: +82 (0) 7 7385414 E-mail: kpa@kpa21.or.kr &gt; www.sibf.co.kr</p> <hr/> <p>ALA Conference 2003 <b>19/06/2003 - 25/06/2003 Toronto</b> Deidre Irwin Ross Managing Director, Conference Services 50 E. Huron Street Chicago, IL 60611-2795 USA Phone: +1 (0) 312 280-32-23 Fax: +1 (0) 312 28032-24 E-mail: confs@ala.org &gt; www.ala.org</p> <hr/> <p>BookExpo Canada <b>19/06/2003 - 25/06/2003 Toronto</b> Jennifer Sickinger Show Manager 3761 Victoria Park Avenue, Unit 1 Toronto, ON M1W 3S2 CANADA</p>	<p>Phone: +1 (0) 416 491-3999 ext. 232 Fax: +1 (0) 416 491-7096 E-mail: jsickinger@reedexpo.com &gt; www.reedexpo.ca/bookexpo</p> <hr/> <p>APA Australian Book Fair <b>19/06/2003 - 20/06/2003 Sydney</b> Rick Green Exhibition Manager P.O. Box 295 Brookvale NSW 2100 AUSTRALIA Phone: +61 (0) 2 99394445 Fax: +61 (0) 2 99394229 E-mail: info@expertiseevents.com.au &gt; www.bookfair.com.au</p> <hr/> <p>Jerusalem International Book Fair <b>23/06/2003 - 27/06/2003 Jerusalem</b> Zev Birger Chairman and Managing Director 13 Safra Square P.O.Box775 Jerusalem 91007 ISRAEL Phone: +972 (0) 2 6297922 Fax: +972 (0) 2 6243144 E-mail: jerfairs@jerusalem.muni.il &gt; www.jerusalembookfair.com</p> <hr/> <p>Hong Kong Book Fair <b>23/07/2003 - 28/07/2003 Hong Kong</b> Daniel Lam Manager</p>	<p>38th Floor, Office Tower Convention Plaza Harbour Road Wanchai HONG KONG Phone: +852 (0) 25844333 Fax: +852 (0) 28240249 E-mail: hktdc@tdc.org.hk &gt; www.hkbookfair.com</p> <hr/> <p>Zimbabwe International Book Fair <b>26/07/2003 - 03/08/2003 Harare</b> David Brine Zimbabwe International Book Fair (ZIBF) London Office P.O. Box CY 21303 London WC2E 8PH Great Britain Phone/Fax: +44 (0) 20 78368501 E-mail: zibf.kingstreet@dial.pipex.com &gt; www.zibf.org</p> <hr/> <p>14th Philippines Book Fair <b>30/08/2003 - 07/09/2003 Manila</b> Irene Lioren President Unit 302 Villa Building 78 Jupiter Street Bel-Air, Makati City PHILIPPINES Phone: +632 (0) 8960661 oder 8960682 Fax: +632 (0) 8960695 E-mail: ptrade@philonline.com &gt; www.philippinebookfair.com</p>
--	---	--	---	---